ნინო აბულაძე



# ფარმაცია დასავლეთ საქართველოში 1846-1917 წლებში







ნინო აბულაძე

# ფარმაცია დასავლეთ საქართველოში 1846-1917 წლებში

(წიგნი ეძღვნება ქუთაისის სახელოვან წარსულს, ჩემს შრომით საქმიანობას ქუთაისში და ყველას, ვისთვისაც ძვირფასია ქუთაისის ისტორია და თანამედროვეობა)

ქუთაისი
2013

**რეცენზენტები:**

ფარმაციის აკადემიური დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი – **ქეთევანი გაბუნია**

ფარმაციის აკადემიური დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების განყოფილების უფროსი – **ნატო ალავიძე**

წიგნი ეძღვნება ქუთაისის სახელოვან წარსულს, კერძოდ, მე–19 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე–20 საუკუნის დამდეგს. ამ პერიოდში ქუთაისი დასავლეთ საქართველოს კულტურული და ადმინისტრაციული ცენტრი იყო. ქალაქისა და მთელი გუბერნიის ტერიტორიის ფარგლებში ისახებოდა ფარმაცევტული სამსახურის სტრუქტურაც.

წიგნი წარმოადგენს სამეცნიერო-სასწავლო ნარკვევს ფარმაციის სპეციალობის სტუდენტებისათვის; იგი ინტერესმოკლებული არ იქნება ფარმაცევტ–სპეციალისტებისა და ფარმაცევტული საქმით დაინტერესებული მკითხველისათვის.

წინამდებარე მონოგრაფია რეკომენდებულია სასწავლო ლიტერატურად ფარმაცევტული უმაღლესი სასწავლო დაწესებულების სტუდენტებისათვის.

განხილულია და დამტკიცებულია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჯანდაცვის ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე (ოქმი N 13. 10.12.2013)

**რედაქტორი:**
ისტორიულ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი,
ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივის
დირექტორი – **მერაბი კეზევაძე**

**ISBN 978-9941-448-82-9**

© აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

ქუთაისი, 4600, თამარ მეფის 59. ტელ.: 24 00 21
E-mail:atsugamomcemloba@gmail.com

# ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობა ______________________________ 5
თავი 1. დასავლეთ საქართველოს ისტორიული წარსული ____ 7
1.1. დასავლეთ საქართველოს წარსული 1846 წლამდე ____7
1.2. ქუთაისის გუბერნია 1846-1917 წლებში ___________ 12
1.3. ქუთაისის გუბერნიის ფარმაცია 1846-1917 წლებში ___ 17
პირველი თავის დასკვნები _______________________ 22
თავი 2. ფარმაცევტული საქმიანობის ორგანიზაცია დასავლეთ საქართველოში 1847-1917 წწ. ______________________ 24
2.1. ფარმაცევტული სამსახურის სტრუქტურა __________ 24
2.2. ქალაქის სააფთიაქო კომისია ___________________ 31
2.3. ქუთაისის გუბერნიის პირველი აფთიაქები _________ 35
2.4. აფთიაქის ტიპები ____________________________ 41
2.5. აფთიაქების მოწყობა __________________________ 50
2.6. მოსახლეობის წამლეულით უზრუნველყოფის ორგანიზაცია ______________________________ 54
2.7. სამკურნალო საშუალებებით არასააფთიაქო ვაჭრობა. სააფთიაქო მაღაზიები ________________________ 59
მეორე თავის დასკვნები ________________________ 62
თავი 3. აფთიაქების მომარაგება, ქუთაისის გუბერნიის ფარმაციის კავშირი სხვა სახელმწიფოებთან ____________ 64
3.1. ქუთაისის აფთიაქების სამკურნალო საშუალებებით მომარაგება საქართველოს ტერიტორიიდან ____________ 64
3.2. ქუთაისის აფთიაქების მომარაგება რუსეთიდან, უკრაინიდან და ლატვიიდან _______________________ 68
3.3. მომარაგება ევროპის სახელმწიფოებიდან __________ 73
მესამე თავის დასკვნები ________________________ 75
თავი 4. სააფთიაქო ლაბორატორიები _________________ 76
4.1. მოწყობა, დანადგარები და ტექნოლოგიური პროცესები ________________________________ 76
4.2. წამლის ხარისხის კონტროლის სისტემა ___________ 85
მეოთხე თავის დასკვნები ________________________ 91

თავი 5. ფარმაცევტული განათლება ქუთაისის გუბერნიაში. კადრები _______________________________________________ 93
5.1. აფთიაქარის შეგირდობა ___________________________ 93
5.2. ქუთაისის გუბერნიის ფარმაცევტების მდგომარეობა __ 104
5.3. ქუთაისის გუბერნიიდან გამოსული მეცნიერებისა და ორგანიზატორების როლი ქართულ ფარმაციაში _________ 117
მეხუთე თავის დასკვნები _________________________________ 132
საერთო დასკვნები _________________________________________ 134
გამოყენებული ლიტერატურა ________________________________ 137

# წინასიტყვაობა

მედიცინა და წამალთმცოდნეობა ისევე, როგორც მეცნიერებისა და ხელოვნების მრავალი დარგი, ძველ საზოგადოებათა წიაღში ღებულობს საწყისს. როგორც ციცერონის მიერ იყო თქმული, Historia magistra vitae est - ისტორია ცხოვრების მასწავლებელია, დიდი ილია კი გვასწავლის: ერის დაცემა მაშინ იწყება, როცა ის თავის წარსულს ივიწყებს, და ეს მედიცინის ისტორიასაც ესადაგება.

ყოველი ეპოქის ადამიანები დიდი ინტერესით სწავლობდნენ წინარე ხანის სამედიცინო მემკვიდრეობას; რაც სასარგებლო და სამაგალითო იყო, ითვისებდნენ, ავითარებდნენ, იყენებდნენ, ხოლო უარყოფითისაგან თავს იცავდნენ და აღარ იმეორებდნენ.

საქართველოს ისტორიაში მრავლადაა ცნობები საქართველოს უძველესი წამალთმცოდნეობის განვითარების შესახებ, რაც სათანადოდაა გაშუქებული მედიცინისა და ფარმაციის ისტორიის მკვლევართა შრომებში.

ჩვენ მოვიკვლიეთ, რომ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში, როცა ფარმაცია ახალ ეტაპზე გადავიდა და მოსახლეობის ფართო ფენების წამალთმომსახურეობისათვის აფთიაქების გახსნა დაიწყო, დასავლეთ საქართველოს ფარმაციის ისტორიის შესახებ ცნობები საკმაოდ მწირი იყო. ფარმაციის განვითარების ძირითადი მიმართულებების შესწავლამ ჩვენი ცხოველი ინტერესი გამოიწვია შემდეგი მიზეზების გამო: ქუთაისის დიდი მნიშვნელობა საქართველოს სამედიცინო კულტურისათვის და ჩვენი შრომითი საქმიანობა, რომელიც თსსი ფარმაცევტული ფაკულტეტის დამთავრებისთანავე ქუთაისთან იყო დაკავშირებული.

ჩემს ნაშრომს ვუძღვნი ფარმაცევტულ მეცნიერებათა დოქტორს *ბუსია სამუელის ასულ ბოჭორიშვილს,* ქალბატონს, რომელმაც საქართველოსა და ქუთაისისადმი დიდი სიყვარულით, იდეა ჩამისახა უფრო ახლოს გავცნობოდი დასავლეთ საქართველოს ფარმაციის ისტორიასა და მასში ქუთაისის როლს; აწგარდაცვლილ ბატონ ლევან ჩხატარაშვილს და თსსუ წამალთა ტექნოლოგიის კათედრის სხვა თანამშრომლებს. წიგნი ეძღვნება ქუთაისის სახელოვან წარსულს, ჩემს შრომით საქმიანობას ქუთაისში და ყველას, ვისთვისაც ძვირფასია ქუთაისის ისტორია და თანამედროვეობა.

კვლევის პროცესში ყოველთვის ვგრძნობდი ქუთაისის მოაზროვნე საზოგადოების ინტელექტუალურ თანადგომას. მადლიერების

გრძნობით მოვიგონებ აწგარდაცვლილ იროდიონ ერემეიშვილს. სამადლობელი სიტყვები არ მინდა დავიშურო ბატონ მერაბ კეზევაძის, ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივის, ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმისა და სამეცნიერო ბიბლიოთეკის თანამშრომელთა მიმართ. იდეის მხარდაჭერისა და შრომის სათანადო დაფასებისათვის მადლობას ვუძღვნი ქალბატონ ეთერ ქემერტელიძეს და ყველას, ვინც რაიმე წვლილი შეიტანა ჩემს საქმიანობაში.

წიგნის ავტორი მადლიერებით მიიღებს წიგნის დახვეწისა და სრულყოფის მიზნით გამოთქმულ შესაძლო რეკომენდაციებსა და კორექტივებს და წინასწარ მადლობას გწირავთ თქვენი ყურადღებისათვის.

ფარმაციის აკადემიური დოქტორი
აწსუ ასოცირებული პროფესორი ნინო აბულაძე

# თავი 1. დასავლეთ საქართველოს ისტორიული წარსული

## 1.1. დასავლეთ საქართველოს წარსული 1846 წლამდე

დღევანდელი ქუთაისისა და მთელი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანი, ე.წ. პალეონთროპები, სახლობდა ჯერ კიდევ ქვედა პალეოლითის ეპოქაში (425000-125000 წწ.). ეს ეპოქა კარგადაა აღწერილი ო. ლანჩავას, ვ. ჯაოშვილის, პ. ვაჭრიძის, გ. გაბუნიას, პ. ფირფილაშვილისა და სხვ. [91, 22, 11, 66, 374, 375] შრომებში.

ქუთაისი, იმყოფებოდა-რა ევროპისა და აზიის გზაშესაყარზე, უძველესი დროიდან წარმოადგენდა ერთის მხრივ დასავლეთ საქართველოს კუთხეების - იმერეთის, სამეგრელოს, გურიის, რაჭის, ლეჩხუმის, სვანეთის, აფხაზეთის, აჭარის შემაერთებელ ცენტრს და მეორეს მხრივ - წარსულში სანაოსნო მდინარე რიონისა და შავი ზღვის ნავსადგურების მეშვეობით დასავლეთ საქართველოს გარესამყაროსთან დამაკავშირებელ პუნქტს.

ჯერ კიდევ მონათმფლობელური წყობილების დროს, ქუთაისი როგორც ძველი კოლხეთის დედაქალაქი, დიდ როლს თამაშობდა საქართველოს საზოგადოებრივსა და კულტურულ ცხოვრებაში. დაწყებული ანტიკური ეპოქიდან და ფეოდალურ ხანაშიც - იგი დასავლეთ საქართველოს (სხვადასხვა დროს დასავლეთ საქართველოს ეწოდებოდა კოლხიდა, ეგრისი, ლაზიკა) პირველ ქალაქად რჩებოდა. 806 წ. ქუთაისი გახდა გაერთიანებული ეგრის-აფხაზეთის სამეფოს, ხოლო 978 წელს - მთელი საქართველოს დედაქალაქი და სატახტო ქალაქის სტატუსს 144 წლის მანძილზე ფლობდა (978-1122) [15,16, 11]. სამართლიანად აღნიშნავს ვ. ჩაკვეტაძე, რომ ქუთაისი - სატახტო ქალაქი და ხანგრძლივი დროით - XIII საუკუნის დამდეგამდე მსხვილი ეკონომიკური და კულტურული ცენტრი - შექმნილი ხელსაყრელი მდგომარეობის გამო, წამყვან როლს შეასრულებდა წამალთმცოდნეობისა და მთლიანად სამედიცინო საქმის განვითარებაშიც [81]. ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, დასავლეთ საქართველო განიცდიდა სხვადასხვა სამედიცინო კულტურის - არაბულის, სპარსულის, რომაულ-იტალიურის, ბერძნულის, რუსულის და სხვ. კეთილისმყოფელ ზეგავლენას. მაგრამ ყოველივე შეითვისებოდა ეროვნულ სულიერებასთან მკაცრი შესატყვისობით [22. 109].

ბერძნული, რომაული, ქართული წყაროების: ლეგენდების; ისტორიული და არქეოლოგიური მასალების მიხედვით ჩვენთვის ცნობილია, რომ დასავლეთ საქართველოში წამალთმცოდნეობის განვითარების დონე ყოველთვის შეესაბამებოდა საწარმოო ძალთა განვითარებას [66, 178, 10, 12, 89, 16]. ჩვ. წ-მდე XIV-XV სს. კოლხეთის ნაყოფიერ მიწაზე არსებობდა მედეას ბაღი, რომლის ზოგიერთი მცენარე ენდემური წარმოშობისაა (Colchicum - სიტყვისაგან კოლხეთი, Azalea Pontica - პონტოს აზალია ანუ იელი; შავი ზღვის ძველი დასახელებისაგან - პონტოსაგან წარმოდგება და ა.შ.). მედეას ბაღი აღწერილია აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში" (ა. ურუშაძის რედ.), მ. შენგელიას, ს. სალუქვაძის და სხვათა შრომებში [57, 79, 77, 78, 108, 59, 175].

პალეოლითის ეპოქიდან და შემდეგაც, კაცობრიობის ცივილიზაციის ყველა საფეხურზე, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიის ბინადარი ადამიანი მკურნალობისა და ჯანმრთელობის აღდგენა-შენარჩუნებისათვის იყენებდა ორგანული და არაორგანული ბუნების რესურსებს. ადამიანისა და ცხოველის სხვადასხვა პროდუქტებისა და ორგანოების გამოყენება თანამედროვე მეცნიერულ მედიცინაში ფესვებს იღებს შორეულ ისტორიულ წარსულში. ქუთაისის მიდამოებში - მდინარე წყალწითელას ხეობაში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრები მიგვანიშნებენ, რომ ქუთაისის შემოგარენში, საკაჟიას გამოქვაბულში, ქვის ხანის ადამიანი კანის წყლულებისა და ჭრილობების სამკურნალოდ და კანის დასარბილებლად ცხოველის ტვინს იყენებდა [82, 105, 66].

მონაცემები დასავლეთ საქართველოს წამალთმცოდნეობის შესახებ მოყვანილია რუსი ექიმის ი. მ. პანტიუხოვის, პროვიზორ ილია ალხაზიშვილის (1901 წ.), ექიმების აბელ იაშვილის (1904 წ.), ვახტანგ გიორგაძისა (მეოცე საუკუნის მეორე ნახევარი) და სხვათა მიერ [161, 109, 212].

პავლე ფირფილაშვილის, ტიტე გაბადაძისა და სხვათა შრომებში მოყვანილია მტკიცება იმის შესახებ, რომ წარსულში სამკურნალო პრეპარატების - გამონაცემების, მონახარშების, ეთეროვანი ზეთების - გამოყენება, მათთან დაკავშირებული ტექნოლოგიური პროცესები, მიუთითებენ მთლიანად საქართველოსა და კერძოდ, ძველი ქუთაისის ტერიტორიაზე აფთიაქების, სააფთიაქო დანიშნულების ჭურჭლის, აპარატურისა და შესაბამისი სპეციალისტების არსებობაზე [66, 10, 60].

წამალთმცოდნეობის განვითარება დაჩქარდა მეოთხე საუკუნეში დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ.

წარმოადგენდა-რა სატაძრო მედიცინისა და წამალთმცოდნეობის ერთ-ერთ ცენტრს, ქუთაისი და მისი შემოგარენი (ბაგრატის ტაძარი - XI ს., გელათის მონასტერი - XII ს. და გეგუთის სასახლე - XII ს.) განსაზღვრავდნენ მთელი დასავლეთ საქართველოს მედიცინის განვითარების მიმართულებებსა და ტენდენციებს. წყაროებიდან ცნობილია, რომ თითქმის ყველა მონასტერთან აარსებდნენ ქსენონებს (სამონასტრო სასნეულო სახლებს). დავით აღმაშენებელმა გელათის მონასტერთან დააარსა ქსენონი, სადაც ხდებოდა ავადმყოფთა მკურნალობა. გელათის მონასტრის ქსენონი სატაძრო მედიცინის ერთ-ერთი უმსხვილესი ცენტრი იყო დასავლეთ საქართველოში [82].

აღნიშნული ეპოქა საქართველოს ისტორიის ოქროს წლები იყო როგორც ზოგადად, ასევე კერძოდ, წამალთმცოდნეობისთვისაც; შეივსო და დაიხვეწა დასავლეთ საქართველოს ადრეფეოდალური რენესანსის ეპოქის სამედიცინო ხელოვნების საგანძური. სამონასტრო მედიცინა არსად არ შენარჩუნებულა თავისი პირვანდელი ფორმით, მაგრამ ყოველივე, რაც რეალური, სასარგებლო და გამოყენებისათვის ვარგისი იყო ამ მედიცინაში, გახდა სამოქალაქო მედიცინის კუთვნილება, ხოლო ტაძრებს დაუტოვა რელიგიური რიტუალები და ავადმყოფის სარეცელთან გამოჯანმრთელების სხვადასხვა ლოცვებისა და გამოლოცვების ფუნქცია. [47, 210, 96, 13, 14, 82]. ამ რიტუალებსა და შელოცვა-გამოლოცვას თავისი თერაპიული დანიშნულება აქვთ, რაც თანამედროვე მეცნიერებას ჯერჯერობით ბოლომდე არ შეუსწავლია.

დაწყებული XIII საუკუნიდან საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება, უცხოელი დამპყრობლების მრავალჯერადი შემოსევები აფერხებდნენ მედიცინის შემდგომ წინსვლასა და განვითარებას. თუმცა არასოდეს შენელებულა ინტერესი სამკურნალო საქმის, წამალთმცოდნეობის მიმართ და მისი აღმავლობა მთლიანად არასოდეს იყო დათრგუნული და შეჩერებული [82].

300 წელზე მეტი ხნის განმავლობაში - 1489-1810 წლებში ქუთაისი იმერეთის სამეფოს დედაქალაქად რჩებოდა [82,11].

იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი, XVII საუკუნის პირველ ნახევარში დასავლეთ საქართველოში მოგზაურობის დროს, ეწვია სამეგრელოსა და გურიას. მან წიგნში („Rellatione délia Colchide hoggi délia Mengrellia“. [Napoli. 1654], - 1654 წ. ეს წიგნი პირველად 1900 წელს ქართულად გადაითარგმნა) აღწერა ქართველი თავადების ზრუნვა თავიანთ გლეხების ჯანმრთელობაზე (ეს იყო პერიოდი მეცნიერუ-

ლი ფარმაციის განვითარებამდე). თავადს წაკითხული ჰქონდა სხვადასხვა სამედიცინო წიგნები, შესწავლილი ჰქონდა მცენარეული და სხვა წარმოშობის სამკურნალო საშუალებები, მას შეეძლო მრავალი შინაგანი და გარეგანი გამოყენების წამლის ფორმის მომზადება (შესაზელი, სითხოვანი პერორალური წამლის ფორმები, ფხვნილები, შარბათები და სხვ.), რომლებითაც მუდმივად სავსე ჰქონდა სპეციალური ყუთი. იგი ამ ყუთს ყველგან თან ატარებდა და საჭიროებისას უსასყიდლოდ ურიგებდა გაჭირვებულებს [48,49].

ამავე წიგნში აღნიშნულია აგრეთვე, რომ მთელს დასავლეთ საქართველოში ექიმობა და წამლების დამზადების ცოდნა საპატიო საქმედ იყო მიჩნეული და არსად ისე არ ფასობდა პროფესიონალიზმი, როგორც აქ. უწყვეტ ნაკადად მოედინებოდნენ და აქ სახლდებოდნენ ექიმები უცხო ქვეყნებიდან - თურქეთიდან, სპარსეთიდან, იტალიიდან, საფრანგეთიდან - ზოგჯერ, არასაკმაო კვალიფიკაციით. ხალხისათვის, რომელიც განიცდიდა სამედიცინო კადრების ნაკლებობას, ზოგჯერ საკმარისი იყო მხოლოდ ექიმის სახელიც კი. ეს იყო კოლხეთის სამკურნალო ხელოვნებისა და ფარმაციის დაცემის პერიოდი [48,49].

საქართველოს ცხოვრების ძნელბედობისა თუ სიკეთის დროს საუკუნეების მანძილზე იქმნებოდა ქართული სამედიცინო წიგნები - კარაბადინები. ესენია წიგნები, რომლებიც შეიძლება შევადაროთ ფარმაკოთერაპიულ ცნობარებს, ფარმაკოპეას და მანუალებს. მრავალი ასეთი კარაბადინი, რომლებიც დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მოღვაწე მედიკების მიერაა შექმნილი, ინახება ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში. ისინი ადასტურებენ, რომ ქართველებს იმ ძნელბედობის დროსაც კი გააჩნდათ თავიანთი - „ქართული ფარმაკოპეა“, სადაც მოცემულია სხვადასხვა ძირითადი წამლის ფორმები: მცენარეთკრებულები, ფხვნილები, აბები, ბოლუსები, ფაფები, ლაბა, შერბეთი - სიროფი, წვენები, შაფები, გამონაცემები და მონახარშები, მალამოები, მოსაფრქვევი ფხვნილები, მოსაწევი ნაკრებები, სველსაშუშები და სხვ. [109, 210].

დასავლეთ საქართველოს მედიცინა და ფარმაცია განიცდიდა რომის კათოლიკური ეკლესიის მისიონერების კეთილისმყოფელ ზეგავლენას რამდენიმე საუკუნით ადრე, სანამ უნგრელი ექიმი და კათოლიკე მისიონერი იაკობ რეინეგსი გულმოდგინედ ემზადებოდა აღმოსავლეთის ქვეყნებში სამოგზაუროდ; XVIII საუკუნის 80-იან წლებში იგი ერეკლე მეორის მიერ იქნა მიღებული და მის მიერვე იქნა

გახსნილი მეფის კარზე პირველი აფთიაქიც. ჯერ კიდევ XIII საუკუნეში კათოლიკებს ევროპული სამკურნალო ხელოვნება შემოჰქონდათ დასავლეთ საქართველოში, მაგრამ მათი მოღვაწეობის საუკეთესო პერიოდი XVII საუკუნეში დადგა. 1633 წელს სამეგრელოში პატივით მიიღეს პატრი დონ ქრისტოფორო დე კასტელი, 1634 წელს - გურიაში - პატრი არქანჯელო ლამბერტი, ხოლო 1644 წელს - ქუთაისში პატრი დონ ქრისტოფორო დე კასტელი [211]. რომაული კათოლიკური ეკლესიის მისიონერებმა კარგად იცოდნენ ქართული ენა, ისინი პატივს სცემდნენ მოსახლეობას, მათ კულტურასა და ტრადიციებს, კარგად ფლობდნენ სამედიცინო ხელოვნებას და უანგაროდ მკურნალობდნენ ხალხს [50, 24, 89, 93, 109, 35, 96].

კათოლიკე მისიონერები იდგნენ ქართველი მეფეების კარის ექიმებად, ხსნიდნენ საავადმყოფოებს, დავრდომილთა თავშესაფრებსა და აფთიაქებს, იცნობდნენ და იყენებდნენ ხალხის მკურნალობაში ადგილობრივ სამკურნალო მცენარეებსა და სხვა ბუნებრივ სიმდიდრეებს. მათი ხელმძღვანელობით ყველა მსურველს შეეძლო განსწავლულიყო სამედიცინო და ფარმაცევტულ საქმეში [109]. მოგვიანებით, ცნობილი ქართველი კათოლიკე, ისტორიკოსი მიხეილ თამარაშვილი - იკვლევდა-რა იტალიის არქივებს, წააწყდა ბევრ საინტერესო ცნობას კათოლიკების ზეგავლენის შესახებ დასავლეთ საქართველოს სამედიცინო კულტურისა და შესაბამისად, ფარმაციის განვითარებაზე.

ქართველ კათოლიკეს პეტრე-პავლე ივანეს ძე კოკოჩაშვილის სახელთანაა დაკავშირებული ქალაქ ქუთაისში - ქუთაისის გუბერნიაში პირველი აფთიაქის გახსნა. მამამისი ივანე კოკოჩაშვილი (1799-1864) კათოლიკე პატრების მიერ კარგად იყო განსწავლული საექიმო საქმეში. მან შეადგინა „ბოტანიკური ლექსიკონი“ [94, 6]. იგი ცნობილი იყო მთელს იმერეთში გონების თვალსაწიერითა და თავისი მრავალმხრივი განათლებით. კოკოჩაშვილების გვარს დიდი დამსახურება მიუძღვის ქართული ფარმაციის წინაშე, რომლის შესახებაც ჩვენ ამ წიგნში მოგითხრობთ.

რუსი ელჩების ა. იევლევისა და ნ. ტოლოჩანოვის მონაცემების მიხედვით, 1651 წელს ქუთაისის მოსახლეობა იყო დაახლოებით 5000 სული. თურქების გაუთავებელმა თვდასხმებმა იმერეთის სამეფო კატასტროფამდე მიიყვანა და ი.ა. გილდენშტედტის მონაცემებით 1772 წ. მისი მოსახლეობა 50 ოჯახს ძლივს აღწევდა [22, 106].

თურქთა ბატონობისაგან იმერეთის განთავისუფლების შემდეგ (XVIII ს. მიწურული) ქალაქის მოსახლეობის რიცხვი სწრაფი ტემპით

იზრდებოდა. XIX საუკუნის 20-იანი წლებიდან ქალაქის 1600 მოსახლე ბინადრობდა ძირითადად უქიმერიონის მთაზე და რიონის მარცხენა სანაპიროზე. მოსახლეობა შედგებოდა ქართველების, ებრაელების, სომხების, რუსების, ბერძნებისა თურქებისა და სხვა ეროვნების წარმომადგენლებისაგან. ქუთაისისა და მისი შემოგარენის შესახებ ცნობებს იძლევიან - 1833 წ. ფრანგი არქეოლოგი დიუბუა დე მონპერე, ასევე XVIII-XIX სს. ი. ა. გილდენშტედტი, იაკობ რეინეგსი, იაზიკოვი, ფრანგი კონსული გამბა, ა. ნ. მურავიოვი, მარი ბროსე და სხვები [7].

XVIII საუკუნის მიწურულს საქართველოში შექმნილმა გაუსაძლისმა მდგომარეობამ იგი აიძულა მფარველობა ეძებნა ერთმორწმუნე რუსეთში, რასაც მოჰყვა - 1901 წელს - აღმოსავლეთ საქართველოს, ხოლო 1810 წელს - იმერეთის სამეფოს შეერთება რუსეთთან. ამის შემდეგ საქართველო, რუსეთის გუბერნიებად დაყოფილი, მის შემადგენლობაში და მისი კანონებით განაგრძობდა განვითარებას.

როგორც ვ. ს. ბახტაძე აღნიშნავს [116], საქართველოს ეკონომიკურ დაპყრობას, წინ უძღოდა მისი პოლიტიკური დაპყრობა რუსეთის მხრიდან, რომელიც XIX საუკუნეში ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული. ეკონომიკური თვალთახედვით, საქართველო რუსეთის ევროპული ცენტრის კოლონია გახდა, სადაც ბატონყმობის გაუქმებამდე წარმოების ძირითადი ფორმები იყო კუსტარული მეწარმეობა და ხელოსნობა.

ამ დროისათვის საქართველოს ადმინისტრაციული დაყოფა ასეთნაირი სახით წარმოგვიდგებოდა: „დასავლეთ საქართველო შეუერთდა რუსეთს 1810 წელს; იგი იმართებოდა დივანის მეშვეობით. .... 1817 წელს სახელწოდება „დივანი“ შეიცვალა სახელწოდებით - „იმერეთის დროებითი მმართველობა“, რაც არსებობდა 1841 წლამდე. ამის შემდეგ უკვე იმერეთი სახელწოდებით, „ქუთაისის მაზრა“, შევიდა საქართველო-იმერეთის გუბერნიის შემადგენლობაში“ [332].

## 1.2. ქუთაისის გუბერნია 1846-1917 წლებში

1846 წელს შეიქმნა ქუთაისის გუბერნია. მასში შედიოდა ქუთაისის, ახალციხისა და ოზურგეთის მაზრები. გუბერნიამ იარსება 1917 წლამდე და ამ პერიოდში რამდენჯერმე განიცადა ცვლილება ადმინისტრაციულ დაყოფაში. „1847 წელს ქუთაისის მაზრა დაიყო სამ მაზრად: ქუთაისის, შორაპნისა და რაჭის“ [332, 165, 166, 167, 361]. 1867

წლის 9 დეკემბერს მმართველობაში მოხდა ახალი ცვლილება; შეიცვა-ლა გუბერნიის დაყოფა მაზრებად და წარმოიშვა შორაპნის, რაჭის, ოზურგეთის, სენაკის, ზუგდიდის, ლეჩხუმისა და ქუთაისის მაზრები [361, 168]. 1918 წელს მენშევიკური მთავრობის მიერ გამოცემული კა-ნონით გაუქმებული იქნა ქუთაისის გუბერნია და მასთან მეფის რუსე-თის ყველა ადმინისტრაციული დანაყოფი [361].

სურ. 1.2.1.



სურ. 1. 2.1. ქუთაისის გუბერნია რუსეთის იმპერიის ადმინისტრაცი-ული ერთეული (მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარი) წყარო: http://novost.ge/wp-

1878 წლიდან ქუთაისის გუბერნიაში შედიოდნენ ბათუმისა და ყარსის ოლქები. ასევე აფხაზეთიც, სამთავროს დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ. 1869 წლიდან ახალციხის მაზრა თბილისის გუ-ბერნიას შეუერთდა. 1881 წელს ქუთაისის გუბერნიაში შედიოდა ქუ-თაისის, შორაპნის, რაჭის, ოზურგეთის, სენაკის, ზუგდიდისა და ლეჩ-ხუმის მაზრები [333, 330, 132, 62, 63].

რუსეთის იმპერატორის 1865 წლის მანიფესტით ქუთაისის გუ-ბერნიაში გაუქმებული იქნა ბატონყმობა. უმიწოდ დარჩენილი გლე-ხობა მიეძალა ქალაქს, სადაც ისინი სახლდებოდნენ და იქცეოდნენ იაფფასიან სამუშაო ძალად. ამან დასაბამი მისცა ერთის მხრივ, მრეწ-ველობის განვითარებას ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, ფოთსა და სხვა ქალაქებში, მეორეს მხრივ, მეფის რუსეთის კოლონიური პოლი-

ტიკა ეწინააღმდეგებოდა იმპერიის განაპირა მხარეებში გადამმუშავებელი მრეწველობის განვითარებას და ამიტომ საქართველოს ქალაქები თვით XX საუკუნის დამდეგსაც კი, ხასიათდებოდნენ სუსტად განვითარებული მრეწველობით,.

რევოლუციამდელი ქუთაისი (ნაგულისხმებია 1917 წლის ოქტომბრის რევოლუცია) ისევ და ისევ რჩებოდა ეკონომიკურად ჩამორჩენილი რუსეთის ერთ-ერთ საგუბერნიო ცენტრად. ქალაქისათვის უმთავრესი იყო ადმინისტრაციული ფუნქცია, კულტურულ-საგანმანათლებლო დანიშნულება და ასე თუ ისე სუსტად განვითარებული წვრილმეწარმეობა და ვაჭრობა.

ქუთაისისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რეფორმისშემდგომ პერიოდში გაჩაღებულ სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობას; 1871 წელს მოძრაობა დაიწყო ფოთი-ყვირილას მონაკვეთზე, შემდეგ პირდაპირი მოძრაობა დაიწყო ფოთსა და თბილისს შორის და 1877 წელს ამ მაგისტრალს ქუთაისიც შეუერთდა. 1887 წელს სარკინიგზო ხაზმა ტყიბულამდე მიაღწია. მანამ კი, 1858 წლიდან მდინარე რიონით ფოთიდან ორპირამდე (ორპირი სოფელია ქუთაისის მახლობლად) იყო პირდაპირი სანაოსნო გზა. 1883 წელს, როცა ფოთი და ბათუმი სარკინიგზო ხაზით შეუერთდნენ ბაქოს, ქუთაისი უშუალოდ დაუკავშირდა ამიერკავკასიისა და შავი ზღვის დიდ ცენტრებს [106, 91, 160, 52, 17].

ქუთაისის მოსახლეობა XIX ს. II ნახევარში ჩქარი ტემპით იზრდებოდა და 1822-1861 წლებში ორჯერ, ხოლო 1861-1897 წლებში - 6-ჯერ გაიზარდა, მან 1897 წელს 32 476 მოსახლეს მიაღწია.

ცხრილებში 1.2.1. და 1.2.2. მოცემულია ქუთაისისა და მთელი გუბერნიის მოსახლეობის ზრდის დინამიკა.

**ცხრილი 1.2.1.**

**ქალაქ ქუთაისის მოსახლეობა 1861-1897 წწ.**

| წელი | მოსახლეობა |
|---|---|
| 1861 | 4 429 |
| 1864 | 4 624 |
| 1885 | 23 644 |
| 1897 | 32 476 |

ცხრილი 1.2.2.

**ქუთაისის გუბერნიის მოსახლეობის ზრდის დინამიკა 1859-1913 წწ.**

| წელი | მოსახლეობა |
|---|---|
| 1859 | 340 758 |
| 1860 | 346 460 |
| 1865 | 430 000 |
| 1893 | 536 950 |
| 1897 | 1 058 242 |
| 1910 | 1 053 200 |
| 1911 | 1 070 063 |
| 1912 | 1 093 857 |
| 1913 | 1 122 286 |

ნახ. 1.2.1. და 1.2.2. გრაფიკულად წარმოგიდგენთ ქუთაისისა და ქუთაისის გუბერნიის მოსახლეობის დინამიკას აღნიშნულ პერიოდში.

XIX ს. II ნახევარში კაპიტალიზმი დასავლეთ საქართველოს ეკონომიკური ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი ხდება. ქალაქის მოსახლეობის ზრდასთან ერთად გუბერნიის ქალაქებში ფართოდ არ გაშლილა ფაბრიკებისა და ქარხნების მშენებლობა, არამედ განვითარდა ხელოსნობა.

ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივისა და სხვა მონაცემებით 1887 წელს მარტო ქუთაისში 25 სამრეწველო საწარმო იყო; მათი დიდი ნაწილი იყო აგურის მცირე ქარხნები, ორი თამბაქოს ქარხანა, პატარა ქარხნები - ლუდსახარში, ტყავგადამმუშავებელი, საპნის სახარში, კირის, აგრეთვე ხელოვნური მინერალური და ზელცერის წყლებისა. ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარებით ამიერკავკასიაში ქუთაისი მხოლოდ ბაქოს, თბილისსა და ბათუმს ჩამორჩებოდა [276, 281, 106, 278, 280, 281, 282, 91].




სურ. 1.2.1. ქუთაისის მოსახლეობის დინამიკა

რეფორმისშემდეგ პერიოდში შეიცვალა დასავლეთ საქართველოს ქალაქების ადმინისტრაციული მმართველობაც. 70-იანი წლებიდან უკვე იწყება ბრძოლა  ქალაქის თვითმმართველობების დასამკვიდრებლად; ახალი დებულების თანახმად, მათში უნდა შესულიყო 42-150 ხმოსანი, რომელთაც უნდა აერჩიათ  გამგეობის სამი წევრი. გამგეობა მოქმედებდა ქალაქის თავის ხელმძღვანელობით. ქალაქის თავს ირჩევდნენ ქალაქის სათათბიროს ხმოსნები. გაზეთი „დროება“ 1875 წელს წერდა, რომ ქალაქ ქუთაისმა მიიღო თვითმმართველი ქალაქის უფლება. ე.ი. ქალაქის გამგეობაში არჩეულებს თვით უნდა გადაეწყვიტათ ქალაქის ყველაზე არსებითი საკითხები. ეს უფლებები ფორმალური იყო; თვითმმართველობის გადაწყვეტილებები მოქმედებაში შედიოდა მხოლოდ მეფის მთავრობის სპეციალური შუამავალი ორგანოს მეშვეობით - ეს ორგანო იყო საგუბერნიო მმართველობა [41]. მთელს გუბერნიაში თვითმმართველი ქალაქების სტატუსი მიიღეს ქუთაისმა, ბათუმმა, ფოთმა, სოხუმმა და ოზურგეთმა.




სურ. 1.2.2.  ქუთაისის გუბერნიის მოსახლეობის დინამიკა

ქალაქის სათათბიროები ქმნიდნენ დროებითმოქმედ და მუდმივ კომისიებს, რომელთაც ეკისრებოდათ ქალაქის ცალკეული დარგების ხელმძღვანელობა და კონტროლი, განსაკუთრებით რთული საკითხების დამუშავება და მნიშვნელოვანი პროექტების შედგენა. მაგ. ქუთაისში არსებობდა „სააფთიაქო კომისია“, ამ კომისიის წევრების არჩევა ხდებოდა 4-წლიანი ვადით. ქალაქის მმართველობასა და სათათბიროს ეკისრებოდა საავადმყოფოების, აფთიაქებისა და სხვათა გახსნაზე პასუხისმგებლობაც [160, 9, 22, 106, 62, 91].

## 1.3. ქუთაისის გუბერნიის ფარმაცია 1846-1917 წლებში

წინამდებარე მიმოხილვისათვის გამოყენებულია მონოგრაფიები, წიგნები, ბროშურები და სტატიები, როგორც თანამედროვე, ასევე იმდროინდელი პერიოდის პრესა. დასავლეთ საქართველოს ისტორიის კვლევაში დიდი წვლილი მიუძღვით: აკადემიკოსს ივანე ჯავახიშვილს, ისტორიკოსებს - ზ. ჭიჭინაძეს, ვ. ჩაკვეტაძეს, მ. თამარაშვილს, შ. ლომსაძეს, ლ. სანიკიძეს, მ. ლორთქიფანიძეს, პ. ვაჭრიძეს, თ. გერსამიას, გ. გაბუნიას, მ. ნიკოლეიშვილს, გ. მეგრელიშვილს, ვ. ბახტაძეს, ნ. ახვლედიანს, ნ. ტრაპაიძეს, ა. ზენდიანიშვილს [105, 93,94,96, 81, 88, 24, 50,12, 51,22,11, 22, 160, 156, 111, 7, 9], არქანჯელო ლამბერტის, პაატა გუგუშვილს, მ. გოგსაძეს და სხვებს. [48, 49, 14, 15,16, 91, 101, 35].

ჩამოთვლილი და სხვა წყაროები იძლევიან ნათელ წარმოდგენას უძველესი დროიდან მეოცე საუკუნის ოციან წლებამდე მთელი დასავლეთ საქართველოს, ასევე აქ სამედიცინო და ფარმაცევტული კულტურის განვითარების შესახებ. აღნიშნული ავტორების შრომებში რეგიონის ფარმაცევტული და სამედიცინო საქმის განვითარება განხილულია ქართველი ხალხის სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ განვითარებასთან, ისტორიასთან, ფილოსოფიასთან, ზუნებისმეტყველებისა და სხვა მეცნიერებების მიღწევებთან განუყრელ კავშირში. ეს ის პერიოდია, როცა მკურნალობა ხდებოდა ძირითადად ქართული ტრადიციული მედიცინის საშუალებებით, რადგან არ იყო საკმარისი სააფთიაქო დაწესებულებები. XIX საუკუნის დასაწყისში, დაახლოებით 20 წლის მანძილზე, 7000 კაცზე საქართველოში მოდიოდა ერთი ექიმი. XIX საუკუნის მეორე ნახევარში დასავლეთ საქართველოში შეიმჩნეოდა ქართული მედიცინის შემობრუნება ევრო-

პული მედიცინისაკენ, კერძოდ, ექიმობისა და სააფთიაქო საქმის გაძღოლის რუსული მეთოდებისაკენ.

ფარმაციისა და მედიცინის ისტორიის, ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის წამლეულით მომარაგების შესახებ ცნობები მოიპოვება მედიცინისა და ფარმაციის ისტორიკოსებისა და პრაქტიკოსი ფარმაცევტების შრომებში: მ. ს. შენგელიას, მ.გ. სააკაშვილის, ა.გ. გელაშვილის, ი.ს. თაბაგარის, ვ. კ. ჟღენტის, პ.გ. გელბახიანის, ი.გ. ქუთათელაძის, ი. ტატიშვილის, გ.რ. ჩიხლაძის, ვ. გიორგაძის, ს.ს. სალუქვაძის, ლ.გ. მიმინოშვილის, მ.ი. ჭიჭინაძის, შ. ისაკაძისა და სხვ. [210, 77, 78, 79, 58, 74, 23, 178, 159, 56, 89, 59, 174, 53, 92, 34, 103, 13].

სამეცნიერო და პოპულარულ ლიტერატურაში ჩვენს მიერ მოკვლეული რიგი ცნობები ქუთაისის გუბერნიაში პირველი აფთიაქების გახსნის შესახებ არაზუსტია; ფაქტი, რომ გუბერნიაში პირველი აფთიაქი 1860 წლის 22 იანვარს გაიხსნა, არაერთგზის აღინიშნა ისტორიის, მედიცინისა და ფარმაციის ისტორიის მკვლევართა - მიხეილ შენგელიას, ილია თაბაგარის, პეტრე გელბახიანის, აგრეთვე პრაქტიკოსი პროვიზორების მიხეილ ივანეს ძე ჭიჭინაძის, ლიანა გიორგის ასული მიმინოშვილის, შალვა ისაკაძის, სოკრატე სალუქვაძის მიერ. ზოგიერთი მათგანი ცნობებს იძლევა გუბერნიაში სხვა აფთიაქების გახსნის თარიღების შესახებაც; მაგალითად, ილია თაბაგარი აღნიშნავს, რომ: „მოგვიანებით ქუთაისში გაიხსნა პროვიზორ ვიტუშინსკის და პროვიზორ რელიგიონის აფთიაქები“. იგი იძლევა მიახლოებით თარიღსაც: „1880 წელს ქუთაისში იყო ორი აფთიაქი. მომსახურეობის ხარისხით გამოირჩეოდნენ ქუთაისის კოკოჩევის და რელიგიონის, ხონის - გლუშაკოვისა და ახალციხის - მაისურაძის აფთიაქები. გუბერნიის სხვა სამაზრო ქალაქებში იყო მხოლოდ თითო აფთიაქი“ [178].

ნევრესტან შაშიკაშვილი აღნიშნავს, რომ „1910 წელს გუბერნიის ქალაქებში იყო 7 აფთიაქი, მაზრებში - 71; 1911 წელს ქალაქებში - 9, ხოლო მაზრებში - 74 აფთიაქი; 1913 წელს - ქალაქებში - 8, მაზრებში - 84 აფთიაქი“. ავტორი არ ასახელებს ამ აფთიაქების გახსნის თარიღებს [75].

მ. ჭიჭინაძე, ლ. მიმინოშვილი, შ. ისაკაძე [92, 34, 53] აღნიშნავენ, რომ ქუთაისის გუბერნიაში პირველი აფთიაქის მფლობელს პეტრე--პავლე ივანეს ძე კოკოჩაშვილს ფარმაცევტული განათლება არ ჰქონდა და 1871 წლიდან მმართველად მოიწვია ცეზარ ივანოვსკი. სხვა ავტორების მტკიცებით (ვ.კ. ჟღენტი, პ. გ. გელბახიანი) მმართველად კოკოჩაშვილმა მოიწვია - ი. მ. იავორსკი.

ლიტერატურაში ურთიერთსაწინააღმდეგო თარიღები და ფაქტე-

ბია დასახელებული აფთიაქების გახსნასთან დაკავშირებითაც. მაგ. ლ. მიმინოშვილს [53] ქუთაისში მეორე და მომდევნო აფთიაქების (ვიტუშინსკის, რელიგიონის, ქალაქის პირველი აფთიაქის) გახსნის თარიღები არა აქვს დაზუსტებული, ასევე მოცემული აქვს, რომ კოკოჩევის (იგივე პ. კოკოჩაშვილის) აფთიაქი 1885 წელს იმართებოდა ვინმე ი. მ. ივანოვსკის მიერ, იგივე აფთიაქის მმართველად მ.ი. ჭიჭინაძეს ამავე პერიოდში დასახელებული ჰყავს ვინმე ი. იაკორსკი და ა.შ. [53, 92].

შ. ისაკაძის ცნობით ტყიბულში 1875 წლის მაისში გაიხსნა კოკოჩაშვილის აფთიაქი, მოგვიანებით - ბათუმში, უწერაში, ხოლო 1890 წელს ქუთაისში გაიხსნა სააფთიაქო და ქირურგიული აპარატურის მაღაზია, რომელიც ეკუთვნოდა კოკოჩაშვილების ოჯახს [34].

ისტორიკოსი ალექსანდრე ბენდიანიშვილი აღნიშნავს, რომ XX საუკუნის დამდეგს ქუთაისის ქალაქის თვითმმართველობამ გახსნა ორი კარგად აღჭურვილი აფთიაქი ქუთაისში [9].

ც. ჩხეიძე, მ. სააკაშვილი, ა. გელაშვილი, ლ. ჭეიშვილი [58] საზოგადოებრივი აფთიაქების შესახებ წერენ, რომ XIX საუკუნის ბოლომდე ქუთაისში არ არსებობდა სამოქალაქო ტიპის სამედიცინო დაწესებულება. სტაციონარული ავადმყოფები სამედიცინო დახმარებას ზოგჯერ იღებდნენ აქ მდებარე სამხედრო ჰოსპიტლიდან.

პირველი საზოგადოებრივი აფთიაქების არსებობის შესახებ ცნობებს ვხვდებით ილია თაბაგარის დისერტაციაში: „ქუთაისის ქალაქის თვითმმართველობამ 1912-1913 წლებში გახსნა თავისი ორი აფთიაქი ქუთაისში“ [23].

ჩვენს მიერ მოხდა ყველა ზემოაღნიშნული თარიღის დაზუსტება საარქივო მასალებზე დაყრდნობით.

კონკრეტულად ქუთაისის რეგიონის ფარმაციის ისტორია, აფთიაქების გახსნის თარიღების დაზუსტება მეტ ყურადღებას მოითხოვს. ნ. შაშიკაშვილის, მ. სააკაშვილის, ა. გელაშვილის, ლ. ჭეიშვილის, ც. ჩხეიძის [75, 53] მიერ აღწერილია, რომ 1872 წლიდან ქუთაისის გუბერნიის მაზრებში ექიმები ატარებდნენ პატარა აფთიაქებს და უწევდნენ სამედიცინო დახმარებას პაციენტებს, რადგან სხვა საშუალება არ იყო - არ იყო აფთიაქები. 1884 წლიდან მაზრებში დაიწყო ქსენონების გახსნა, სადაც იყო აფთიაქიც; რაჭის, ზუგდიდისა და ოზურგეთის მაზრებში უკვე 1888 წელს გაიხსნა ქსენონები [93]. ეს აფთიაქები უფასოდ გასცემდნენ წამლებს, რადგან აქედან წამლის გაყიდვა აკრძალული იყო. ავტორები აღნიშნავენ, რომ ასეთ ქსენონზე მზრუნველობდნენ ერობები [210].

მ. შენგელიას [76] მოჰყავს ცნობები, რომ 1867 წელს საქართველოს იმერეთის საექიმო სამმართველოს გამოეყო სააფთიაქო მმართველობის ნაწილი, ხოლო 1913 წელს მისივე ცნობით, ქუთაისის გუბერნიაში უკვე 78 აფთიაქი იყო [210, 76].

გ. ჩიხლაძე და ი. თაბაგარი [89] აღნიშნავენ, რომ სააფთიაქო საქმის ნამდვილი ორგანიზაცია საქართველოში 1803 წლიდან იწყება. ისინი ასევე იძლევიან ცნობებს თბილისის სახაზინო აფთიაქში 1805 წელს გალენური ლაბორატორიის არსებობის შესახებ, სადაც ადგილობრივი და რუსეთიდან მიღებული მცენარეული ნედლეულისაგან მზადდებოდა ყოველგვარი გამონაწვლილი და ნაყენი. ასეთივე ცნობებია ილია თაბაგარის დისერტაციაში [89], სადაც ლაპარაკია, რომ ამგვარი ლაბორატორია არსებობდა საქართველოს ყველა მაშინდელ აფთიაქში. ლაბორატორია აღჭურვილი იყო წყლის სახდელი ქვაბით და სტერილიზატორით [23], რაც სავარაუდოა, იყო ფარმაცევტული საწარმოს ჩანასახი.

წამლის ხარისხის კონტროლზე ამ ლაბორატორიებში ცნობებს გვაძლევენ ი. თაბაგარი, კ. სანდომისაშვილი და სხვები. მიუხედავად იმისა, რომ აფთიაქში წამლის ხაარისხის კონტროლის ყველა პირობა იყო, მაინც აფთიაქში მომზადებული წამლის ხარისხი ფარმაცევტული პერსონალის კეთილსინდისიერებაზე იყო დამოკიდებული. აღინიშნებოდა შემთხვევები კონკურენციისა და გამდიდრების მიზნით აფთიაქარები რომ არღვევდნენ ნორმებს, არ ასრულებდნენ მოთხოვნებს და ზოგჯერ, ატყუებდნენ კიდეც მომხმარებელს - ხელოვნურად ადიდებდნენ ფასებს, წამლის დამზადებისას ამცირებდნენ დოზებს და სხვ. ხდებოდა-ხოლმე შეცდომით მომზადებულ მიქსტურას, რომელსაც უწოდებდნენ „Mixtum fictum compositum" (ყალბი რთული ნარევი), არ გადაღვრიდნენ, არამედ სოფლელ გლეხზე გაჰყიდდნენ [61, 23]. ეს მიქსტურა სტანდარტს ვერ პასუხობდა, მაგრამ უვნებელი იყო ავადმყოფისათვის. სხვა ცნობები წამლის ხარისხის კონტროლის შესახებ ლიტერატურაში ვერ მოვიპოვეთ.

დავინტერესდით ფარმაცევტული განათლებისა და კადრების მომზადების საკითხებითაც და აღმოვაჩინეთ, რომ აღნიშნულზე ცნობები მოიპოვება ვ. ჟღენტის, პ. გელბახიანის, ი. ტატიშვილის, ტ. დეკანოსიძის, მ. შენგელიას, ტ. გაბადაძის, გ. ჩიხლაძის, ი. თაბაგარის, ნ. შაშიკაშვილის, ლ. ჩხატარაშვილის, მ. სააკაშვილისა და თანაავტორების შრომებში, საქართველოს ისტორიის ნარკვევებში და სხვ. [56, 65, 210, 10, 89, 75, 90, 59, 62,63]. აღნიშნულია, რომ საბჭოთა ხელი-

სუფლების დამყარებამდე საქართველოში ფარმაცევტული კადრების მომზადებისათვის არ იყო უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლები. პირველ განათლებას მომავალი სპეციალისტები აფთიაქარის ზედამხედველობით თვით აფთიაქშივე იღებდნენ. მსურველებს უნდა ჰქონოდათ 4 წლიანი (ვაჟებს) ან 6 წლიანი (ქალებს) განათლება. სამი წლის დახელოვნების შემდეგ კანდიდატები იძენდნენ უნარს და უფლებას ჩაებარებინათ გამოცდები რუსეთის უნივერსიტეტებში აფთიაქარის თანაშემწის წოდების მოსაპოვებლად [23]. რუსეთი გახდა ქართველების, მათ შორის ქუთაისის გუბერნიის ფარმაცევტების, განათლების კერა. იმ დროის მოწინავე რუსული სამედიცინო მეცნიერების წვლილი დიდია ქართული ფარმაცევტული კადრების აზროვნების ფორმირებაში. მრავალი ქართველი პროვიზორისა და ფარმაციის მაგისტრის სახელი დაკავშირებულია მოსკოვის უნივერსიტეტთანაც [58]. დაასრულებდნენ-რა სწავლას რუსეთში, ქართველი სპეციალისტები, თავიანთ პრაქტიკულ ჩვევებს განიმტკიცებდნენ საქართველოში [58, 75, 62, 63].

ქუთაისელი ფარმაცევტები და პროვიზორები ქალაქის საზოგადოებრივი ცხოვრების აქტიური მონაწილეები იყვნენ. ასე მაგალითად: 1888 წელს ქუთაისის ქალაქის სათათბიროს 35 ხმოსნიდან 3 პროვიზორი იყო: ი.პ. კოკოჩაშვილი, ლ.პ. კოკოჩაშვილი და ვ.ა. ვიტუშინსკი. ვახტანგ იულოს ძე გიორგაძის ცნობით, ქუთაისელი პროვიზორები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ კავკასიის სამედიცინო საზოგადოების მუშაობაშიც. ქუთაისელმა პროვიზორმა ა.ი. დრიგინმა 1878 წელს გააკეთა მოხსენება ამ საზოგადოების სხდომაზე, ხოლო 1892 წელს საზოგადოების წევრებად არჩეული იყო პროვიზორი - ლ.პ. კოკოჩაშვილი, მოგვიანებით - ვ.ა. ვიტუშინსკი [13].

ზემოთ დასახელებული ავტორების შრომებში მოცემულია ქუთაისელი პროვიზორების სახელები, რომლებმაც სახელი გაუთქვეს ქართულ ფარმაციას: ი.გ. ქუთათელაძე, პ.ი. ჭუმბურიძე, ვ.ე. შოთაძე, ი.ს. ტყეშელაშვილი, პარმენ ჭეიშვილი, ბაგრატ აბულაძე, ე. ახვლედიანი, იასონ გრიგოლაშვილი, ივლიანე გრიგოლაშვილი, ვლადიმერ კახიანი, სერგო მესხი, არქიფო დავითის ძე მხეიძე, ი.მ. ნარეშელაშვილი, ა. სურგულაძე, ვ. შავგულიძე, ა. წულუკიძე და სხვები [ 90, 65, 56, 53].

მომუშავე ფარმაცევტების სოციალური მდგომარეობის შესახებ მონაცემები ლიტერატურულ წყაროებში ძალიან მწირია. ამიტომ საჭიროდ ჩავთვალეთ შეგვესწავლა აღნიშნული საკითხიც.

## პირველი თავის დასკვნები

1. უძველესი დროიდან საკვლევ პერიოდამდე დასავლეთ საქართველოში წამალთმცოდნეობის ჩამოყალიბება და განვითარება, ლიტერატურული მონაცემების მიხედვით, განუყრელად იყო დაკავშირებული ხალხების სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ განვითარებასთან, ისტორიასთან, ფილოსოფიის, ბუნებისმეტყველების, ხალხური მედიცინისა და სხვათა განვითარებასთან. მისი მრავალსაუკუნოვანი თვითმყოფადი კულტურა, მდიდარი სამკურნალწამლო ფლორა, არაორგანული და ორგანული ბუნების რესურსები, კავშირები ახლო აღმოსავლეთის ცივილიზაციებთან, ხმელთაშუა ზღვისპირეთთან, ევროპის ქვეყნებთან და რუსეთთან ხელს უწყობდა დასავლეთ საქართველოს წამალთმცოდნეობის განვითარებას. ამ განვითარებას წინ უძღოდა ხალხური, სამონასტრო მკურნალობის საფეხურები და რომის კათოლიკური ეკლესიის მისიონერების გავლენა. ქუთაისი, როგორც დასავლეთ საქართველოს მთავარი ქალაქი, ყოველთვის წამყვან როლს თამაშობდა წამალთმცოდნეობის განვითარებაში. 1810 წლიდან იმერეთის სამეფოს რუსეთის იმპერიაში ირიცხებოდა; 1846 წლიდან - ქუთაისის გუბერნიის სახელწოდებით.

2. ბატონყმობის გაუქმებამ დააჩქარა დასავლეთ საქართველოში კაპიტალიზმის განვითარება: გაჩაღდა რკინიგზის მშენებლობა, განვითარება დაიწყო მრეწველობამ, გაიზარდა ქალაქის მოსახლეობის რიცხვი. ქალაქებმა - ბათუმმა, ქუთაისმა, სოხუმმა, ოზურგეთმა და ფოთმა მიიღეს თვითმმართველი ქალაქების სტატუსი. ეს ცვლილებები დადებითად აისახა წამალთმცოდნეობის განვითარებაზეც; წარმოიშვა მეცნიერული ფარმაციისა დ სააფთიაქო საქმის გაძღოლის ახალი - რუსული მდინარება.

3. ჩვენს მიერ გაკეთებული ლიტერატურული მასალის ანალიზი ამტკიცებს, რომ მიუხედავად ისტორიკოსებისა და მედიცინის ისტორიის მკვლევარების მიერ ჩატარებული მრავალრიცხოვანი გამოკვლევებისა, XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში ქუთაისის გუბერნიაში ფარმაციის ორგანიზაციისა და განვითარების მდგომარეობა არასაკმარისადაა შესწავლილი და იგი შემოიფარგლება ცალკეული მონაცემების არასისტემატიზებული აღწერით ქრონოლოგიური მთლიანობის გარეშე, კერძოდ:

ა) აფთიაქების გახსნის თარიღების შესახებ მოცემულია ცალკე-

ული ცნობები, ზოგიერთები დაუზუსტებელიც კი;

ბ) გაშუქებულია XIX საუკუნის საქართველოს, მათ შორის, ქუთაისის გუბერნიის მოსახლეობის ფარმაცევტული მომსახურეობის ძირითადი ფორმები, თუმცა ეს უკანასკნელი - არასაკმარისად;

გ) მოპოვებულია მწირი მასალები ქუთაისის აფთიაქებში სააფთიაქო ლაბორატორიების მხოლოდ არსებობაზე და არაფერია ნათქვამი მასში მიმდინარე პროცესებზე, მის აპარატურაზე, პერსონალსა და სხვა საკითხებზე;

დ) გამოყოფილი არაა ფარმაცევტების, პროვიზორების, ფარმაციის მაგისტრების ის სახელები, რომლებმაც თავისი შრომითი საქმიანობა დაიწყეს ქუთაისის გუბერნიის აფთიაქებში, ადგილზე მუშაობით გახდნენ აფთიაქარის პროფესიის პრესტიჟულობის ეტალონი, მათი სახელი გასცდა რეგიონის ფარგლებს და თავისი მოღვაწეობით სახელი გაუთქვეს ქართულ ფარმაციას საქართველოს ფარგლებს გარეთაც;

ე) სამწუხაროდ, დღეს საქართველოში გამოცემულ ფარმაცევტული საქმიანობის ორგანიზაციისა და ეკონომიკის არც ერთ სახელმძღვანელოში არ მოიპოვება ცნობები XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში ქუთაისის გუბერნიაში ფარმაციის ორგანიზაციისა და განვითარების ძირითად მიმართულებათა შესახებ, არადა როგორც აღინიშნა, ქუთაისის რეგიონი და მთლიანად ქუთაისის გუბერნია ამიერკავკასიის ერთ-ერთი წამყვანი რეგიონი იყო.

# თავი 2. ფარმაცევტული საქმიანობის ორგანიზაცია დასავლეთ საქართველოში 1847-1917 წწ.

## 2.1. ფარმაცევტული სამსახურის სტრუქტურა

პერიოდში, რომელიც ჩვენი კვლევის ინტერესს წარმოადგენდა, დასავლეთ საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში იყო და იმართებოდა მისი კანონებით. სამედიცინო, მათ შორის ფარმაცევტულ მმართველობას ახორციელებდა *რუსეთის იმპერიის სამედიცინო საბჭო და მთავარი საექიმო ინსპექტორი.* [155, 176], ეს ადმინისტრაციული დანაყოფები ეკუთვნოდა *შინაგან საქმეთა სამინისტროს.* მთავარი საექიმო სამმართველოს მიერ ხდებოდა კანონპროექტების შემუშავება და დასამტკიცებლად სამედიცინო საბჭოზე მათი გატანა; მხოლოდ ამის შემდეგ ხდებოდა ამ პროექტების უმაღლესად დამტკიცება. XX საუკუნის დასაწყისში რ. კელერი, ამხანაგობა „რ. კელერი და კომპანია"-ს წევრი, წერდა: „სამედიცინო საბჭო არის იმპერიაში უმაღლესი, სახალხო ჯანმრთელობის და საერთო სახელმწიფოებრივი საექიმო-სანიტარული ინტერესების გამტარებელი დაწესებულება. არანაირი სამედიცინო ღონისძიება არ უნდა გადაეცეს უმაღლესი დამტკიცებისათვის სამედიცინო საბჭოზე მისი წინასწარი განხილვის გარეშე".

ჩვენს მიერ შემუშავებულია 2.1.1. სქემა, სადაც ასახულია ფარმაცევტული სამსახურის ხელმძღვანელობის სტრუქტურა ამ პერიოდში [116, 158, 155, 314].

საარქივო მასალების შესწავლისას ყველაზე მრავლისმთქმელი ინფორმაცია სააფთიაქო საქმიანობაზე ქუთაისში, ჩვენს მიერ მოძიებულია *ქუთაისის ქალაქის თვითმმართველობის არქივის ფონდში* და შესაბამისად, სრული ინფორმაცია მოგვეპოვება ქალაქის თვითმმართველობის აფთიაქების შესახებაც. ამას ვერ ვიტყვით *საგუბერნიო მმართველობის არქივის ფონდზე, რომელშიც* ასეთი ცნობები გაფანტულია და არ არის სისტემატიზებული. ერთი-ორი კერძო აფთიაქის შესახებ ინფორმაცია არქივში სხვა ტიპის დაწესებულებების დოკუმენტაციასთან ერთადაა აღნუსხული. მაგრამ ფაქტია, რომ ქალაქის აფთიაქის შესახებ მასალების განზოგადება გამართლებული იქნება კერძო აფთიაქებში არსებული სურათის წარმოსადგენად. ამრიგად,

შეიძლება თამამად წარმოვიდგინოთ განხილული პერიოდის აფთია-ქის ისტორიული სცენარი და ვიდეოეკოლოგია.

აფთიაქის გახსნისას ყველა მსურველს უნდა მიემართა ჯერ ქუ-თაისის გუბერნატორისათვის, საგუბერნიო მმართველობის საექიმო განყოფილებისათვის და ბოლოს გუბერნიის ექიმისათვის. მაგ. 1894-1901 წწ. ვინმე ს. ს. სერგიენკო გუბერნატორის შესახებ წერდა: „მას აქვს უფლება გასცეს ცნობა აფთიაქის გახსნის შესახებ - მისი დათვა-ლიერების შემდეგ.“ [285].




სქემა 2.1.1. ფარმაცევტული სამსახურის
ხელმძღვანელობა 1847-1917 წწ.

კერძო აფთიაქების იჯარით აღება შეეძლოთ კერძო პირებსა და ქალაქის თვითმმართველობას. ასე მაგალითად, პროვიზორ დ. ანცი-პოს მემკვიდრეებიდან აფთიაქი იჯარით აიღო ფოთის ქალაქის თვითმმართველობამ და მას მართავდა დაქირავებული პროვიზორი

(ე.ი. აფთიაქის მესაკუთრე ქალაქის თვითმმართველობა იყო). [301].

სქემა 2.1.1. გვიჩვენებს კანონების დამტკიცების თანმიმდევრობას, ასევე ქუთაისის გუბერნიის სამედიცინო სამსახურის სუბორდინაციას. ასე მაგალითად, საარქივო მასალებიდან აშკარად ჩანს, როგორ ხდებოდა ინსტრუქციის შემუშავება და მიღება. ქალაქის აფთიაქის მართვის ინსტრუქციის პროექტი, რომელიც ქუთაისის ქალაქის თვითმმართველობამ შეიმუშავა, დასკვნისათვის გადაეცა ქუთაისის გუბერნიის ექიმს, რომელმაც ამის შესახებ მოახსენა ქუთაისის გუბერნატორს [294]. თავის მხრივ, გუბერნატორს შეეძლო საკუთარი ცვლილებების შეტანა (ამ პერიოდში აფთიაქების რიცხვი გუბერნიაში სწრაფად იზრდებოდა, ამიტომ წარმოიშვა სააფთიაქო საქმის რეგლამენტაციის ცვლილებებისა და ახალი დოკუმენტების მიღების აუცილებლობა).

ქუთაისის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში ჩვენს მიერ მოკვლეულია ერთ-ერთი ტიპიური იმდროინდელი დოკუმენტი - 1904 წლის „სააფთიაქო წესდების პროექტი“. [294]. იგი შემუშავდა რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა სამინისტროს მთავარი საექიმო ინსპექტორის მიერ და ამავე წელს განხილვისა და დასკვნისათვის გადმოგზავნილი იქნა ქუთაისის გუბერნატორთან. ქუთაისის გუბერნატორმა პროექტი გადაუგზავნა ქალაქის სააფთიაქო კომისიას, ხოლო სააფთიაქო კომისიამ იგი გადასცა ქალაქის პირველ აფთიაქს (სურ. 2.1.2).

აღნიშნული პროექტის ანალიზით ჩვენ მივიღეთ საინტერესო ინფორმაცია იმდროინდელი ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ. „სააფთიაქო წესდების პროექტი“ 28 ფურცლიანია და შედგება შემდეგი განყოფილებებისაგან: რუსეთში სააფთიაქო საქმის საკანონმდებლო და ადმინისტრირების განკარგულებების ნარკვევი, ზოგადი მოსაზრებები სააფთიაქო წესდების ძირითადი დებულებების შესახებ, პროექტის შედარება მოქმედ კანონთან და მისი მოტივაცია, პროექტის ზოგადი განმარტებები. ამ უკანასკნელში გამოყოფილია პუნქტები: აფთიაქის მფლობელის მიმართ პროექტის შეზღუდვები, აფთიაქის - როგორც საკუთრების ობიექტის მიმართ შეზღუდვები და აფთიაქის მესაკუთრეთა შეზღუდვები, პროექტით ახალი აფთიაქების გახსნაში, საზოგადოებრივი ფორმირებებისათვის უპირატესობის მინიჭება, ფარმაცევტული საქმიანობისათვის მომზადების პირობები და ცენზი ფარმაცევტებისათვის, დებულებები სამკურნალო საშუალების სამრეწველო დამზადების, მათი აფთიაქგარე გაყიდვის, აფთიაქის არ-

მქონე პუნქტებში ექიმებისათვის წამლის გაყიდვის ნებართვის წესე-ბის, აფთიაქის დამფუძნებლის უფლების მიმღები პირის მოვალეობე-ბი, პროფესიული დარღვევებისათვის საყვედურებისა და სასჯელის შესახებ და სხვ.



— 32 —

Ксерокопия 2.I.

**Объяснительная записка къ проекту аптекарскаго устава.**

**Очеркъ законодательства и административныхъ распоряженій по фармацевтическому дѣлу въ Россіи.**

Развитіе фармацевтическаго дѣла въ Россіи опредѣлялось до настоящаго времени, главнымъ образомъ, условіями учрежденія вольныхъ аптекъ. Первый почипъ учрежденія вольныхъ аптекъ сдѣланъ былъ двѣсти лѣтъ тому назадъ Петромъ Великимъ. Какъ и всѣ учрежденія, для устройства которыхъ въ ту эпоху не было еще русскихъ людей, первыя аптеки пользовались преимущественно трудомъ иностранцевъ и привилегіями, охранявшими ихъ матеріальные интересы; онѣ находились подъ защитой запрета всякихъ торговыхъ дѣйствій, которыя могли относиться къ кругу занятій аптекаря. Подъ такой охраной законодательной власти аптеки ревниво оберегали свои привилегіи, и аптечное дѣло въ Россіи развивалось очень медленно.

Постановленія нашего дѣйствующаго закона, которыми опредѣляются почти всѣ современныя условія веденія аптечнаго дѣла, имѣютъ своими источниками законоположенія давняго времени, начиная съ XVIII столѣтія. Первый Аптекарскій Уставъ былъ изданъ въ концѣ XVIII вѣка и далъ основу и почти все содержаніе второму, и послѣднему, Аптекарскому Уставу, утвержденному еще въ первой половинѣ прошлаго вѣка, 23 декабря 1836 г. (Втор. Полн. Собр. Зак., т. XI, № 9808). Постановленія этого же Устава воспроизведены были безъ всякихъ измѣненій въ Уставѣ Врачебномъ, изданія 1857 г. и, почти въ томъ же видѣ, они перешли въ Уставъ Врачебный послѣдняго изданія (1892 г.) съ добавленіемъ лишь «Правилъ объ учрежденіи и устройствѣ сельскихъ аптекъ», введенныхъ на основаніи ВЫСОЧАЙШЕ утвержденнаго 6 ноября 1881 года Положенія Комитета Министровъ (книга I, раздѣлъ VI, глава 4). За все, затѣмъ, послѣдующее время до нашихъ дней изъ законоположеній, имѣющихъ отношеніе къ фармацевтическому дѣлу въ Имперіи, послѣдовали только два ВЫСОЧАЙШЕ

1226 1

**По Управленію Главнаго Врачебнаго Инспектора.**

სურ. 2.1.2. 1904 წ. საafთიაქო წესდების პროექტის თავფურცელი (ქუთაისის ცსა ფონდი 108. საქმე 3043. გვ. 46)

იმ დროს არსებული საaფთიაქო წესდება, რომელიც საექიმო წესდების შემადგენელი ნაწილი იყო, ასევე განსაზღვრავდა აფთიაქის შინაგანაწესს, მომარაგებასა და მართვის წესს, აფთიაქში წამლის დამ-ზადებისა და გაშვების წესებს. ეს წესები მოქმდებდნენ 1873 წლიდან და მათი გამოყენების თითქმის 30-წლიანმა პრაქტიკამ დაამტკიცა, რომ ისინი ახალი დროისათვის უკვე მოძველებულნი იყვნენ.

XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან რუსეთი მოიცვა ქალაქისა და სოფლის საზოგადოებრივი მოძრაობების ძლიერმა ტალღამ. 1906 წლის 16 ივნისს კავკასიაში საფუძველი ჩაეყარა დებულებას ერობების შესახებ. ქალაქის თვითმმართველობები და სოფლის ერობები აქტიუ-

რად იბრძოდნენ ქალაქისა და სოფლის არასმქონე მოსახლეობის, განუკურნებელი და სულით ავადმყოფების, დასახიჩრებულთა სამედიცინო მომსახურეობის გასაუმჯობესებლად. ისინი ცდილობდნენ აფთიაქები გაეხსნათ ყველგან; ამბულატორიულ პუნქტებთანაც კი ეწყობოდა წამლის მომზადება და გაშვება. [107].

ქალაქები და ერობები თავიანთი შემოსავლის მნიშვნელოვან ნაწილს გამოყოფდნენ მოსახლეობის საექიმო მომსახურეობაზე. 1904 წლისათვის მათ ჯერ კიდევ არ ჰქონდათ მინიჭებული კანონმდებლობითი უპირატესობა ახალი აფთიაქების გახსნის დროს, მაგრამ თავის თავზე იღებდნენ აფთიაქების ნებაყოფლობით გამოსყიდვას და ამისათვის მატერიალურ დანახარჯებს არ იშურებდნენ. [107]. ასეთი აფთიაქი 1901 წლიდან ქუთაისის ქალაქის გამგეობასთანაც არსებობდა, რაც იმ დროისათვის პროგრესული ნაბიჯი იყო. აქ, პროვინციულ საგუბერნიო ქალაქში, წყდებოდა ფარმაცევტული საქმის მნიშვნელოვანი საკითხები. სწორედ ამიტომ არაა გასაკვირი, თუ სააფთიაქო წესდების პროექტი განსახილველად მეფის კანცელარიამ ქუთაისში გადმოაგზავნა, სავარაუდოა ასეთი პროექტი თბილისშიც გადაიგზავნა, როგორც საგუბერნიო ქალაქში, მაგრამ ლიტერატურული წყაროების შესწავლისას ინფორმაცია ამის შესახებ არ ყოფილა მოპოვებული. ძირითადი სამიზნე ამ პროექტისათვის მაინც ქალაქის გამგეობის საზოგადოებრივი აფთიაქი იყო. [107].

სააფთიაქო წესდების პროექტის განმარტებითი წერილის განხილვა მთელს გუბერნიაში და იმპერიაში ფართოდ შუქდებოდა იმპერიულ პერიოდულ პრესაში, მათ შორის ფარმაცევტულშიც. ჟურნალ „Фармацевтический вестник"-ის 1904 წლის 13 ივნისიდან ნომრებში 23-28 ქვეყნდებოდა, როგორც ჟურნალი აღნიშნავს, მისი „ყველა საგუბერნიო ქალაქისა და სოფლის ერობის აფთიაქში წინასწარი განხილვის შედეგები". [191, 197].

იმდროინდელი პერიოდული ფარმაცევტული პრესის ფურცლებზე ამ პროექტის შესახებ რუსეთის სხვადასხვა კუთხიდან უამრავი რეცენზია მოვიპოვეთ. მაგალითად, ხარკოვიდან წერდნენ: „პროექტი უკვე შემუშავებულია სამინისტროს მიერ და ვრცელ განმარტებით წერილთან ერთად დაგზავნილია დასკვნებისათვის საგუბერნიო საერობო კრებებისათვის. ჩვენი აზრით, პროექტირებული წესრიგი ინარჩუნებს-რა მონოპოლიებს, აფუძნებს მას მერყევ ნიადაგზე, რომელიც შეიძლება სპეციალისტს ყოველ წუთს გამოეცალოს. ვფიქრობთ იგი ვერ მიაღწევს მიზანს, რადგან ამ კანონის აღმასრულებლებმა ყო-

ველ წუთს შეიძლება მას ისეთი აღსრულება მოუძებნონ, რომელიც უცხო იყო კანონმდებლისათვის.“ [197].

*აფთიაქის პრივილეგიას შინაგან საქმეთა სამინისტრო ვერ შეეხო და შეინარჩუნა იგი ახალ სააფთიაქო კანონმდებლობის პროექტშიც.* რუსეთის სხვა გუბერნიებიდან კანონპროექტს ასე აკრიტიკებდნენ: „ამ კანონმა პრივილეგირებული აფთიაქების გახსნის დროს გამოკვეთა მხოლოდ საზოგადოებრივი დაწესებულებების უპირატესობა სხვა კონკურენტებთან შედარებით, მაგრამ ეს უპირატესობაც ფორმალური იყო, რადგან კანონპროექტი საზოგადოებრივ დაწესებულებებს ფარმაცევტული საზოგადოებრივი საქმის განვითარების არანაირ არსებით უფლებას არ აძლევდა“. ერთ-ერთი გუბერნიიდან პირდაპირ მოითხოვდნენ „მონოპოლიის უფლების გაუქმებას, თვითმმართველი ორგანოების თავისუფლებას, აფთიაქარის შეგირდობის (როგორც დაქირავებული შრომის აშკარა მაგალითის) მოსპობას.“ [191-197].

დროგისტი (დროგისტი - წამლით მოვაჭრე; ინგლ. Drug - წამალი) რ. კელერი ამხანაგობიდან „კელერი და კომპანია“, 1904 წელს სამართლიანად და უმოწყალოდ აკრიტიკებდა „ახალი სააფთიაქო წესდების პროექტს“ წიგნში „მართალი სიტყვა ხელისუფლებასა და ხალხს ახალი სააფთიაქო წესდების პროექტის შესახებ“. [149, 150].

როგორც წესდების პროექტის განხილვიდან ჩანს, სხვადასხვა რეგიონების ქალაქის თვითმმართველობებისა და სოფლის ერობების მხრიდან მას მოყვა რიგი „ძალიან შორსმჭვრეტელური და საფუძვლიანი ... პასუხები, იმის შესახებ, რომ სააფთიაქო მონოპოლიები უნდა გაუქმდეს, ხოლო ფარმაცევტულ მანუფაქტურას მიეცეს სივრცე და თავისუფლება“. სხვა დასკვნის მიცემა არც შეეძლოთ დაწესებულებებს, რომლებიც მოწოდებული იყვნენ ხალხის გასაჭირზე ფიქრისათვის და რომლებიც ასე თუ ისე იცნობდნენ იმ უბრალო ჭეშმარიტებას, რომ მედიკამენტებზე მოთხოვნილება არის მეორე - პურის მოთხოვნილების შემდეგ“ - წერდა რ. კელერი თავის წიგნში. [149].

იგივე მოსაზრებები გამოითქვა სააფთიაქო წესდების პროექტის შესახებ ქუთაისის ქალაქის აფთიაქისა და სააფთიაქო კომისიის მიერ. თუმცა ქუთაისის ქალაქის პირველი აფთიაქის მმართველი გიორგი პავლეს ძე ნიკიტინი გამოვიდა სამკურნალო საშუალებებისა და ავადმყოფის მოვლის საგნებით არასააფთიაქო (აფთიაქსგარე) ვაჭრობის წინააღმდეგ. სააფთიაქო საქონლით ვაჭრობა სააფთიაქო მაღაზიებში, მისი აზრით, ძლიერ შეამცირებდა აფთიაქების მოგებას, რადგან ზოგჯერ სააფთიაქო მაღაზიები არ მოიშლიან სხვა პრეპარატების გაყიდვა-

საც (მაგ. გალენური და სხვ.), რომლებიც არ უნდა იყიდებოდეს სააფთიაქო მაღაზიებში. [107, 294].

სააფთიაქო წესდების პროექტის ეს წინააღმდეგობები გამოიწვია ამ ძლიერ საეჭვო დოკუმენტის თვით სტრუქტურამ და შინაარსმა, რადგან „იგი წარმოადგენს მხოლოდ ფრაზებს, ხშირად სრულიად ურთიერთსაწინააღმდეგოსაც კი, ვითომდა იმისათვის, რომ ხალხისათვის მედიკამენტები სააფთიაქო საქმის საზოგადოებრივი ქვედანაყოფების ხელში გადასვლით გახადოს ხელმისაწვდომი“. [149].

საინტერესო იყო, რომ სამედიცინო საბჭოს გარდაქმნის შემდეგ, მის შემადგენლობაში შედიოდნენ დეპუტატი აფთიაქარები - კერძო აფთიაქთა მფლობელები და სამედიცინო საბჭო „აფთიაქარ-მონოპოლისტების თვალით უყურებდა ყოველივეს; დაიწყო საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სააფთიაქო მაღაზიების მფლობელების, ფარმაცევტული პროდუქციის მწარმოებელი ფაბრიკების გამლიერებული დევნა“. სახელმწიფო საბჭო და უმაღლესი მმართველობითი ორგანოები ვერასოდეს შეურიგდებოდნენ სააფთიაქო მონოპოლიის შევიწროებას. ამის დასადასტურებლად მოგვყავს ფაქტი: ჩვენს მიერ მოკვლეულია ცნობა იმის შესახებ, რომ 1873 წლის 25 მაისს შემუშავებული იქნა „წესები აფთიაქის გახსნის შესახებ“, რომლებიც არასოდეს არ ყოფილა დამტკიცებული კანონმდებელი ხელისუფლების მიერ და მიუხედავად ამისა, ისინი გამოიყენებოდა, რადგან ხელს აძლევდა სააფთიაქო პრივილეგიასა და მონოპოლიას.

სამედიცინო საბჭო ანგარიშს არ უწევდა საღადმოაზროვნე ფარმაცევტული საზოგადოების აზრს მთელს იმპერიაში, დაჟინებით იცავდა მონოპოლისტ-აფთიაქარების უფლებებს, რითაც არ ვნებდა საკუთარ ჯიბეს - აფთიაქის მფლობელთა მხრიდან გაცემული დიდი ჰონორარი უნარჩუნებდა იმპერიას სააფთიაქო საქმის წარმოების დაბალ დონეს და „წამლის შიმშილს“. [149].

საზოგადოებრივი და სპეციალური პრესის გამოხმაურებებში, ასევე რ. კელერის იგივე წიგნის მეორე გამოცემის წინასწარსიტყვაობაში [149, 150], საზოგადოება იწონებდა კრიტიკას, რომელიც მიმართული იყო რუსეთის იმპერიის ფარმაცევტული საქმიანობის მმართველობით აპარატში გამეფებული ბიუროკრატიისა და მექრთამეობის წინააღმდეგ.

სოციალისტური წყობილების დროს ასრულდა ფარმაცევტების სურვილი და ფარმაცევტული საქმიანობის ორგანიზაცია გამოეყო სამედიცინო ნაწილს ცალკე სამმართველოს სახით, რომელშიც შედი-

ოდნენ რეგიონული სამმართველოები. ყველა ამ ადმინისტრაციული ქვედანაყოფის სათავეში მხოლოდ ფარმაცევტები იდგნენ. საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობებზე გადასვლის შემდეგ, 2001 წლიდან ჩამოყალიბებული ახალი მმართველობითი ორგანიზაცია არც ამას ჰგავს და არც მის წინამორბედს. მონოპოლიზაციის გაუგონარი მასშტაბები შექმნა მარკეტინგის განვითარებამ და საკანონმდებლო ბაზის ხარვეზებმა.

## 2.2. ქალაქის სააფთიაქო კომისია

ჩვენს მიერ მოკვლეული საარქივო დოკუმენტებით დადგენილია, რომ 1901 წელს ქუთაისში გაიხსნა ქალაქის პირველი აფთიაქი, რომელიც ეკუთვნოდა არა კერძო პირს, არამედ ქალაქის თვითმმართველობას. 1904 წელს პირველად იქნა არჩეული ქალაქის სააფთიაქო კომისია. არჩევნები ტარდებოდა ფარული კენჭისყრით; ხმის მიცემა ხდებოდა ბურთულებით. კომისიაში ხმოსნების გარდა შევიდნენ ქალაქის სათათბიროს წევრები, ექიმები და აფთიაქის მფლობელი პროვიზორები. სხვადასხვა დროს კომისიის შემადგენლობა განისაზღვრებოდა 7-დან 11-მდე წევრით. მაგალითად, 1905 წელს, ქუთაისის ქალაქის სააფთიაქო კომისიის შემადგენლობაში შედიოდა 11 წევრი: დ.ა. ნაზარიშვილი, ს.ნ. ხეჩინაშვილი, გ.გ. გოკიელი (სამივე - ექიმი), ფ. ა. რელიგიონი - პროვიზორი, კერძო აფთიაქის მფლობელი ქუთაისში, გ.დ. ნასარიძე, ი.ი. მურადაშვილი, დ.ი. აბდუშელიშვილი, დ.ვ. კვირკელია, გ.პ. მოსეშვილი, ი.გ. ჩიმაკაძე, ი.გ. ჩარექოვი (სათათბიროს წევრები). უკვე 1910 წელს კომისიაში მხოლოდ 7 წევრი იყო - ქალაქის თავი დ.ა. ლორთქიფანიძე, ექიმები, ფარმაცევტები და სათათბიროს წევრები. [292,321]. როგორც ქუთაისში, ისე გუბერნიის თვითმმართველ ყველა ქალაქში არსებობდა ქალაქის აფთიაქები. [328, 329].

ჩვენს საკვლევ პერიოდში ქალაქის სააფთიაქო კომისია წარმოადგენდა სააფთიაქო სამსახურის მმართველობით ორგანოს. კომისიის ფუნქციებში შედიოდა: არა კერძო, არამედ ქალაქის აფთიაქების ზედამხედველობა და სოციალურ-საყოფაცხოვრებო საკითხების განხილვა. როგორც საარქივო მასალებიდან ჩანს, 1913 წელს ქუთაისში გაიხსნა ქალაქის მეორე აფთიაქიც. [292, 320, 221, 317].

სააფთიაქო კომისიის არსებობის შესახებ ქართულ ფარმაცევტულ ლიტერატურაში მონაცემები არ მოიპოვება. ამ ორგანოს ორი-

გინალობას ხაზს უსვამს ის ფაქტი, რომ ქუთაისის ქალაქის სათათბიროს მიერ შემუშავებული და 1910 წელს დამტკიცებულიც იქნა ქალაქის სააფთიაქო კომისიის ინსტრუქცია [292], რომლითაც ჩვენთვის ცნობილი გახდა კომისიის ძირითადი ფუნქციები; კომისიის არჩევა ხდებოდა ქალაქის აფთიაქის ხელმძღვანელობისა დ კონტროლისათვის. კომისიის მიერ ისახებოდა აფთიაქის (მოგვიანებით - აფთიაქების) მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებები; იგი აწარმოებდა მოლაპარაკებებს მედიკამენტების მომწოდებელ ორგანიზაციებთან და პირებთან [314], მის მიერ ქალაქის გამგეობასთან ერთად ინიშნებოდა და თავისუფლდებოდა აფთიაქის მმართველი, ხდებოდა აფთიაქის თანამშრომელთა მთელი უმაღლესი შტატის ამორჩევა [311], იგი განსაზღვრავდადა ხელფასის ოდენობას, ამტკიცებდა ქალაქის აფთიაქისა და მისი ფილიალების შემოსავალ-გასავალს. სააფთიაქო კომისიის ფუნქციების შეუჩერებელი ზრდა იწვევდა უკმაყოფილებას საგუბერნიო საექიმო განყოფილების მხრიდან. [41].

წელიწადში ერთხელ კომისია ამოწმებდა აფთიაქს - ატარებდა მატერიალურ რევიზიას, ხოლო თვეში ერთხელ, თავის რეგულარულ სხდომებზე, ისმენდა ანგარიშს ქალაქის აფთიაქის მუშაობის შესახებ. სააფთიაქო კომისიის ყველა წევრი უფლებამოსილი იყო ნებისმიერ დროს შეემოწმებინა აფთიაქის თანამშრომელთა მორიგეობის განრიგი, სალაროსა და სხვა წიგნები. [282].

ზოგჯერ ქალაქის სააფთიაქო კომისია არეგულირებდა მედიკამენტების გასაყიდ ფასებსაც. ასე მაგალითად, 1917 წელს კერძო აფთიაქების მფლობელებმა გაზარდეს წამლების გასაყიდი ფასები; ქალაქის აფთიაქის თანამშრომელებმა ასევე მოთხოვეს ქალაქის სააფთიაქო კომისიას ფასების მომატება წამლებზე, რათა შემდეგ გადიდებულიყო მათი ხელფასი. [97].

ქალაქის სააფთიაქო კომისიის არჩევა იყო პროგრესული მოვლენა. ქალაქის თვითმმართველობა და სათათბირო ცდილობდნენ შეექმნათ ქალაქის სხვადასხვა დაწესებულებების, მათ შორის აფთიაქების, დამოუკიდებელი მმართველობა მათი მართვის, ხელმძღვანელობისა და კონტროლისათვის. იმ მიზნით, რომ ისინი გამოყოფილი ყოფილიყვნენ საგუბერნიო მმართველობისაგან და მუდმივად ყოფილიყვნენ ფორმაში. თუმცა არაიშვიათად აწყდებოდნენ წინააღმდეგობებს გუბერნიის ხელმძღვანელობის მხრიდან, რომელსაც ქალაქების თვითმმართველობები დაარსების დღიდანვე არ მოსდიოდა თვალში.

კომისია ფუნქციონირებდა საზოგადოებრივ საწყისებზე, ყოველგვარი ხელფასის გარეშე. იგი არ აზარალებდა აფთიაქისა და ქალაქის ბიუჯეტს. ვერ ვხედავთ ვერაფერს შეუძლებელს, ეს მაგალითი გამოყენებული იქნას ქალაქში ფარმაცევტული საქმის ორგანიზაციისათვის დღესაც; კომისიებში მოწვეულ პროვიზორებს შეეძლოთ პროფესიულ დონეზე საჭირო პერიოდულობით ჩაეტარებინათ მეთვალყურეობა და კონტროლი.

1917 წლიდან ყალიბდება ფარმაცევტული საქმის ორგანიზაციის თვისობრივად ახალი პერიოდი - გაზრდილი ადმინისტრაციული პერსონალით და მაკონტროლებელი ორგანოებით.

1990-იანი წლებიდან კი - საქართველოს, მათ შორის ქუთაისის აფთიაქები მეორე უკიდურესობის მოწმე გახდნენ, კერძოდ 2000 წლიდან მარკეტინგის ტალღამ გადაუარა სააფთიაქო საქმის ორგანიზაციას და წალეკა ყოველივე, რაც იყო მისაბაძი და ნაცადი. საყოველთაო მონოპოლიზაციამ და მოგების მიღების დაუძლეველმა სურვილმა სააფთიაქო საქმე სრულიად უკონტროლო მდგომარეობაში დატოვა არა თუ ქუთაისისა და საზოგადოდ ქალაქების დონეზე, არამედ მთელი საქართველოს მასშტაბით. მარკეტინგი, როგორც ასეთი, საუკუნეზე მეტია კვალიფიცირებულია. ჩვენი წინაპრები, მე-19 საუკუნის პროვიზორები, მას კარგად იცნობდნენ, მაგრამ ფარმაცევტული საქმიანობა ძირითადად მაინც სამედიცინო საქმიანობას მიეკუთვნებოდა, თუმცა მოგების მაქსიმიზაციის მიდრეკილებები დარგისათვის უცხო არასდროს ყოფილა.

სააფთიაქო კომისიას ჰქონდა თავისი უარყოფითი მხარეებიც: მასში შედიოდნენ ისეთი პირებიც კი, რომლებიც სრულიად უცხონი იყვნენ სააფთიაქო საქმეში, მაგრამ კარგად იცნობდნენ აფთიაქის ეკონომიკას. სამართლიანად აღნიშნავდა 1914 წ. ქუთაისის ქალაქის სააფთიაქო კომისიის თავმჯდომარე ექიმი გ. ბადრიძე, „ადამის დროიდან ჩვენ არ შეგვიმოწმებია აფთიაქის ანგარიშები“.....„მე არაფერი გამიკეთებია სააფთიაქო საქმეში ჩემი გამოუცდელობის გამო“, ამიტომ აფთიაქში „საშინელი უწესრიგობაა“ და არის „არა მოგება, არამედ - წაგება“. ეს მდგომარეობა ასე რჩებოდა რამდენიმე წლის განმავლობაში, სანამ გაერთიანებულმა ფინანსურმა შემოწმებამ არ გააკონტროლა აფთიაქი და არ მიიღო ზომები სასურველი წესრიგის დასამყარებლად. სააფთიაქო კომისიის ხელმძღვანელს, ექიმს, ნაკლებად შესაძლებელია, რომ კომპეტენტურ დონეზე ჩასწვდომოდა აფთიაქის ეკონომიკურ პრობლემებს, ქალაქის გამგეობამ კი სააფთიაქო კომისიის

დაუკითხავად ქალაქის აფთიაქის 1905-1907 წლების მთელი მოგება გადარიცხა ქალაქის საჭიროებების დასაფარავად. აფთიაქი, რომელიც წარმოადგენდა მომგებიან დაწესებულებას, დაზარალდა და მოხვდა მიმწოდებელ ფირმებთან დავალიანებაში. ამ საკითხზე კომისიის არც ერთ სხდომას არ უმსჯელია. ე.ი. კომისია არ ზრუნავდა აფთიაქის მომგებიანობაზე (რენტაბელობაზე). [319,320, 296].

საკვლევ პერიოდში არ არსებობდა მუდმივმოქმედი სააფთიაქო სარევიზიო სექტორი. აუცილებლობის შემთხვევაში ქალაქის სააფთიაქო კომისია იწვევდა „ორ პროვიზორს ან პროვიზორის თანაშემწეს და მათ აძლევდა 300-300 მანეთს" (ანუ ერთი თვის ხელფასის ოდენობის თანხას). ქალაქის აფთიაქის რევიზია ხდებოდა აგრეთვე ქალაქის გამგეობასთან, მის ფინანსურ და სააფთიაქო კომისიებთან ერთად. [323, 319,320, 296].

საექიმო წესდების 1905 წლის ახალი გამოცემის თანახმად, რომელიც იმ დროს სააფთიაქო საქმის ძირითად კანონმდებლობასაც წარმოადგენდა, აფთიაქების შემოწმება ხდებოდა მოულოდნელად, საგუბერნიო საექიმო ინსპექტორის მიერ. „იგი ამოწმებდა ყოველივეს, რაც შეეხებოდა წამლის მომზადებასა და აფთიაქიდან მისი გაშვების სისწორეს და საერთოდ, სისუფთავესა და წესრიგს აფთიაქებში". [155].

ქუთაისის გუბერნიის აფთიაქები და სააფთიაქო მაღაზიები ექვემდებარებოდნენ-რა შემოწმებას სამედიცინო ხელმძღვანელობის მიერ, მეორეს მხრივ ისინი კონტროლდებოდნენ კავკასიის მთავარმართებლის კანცელარიის თბილისის სახაზინო პალატის მიერ. პალატის ჩინოვნიკები ამოწმებდნენ ყოველწლიურ ბილეთებს (მაგ. „მეორე ამქრის" ან სხვა ამქრის ბილეთის მფლობელობას), რომლებსაც აფთიაქები იღებდნენ დასტურად იმისა, რომელ სავაჭრო ამქარს ეკუთვნოდნენ. ასეთი ბილეთების ყიდვა შეიძლებოდა ქუთაისის ხაზინიდანაც. როგორც ჩანს, ეს ბილეთები იყო სახელმწიფო ფიქსირებული გადასახადი აფთიაქის მეპატრონისათვის. [276,278,282]. აფთიაქები მოვალენი იყვნენ ასეთი ბილეთები გამოეკიდათ ვიტრინებში. მაგ. ჯერ კიდევ, 1876 წ. ვ.ა. ვიტუშინსკის აფთიაქს ეს ბილეთი გამოკიდებული ჰქონდა. [276].

მას შემდეგ მრავალი წელი გავიდა. ყველაფერი რამდენჯერმე შეიცვალა. სოციალისტური მმართველობის დროს კონტროლის სისტემა მეტ-ნაკლებად ყველაზე მოწესრიგებული იყო. აფთიაქი სისტემატურად და გეგმურად კონტროლდებოდა შესაბამისი უწყებების მიერ და უნდა ითქვას, რომ ამ პერიოდში არსებობდა ფარმაცევტული

დაწესებულებების კონტროლის ერთ-ერთი საუკეთესო ორგანიზაციის მექანიზმი. კერძოდ, ეს კონტროლი გულისხმობდა ფარმაცევტულ გამოკვლევებს, აფთიაქის საქმიანობის ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზს, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციას, დოკუმენტურ რევიზიას, წამლის ხარისხის კონტროლს. ყოველივე ზემოთქმული ეხება დარგშიგა კონტროლს. გარდა ამისა, ხდებოდა ფინანსური კონტროლიც სახელმწიფო ფინანსური ორგანოების, სახელმწიფო ბანკის მიერ. [180,157,117, 151,152.153,].

## 2.3. ქუთაისის გუბერნიის პირველი აფთიაქები

ჩვენი კვლევების ერთ-ერთი მიზანი იყო ქუთაისის გუბერნიების პირველი აფთიაქების გახსნის თარიღების დაზუსტება და დადგენა. სხვადასხვა ავტორთა მონაცემებისაგან განსხვავებით, საარქივო წყაროებზე დაყრდნობით ჩვენს მიერ დადგენილია, რომ დასავლეთ საქართველოში *პირველი, ნორმალური („ვოლნაია“ - თავისუფალი კერძო)* აფთიაქი გაიხსნა ქუთაისში პეტრე-პავლე ივანეს ძე კოკოჩაშვილის მიერ 1860 წლის 22 იანვარს და მას ხელმძღვანელობდა პროვიზორი დ. ანციპო (1864 წ.), შემდეგ - მ. არაზაშვილი, 1871 წლიდან კი - ცეზარ ივანოვსკი; ამავე აფთიაქის მმართველი იყო ნ.კ. უზნაძე, მაგრამ რომელ წლებში, ამისი ზუსტი თარიღის დადგენა ვერ მოხერხდა. [247, 120, 95, 331, 280, 23, 34, 4, 237, 276].

1865 წელს ახალციხეში ფერშალმა მაისურაძემ გახსნა პირველი აფთიაქი, რომელიც ახალციხის საზოგადოებრივ თვითმმართველობას ეკუთვნოდა. „თავისუფალი აფთიაქები გუბერნიაში ორია, უკანასკნელი 1865 წელს გაიხსნა; ამ აფთიაქისათვის ახალციხის საზოგადოებამ თავის ხარჯზე დაიქირავა სათავსო“ - ასე იუწყებოდა იმდროინდელი დოკუმენტი. [332].

ფოთში, დ. ანციპოს აფთიაქი გაიხსნა 1866 წელს. ეს იყო პირველი აფთიაქი ამ ქალაქში. [131]. აფთიაქი ჯერ იყო კერძო და იგი ეკუთვნოდა პროვიზორ დ. ანციპოს, შემდეგ - მის მემკვიდრეებს, ხოლო უკვე მეოცე საუკუნის დამდეგს იგი არენდით აიღო ფოთის ქალაქის თვითმმართველობამ და მმართველად მოიწვია პროვიზორი ა.ი. მდივანი (1910 წ.), შემდეგ იმავე აფთიაქს განაგებდა პროვიზორი მ.ლ. კისსერი. [301, 134].

ჩვენს მიერ დაზუსტებულია ქუთაისში მეორე ნორმალური კერძო აფთიაქის გახსნის თარიღიც - 1867 წელი. იგი გახსნა პროვიზორმა შნეიდერმა იმდროინდელ „ნემეცკაია“ ქუჩაზე (1899 წ. ამ ქუჩას ეწოდა ა. პუშკინის სახელი) და მმართველის სახით მოიწვია პოლონელი პროვიზორი ვიქტორ ანტონის ძე ვიტუშინსკი. [133, 283]. 1874 წლიდან ეს აფთიაქი შეისყიდა ვიტუშინსკიმ და უკვე მას ეკუთვნოდა, თანაც თვით მართავდა მას. ეს აფთიაქი დღესაც მოქმედია, არის ავტორიზებული და მდებარეობს ქუთაისში, იმავე ადგილას (ქუთაისის № 4 აფთიაქი პუშკინის ქუჩაზე). [276, 137, 136, 138].

XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან ქუთაისის მთელს გუბერნიაში სწრაფი ტემპით დაიწყეს როგორც ნორმალური, ასევე *სოფლის აფთიაქების* გახსნა, კერძოდ:

1876 წელს ოზურგეთში [139], 1879 წელს გაიხსნა ზუგდიდში, ხონში, ნოვო-სენაკში, ყვირილაში (ახლა - ზესტაფონი), ონში, სოხუმში (პროვიზორ ივანოვსკის აფთიაქი) და ბათუმში (პროვიზორ მილიუტინის აფთიაქი). [144,140,142].

ყველა ნორმალური აფთიაქი, ვისი კუთვნილებაც არ უნდა ყოფილიყო იგი, და სოფლის აფთიაქების ნაწილი, იმართებოდა პროვიზორების მიერ და მხოლოდ სოფლის აფთიაქების მცირე რიცხვი - აფთიაქარის თანაშემწეების მიერ. მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში სოფლის აფთიაქში მუშაობდა ერთი ფერშალიც. [235].

1888 წელს ქუთაისში პოლონელი პროვიზორის ფრანც ანტონის ძე რელიგიონის მიერ გაიხსნა მესამე ნორმალური კერძო აფთიაქი, იგი 1893 წლიდან გადაიტანეს ორპირის ქუჩაზე (ქუთაისის ყოფილი № 2 აფთიაქი გრიშაშვილის ქუჩაზე - ამჟამად PSP-ქუთაისის შენობა) [221].

ქუთაისის სამივე აფთიაქი თავმოყრილი იყო ქალაქის ცენტრში. კოკოჩაშვილის აფთიაქი (მას ადრე რუსულის გავლენით კოკოჩევის აფთიაქიც ეწოდებოდა) ვიტუშინსკის აფთიაქიდან დაშორებული იყო 400 მეტრით, ხოლო ვიტუშინსკის აფთიაქი რელიგიონის აფთიაქიდან - 300 მეტრით, რის გამოც ქალაქის განაპირა მხარეების წამალთმომარაგება გაძნელებული იყო. [221].

1907 წელს გ.პ. ნიკიტინმა და ლ.პ. კოკოჩაშვილმა გახსნეს ახალი აფთიაქი ბათუმში. [299]. ამავე წელს პროვიზორ დ. გლუშაკოვს ქუთაისის საგუბერნიო მმართველობის მიერ უარი ეთქვა, ხოლო 1912 წელს კი ნება დაერთო გაეხსნა რიგით მე-5 - კერძო ნორმალური აფთიაქი ქუთაისში (მას სოციალისტური წყობილების დროს ეწოდებოდა № 3

აფთიაქი და იგი დღეს გაუქმებულია - ე.წ. „გარნიაკის“ აფთიაქი ძველ შენობაში). იგი გაიხსნა 1912 წლის 28 დეკემბერს. [298, 309, 300].

1902 წელს სოფელ სვირში (ქუთაისის მაზრა) გაიხსნა სოფლის აფთიაქი, რომელსაც მართავდა დ. ჯუღელი. [28].

ქუთაისის საგუბერნიო მმართველობის საექიმო განყოფილების მიერ 1912 წელს პროვიზორ ი. დავიდოვსკის უფლება მიეცა გაეხსნა სოფლის აფთიაქი კაცხში (შორაპნის მაზრა). [44].

ქუთაისის ცენტრალურ სახელმწიფო არქივის ქუთაისის საგუბერნიო მმართველობის ფონდში ჩვენს მიერ მოკვლეულია ძალიან საინტერესო მასალები აფთიაქების რიცხვის, ახალი აფთიაქების გახსნის თარიღების, ამ აფთიაქთა შტატების, მათში მომუშავე სპეციალისტების განათლებისა და სხვ. შესახებ. 1910 წლის მონაცემებით ჩვენ შევადგინეთ ცხრილი ქალაქებსა და მაზრებში აფთიაქების შესახებ (ცხრილი 2.3.1.). [237].

ცხრილი 2.3.1.

## ქუთაისის გუბერნიის აფთიაქები (1910 წელი)

| ქუთაისის მაზრა | სენაკის მაზრა | ოზურგეთის მაზრა | ზუგდიდის მაზრა | რაჭის მაზრა | შორაპნის მაზრა | ლეჩხუმის მაზრა | ქალაქები |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| კოკოჩაშვილის [ნ.] | აბაშის [ნ.] | ოზურგეთის [ნ.] | ზუგდიდის [ნ.] | ონის [ს.] | ყვირილის [ს.] (ზესტაფონის) | ცაგერის [ს]. | ფოთის [ნ.] |
| ვიტუშინსკის [ნ.] | ნოვო-სენაკის [ნ.] | ბახვის [ს.] | კირცხის [ს.] | ამბროლაურის [ს.] | ჭიათურის [ს.] | ლაილაშის [ს.] | |
| ქალაქის I აფთიაქი [ნ.] | ბამბუასხიდის [ს.] | სუჯინის [ს.] | ხაბუმის [ს.] | ტოლიის [ს.] | ძირულის [ს.] | | |
| რელიგიონის. [ნ.] | ბანძის [ს.] | ლანჩხუთის [ს.] | დარჩელის [ს.] | | საჩხერის [ს.] | | |
| ხონის [ ნ.] | ნაოგალევის [ს.] | ნაგომარის [ს.] | სამღებროს [ს.] | | ბელოგორსკის [ს.] (ხარაგოულის) | | |
| სამტრედიის [ნ.] | სალხინოს [ს.] | ოცხანის [ს.] | ხობის [ს.] | | ჩხარის [ს.] | | |
| ამაღლების [ს.] | ძვ.-სენაკის [ს.] | ჯურუკვეთის [ს.] | წალენჯიხის [ს.] | | კორბოულის [ს.] | | |
| ბაღდათის [ს.] | ეწერი [ს.] | ჩოხატაურის [ს.] | ცაიშის [ს.] | | | | |
| დიდი-ჯიხაიშის [ს.] | სუჯუნის [ს.] | აცანის [ს.] | ვანის [ს.] | | | | |
| კულაშის [ს.] | ლეძაძამის [ს.] | გოგორეთის [ს.] | ჭკადუაშის [ს.] | | | | |
| ფარცხანაყანევის [ს.] | გურძემის [ს.] | | | | | | |
| სვირის [ს.] | | | | | | | |
| ტობანიერის [ს.] | | | | | | | |
| წყალტუბოს [ს.] | | | | | | | |
| საყულიის [ს.] | | | | | | | |
| საჯავახოს [ს.] | | | | | | | |
| ვანის [ს.] | | | | | | | |
| ტყიბულის [ს.] | | | | | | | |
| ქვაკუდის [ს.] | | | | | | | |
| პატრიკეთის [ს.] | | | | | | | |
| სიმონეთის [ს.] | | | | | | | |
| გუბის [ს.] | | | | | | | |
| ღანირის [ს.] | | | | | | | |
| საჭილაოს [ს.] | | | | | | | |

შენიშვნა: ნ. - ნორმალური აფთიაქი; ს.- სოფლის აფთიაქი.

გრაფიკებზე 2.3.1. და 2.3.2. მოყვანილია გუბერნიის ნორმალური (ქალაქის) და სოფლის აფთიაქების რიცხვის ზრდის დინამიკა 1887-1911 წლებში საარქივო წყაროებზე დაყრდნობით. [235, 237, 331, 332, 330, 335, 336-340, 346, 347-359, 131-133, 135, 137, 140, 142, 143, 145, 146].




გრაფიკი 2.3.1. ქუთაისის გუბერნიის ნორმალური აფთიაქების დინამიკა 1860-1911 წლებში




გრაფიკი 2.3.1. ქუთაისის გუბერნიის სოფლის აფთიაქების დინამიკა 1887-1911 წლებში

როგორც გრაფიკებიდან ჩანს, XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში აფთიაქების რიცხვი სწრაფად იზრდებოდა. ამ დროს გაჩნდა სოფლის აფთიაქებიც.

ქუთაისის გუბერნატორის ანგარიშები გვიჩვენებენ, რომ 1860-1867 წლებში გუბერნიაში მხოლოდ სამი ნორმალური აფთიაქი არსებობდა, 1887 წელს - 10 ნორმალური და 12 სოფლის [335], მაგრამ ამავდროულად მარტო ქუთაისის გარშემო 26 სოფელი სრულიად უაფთიაქოდ და ფარმაცევტული მომსახურეობის გარეშე რჩებოდა. [283].



განცხადება.
ქუთაისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ 21 ივლისიდგან ამა 1901 წლისა გაიხსნა
ქალაქის აფთიაქი
ივანოვის ქუჩაზედ, დუჩაიძის სახლში.

ОБЪЯВЛЕНІЕ.
Кутаисская Городская Управа доводитъ до всеобщаго свѣдѣнія, что съ 21 Іюля сего 1901 года открыта
ГОРОДСКАЯ АПТЕКА
на Ивановской улицѣ, въ домѣ Дучаидзе.

სურ. 2.3.1. ანონსი ქალაქის აფთიაქის გახსნის შესახებ

1901 წლის 21 ივლისს ქუთაისში გაიხსნა ქალაქის პირველი აფთიაქი, რომელიც ეკუთვნოდა არა ვინმე კერძო პირს, არამედ ქუთაისის ქალაქის თვითმმართველობას. ქალაქში ამის შესახებ გამოკრული იყო შეტყობინება (იხ. სურ. 2.3.1.). [290]. თავისი არსით საზოგადოებრივი აფთიაქის გახსნა პროგრესული ნაბიჯი იყო და ეს მოხდა პირველი კერძო აფთიაქის გახსნიდან 40 წლის შემდეგ. ამ აფთიაქის პირველი მმართველი იყო პროვიზორი გიორგი პავლეს ძე ნიკიტინი, შემდეგ, 1907 წლიდან პროვიზორი არქიფო დავითის ძე მხეიძე. [299]. აფთიაქის გახსნას მოჰყვა 1910 წელს ქალაქის პირველი აფთიაქის ფილიალისა (რომელიც 1912 წელს დაიხურა) და 1913 წელს ქალაქის მეორე აფთიაქის გახსნა. ქალაქის მეორე აფთიაქი გაიხსნა პროვიზორ იოსებ მაქსიმეს ძე ნარეშელაშვილის ხელმძღვანელობით. იყო დაგეგმილი ქალაქის ცენტრში. ქალაქის მესამე აფთიაქის, რომელზეც იყო ქალაქის სათათბიროს 1912 წლის 13 ნოემბრის დადგენილება, საარქივო წყაროებში გახსნის შესახებ ინფორმაცია არ მოიპოვება. [319, 327, 248, 303].

ქალაქის თვითმმართველობებთან საზოგადოებრივი აფთიაქების გახსნა ამიერკავკასიაში პირველად განხორციელდა ქუთაისში და მხოლოდ 12 წლის შემდეგ - 1913 წელს სასომხეთიდან ქუთაისში მიიღეს თხოვნის წერილი, რათა ქუთაისს გაეწია კონსულტაცია ასეთივე აფთიაქის ქალაქ ერევანში გახსნის თაობაზე. [315].

## 2.4. აფთიაქის ტიპები

განხილულ პერიოდში სამოქალაქო მოსახლეობისათვის სახაზინო აფთიაქი ქუთაისის გუბერნიაში არ არსებობდა. [50].

სამოქალაქო აფთიაქების გამოჩენამდე მოსახლეობა წამლეულით მარაგდებოდა ქუთაისის, ფოთის, ოზურგეთისა და ახალციხის სამხედრო ჰოსპიტალის აფთიაქებიდან. [330, 334, 125]. ქუთაისის ჰოსპიტლის აფთიაქის მმართველი 1862 წელს იყო პროვიზორი იანუარ ადამის ძე პოროდნია, 1863 წელს ი.ა. პორტნოი, 1864 წელს კი - ფარმაციის მაგისტრი ეგორ ივანეს ძე აბელი. [127-130].

ახალციხეში სამხედრო ჰოსპიტლის აფთიაქის მმართველი 1863 წლიდან იყო ს.ი. კრესლოვსკი, ხოლო 1866 წლიდან ბიკენტი ვალენტინის ძე კოჩაროვსკი. [127-130].

სამეგრელოს სამმართველო საბჭოსთან ზუგდიდში 1865 წელს იყო აფთიაქი, უფროსი და უმცროსი „მედიკები“; ისინი აღჭურვილი იყვნენ ყველა საჭირო ინვენტარითა და მედიკამენტით; მას სათავეში ედგა „მკურნალი“ გარნოვსკი. აფთიაქიდან გაჰქონდათ წამლები საბჭოს ჩინოვნიკებს, ასევე გარეშე პირებსაც. გადახდა ხდებოდა საბჭოს ხაზინისათვის ვერცხლის მონეტით. [240, 241].

ქუთაისის გუბერნიის აფთიაქის ტიპებზე ამ პერიოდში წარმოდგენას იძლევა ჩვენს მიერ შედგენილი სქემა და ცხრილი (სქემა 2.4.1. და ცხრილი 2.4.1). ორივე მათგანი ეყრდნობა პირველწყაროებს. [352, 237]




სქემა 2.4.1. ქუთაისის გუბერნიის აფთიაქის ტიპები (XIX ს. ბოლოს)

ცხრილი 2.4.1.

## ქუთაისის გუბერნიის აფთიაქების ჩამონათვალი ტიპების მიხედვით

| სამხედრო-სახაზინო (ჰოსპიტლის) | კერძო, თავისუფალი აფთიაქები და მათი მფლობელები | | | საზოგადოებრივი და კერძო აფთიაქები | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ნორმალური აფთიაქები | სოფლის აფთიაქები | | ნორმალური | ფილიალური | სოფლის ერობებისა და საზოგადოებების |
| ქუთაისის | ქუთაისის პ.ი.კოკოჩევის | ყვირილის ფ. ნანეიშვილის | სამღებროს ვ. ვოლკოვის | ქუთაისის ქალაქის პირველი აფთიაქი | ქუთაისის ქალაქის აფთიაქის ფილიალი | ახალციხის ერობის აფთიაქი |
| ახალციხის | ქუთაისის ფ.ა. რელიგიონის | ბაღდათის ე. გვანცელაძის | ხობის მირიანოვის | ქუთაისის ქალაქის მეორე აფთიაქი | | დიდი ჯიხაიშის ერობის აფთიაქი |
| ოზურგეთის | ქუთაისის ვ.ა. ვიტუშინსკის | კულაშის ვ. ასათიანის | წალენჯიხის დ. ჭედიას | ფოთის ქალაქის აფთიაქი | | |
| ზუგდიდის | ქუთაისის დ. გლუშაკოვის | ფარცხანაყანევის ი. აფრიდონიძის | ზამბუასხიდის ვ. ქაჯაიას | | | |
| | სამტრედიის სვაცინსკის | სვირის გ. გუგუშვილის | ზანძის ი. სერვეტნიკის | | | |
| | აბაშის მ.პ. კანდელაკის | ტობანიერის ი. ლეჟავას | ნაოღალევის ქვირიას | | | |
| | ფოთის დ. ანციპოს | წყალტუბოს ი. შნაიდერის | ვანის ი აბრამიძის | | | |
| | ოზურგეთის ხუნდაძის | საყულიის ა. ლეჟავას | ჩხარის ი. კახიძის | | | |
| | ახალ- სენაკის | ცაგერის კ. ჯუღელის | სალხინოს ჟორდანიას | | | |
| | მ. ვასკოვსკის | ლაილაშის მ. ნაუზაჟევის | ძვ. სენაკის კ. ჯინორიას | | | |
| | ზუგდიდის შატილოვის | ონის კუნდინის | ეწერი - გ. ავალიანის | | | |
| | ხონის ლორთქიფანიძის | ამბროლაურის ა.მაჭარაძის | სუჯუნის მ. კანდელაკის | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | ტოლის ლ. ღოღელიანის | ტყიბულის ვ. გარნოვსკის | | | |
| | | ჭიათურის დ. იაშვილის | კორბოულის ხ. ხოდუტაშვილის | | | |
| | | საჩხერის კ. წულუკიძის | ლემამამის ვ. გაბუნიას | | | |
| | | ბელოგორსკის ნ. გუნცაძის | აცანის ს. ნიჟარაძის | | | |
| | | ბახვის გ. ბოლქვაძის | გურძემის ვ. საჯაიას | | | |
| | | სუჯუნის ფ. ალეკანოვის | ცაიშის ი. მეუნარგიას | | | |
| | | ლანჩხუთის ა. კოჩინოვის | ქვაყუდის კ. ჩინჩალაძის | | | |
| | | ნაგომარის კ. დათეშიძის | ვანის ი. ზელოვის | | | |
| | | ნიგოითის ნ. მხეიძის | პატრიკეთის ი. ნარეშელაშვილის | | | |
| | | ოცხანის კ. დათეშიძის | სიმონეთის ა. ლორთქიფანიძის | | | |
| | | ჯურუკვეთის ე. ორაგველიძის | გუბის ვ. ჩომახიძის | | | |
| | | ჩოხატაურის ა. ფიალკოვსკის | ღანირის პ. რუსაძის | | | |
| | | საჯავახოს ზ. ფიალკოვსკის | საჭილაოს ა. ასათიანის | | | |
| | | კირცხის ი. ნაუზაჟოვის | ჭკადუაშის ს. ჯიქიას | | | |
| | | ხაზუმის კ. სიდავას | გოგორეთის ა. ტუილოვის | | | |
| | | დარჩელის ზ. დოლიძის | | | | |

ამრიგად, განსაზოგადოების ხასიათის მიხედვით ქუთაისის გუბერნიის აფთიაქების ტიპები განხილულ პერიოდში იყო: სახაზინო, კერძო, საზოგადოებრივი - ქალაქისა და ერობის. კერძო აფთიაქებს საარქივო წყაროებში ეწოდებოდა „вольная аптека“. ეს სიტყვა ორგვარად ითარგმნება: როგორც - თავისუფალი და როგორც კერძო; ჩანს აქ მეორე მნიშვნელობით არის ნახმარი.

პროვიზორის ხელმძღვანელობით მომუშავე აფთიაქს „ნორმალური“ აფთიაქები ეწოდებოდა. მისგან განსხვავებით, „სოფლის“ აფთიაქს არ ჰქონდა ლაბორატორია და აფთიაქარის შეგირდების სწავლების უფლება. სავალდებულო სამკურნალო საშუალებათა ჩამონათვალი ნორმალურ აფთიაქებში იყო 800 და მეტი, მაშინ, როცა სოფლის აფთიაქებში იგი 300-მდე დასახელებას შეიცავდა.

მონოპოლიური უფლებების დაცვის პრინციპით აფთიაქები მხოლოდ ქალაქებში იხსნებოდა. მათი გახსნის უფლება მხოლოდ პროვიზორებს ენიჭებოდათ. გამონაკლის შემთხვევებში სოფლად აფთიაქის გახსნის უფლება აფთიაქარის თანაშემწეებსაც ჰქონდათ. 1881 წელს გამოიცა კანონი, რომელიც სოფლად აფთიაქის გახსნის უფლებას აძლევდა აფთიაქარის თანაშემწეებსაც. [152].

1865 წელს ახალციხეში გახსნილი აფთიაქი ეკუთვნოდა ახალციხის საზოგადოებას. როგორც უკვე აღვნიშნეთ ეს იყო პირველი საზოგადოებრივი აფთიაქი ქუთაისის გუბერნიაში. [332, 131, 132].

ქუთაისის ქალაქის გამგეობა, გეგმავდა-რა საზოგადოებრივი აფთიაქის გახსნას, 1894 წელს გამოსვლაში აღნიშნავდა: „ქალაქის საზოგადოებრივი თვითმმართველობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს ზრუნვა ღარიბ ავადმყოფებზე, რომელიც ქალაქ ქუთაისს არასოდეს არ ჰქონია დავიწყებული“. [285].

მოსახლეობის სამედიცინო მომსახურეობის ორგანიზაციისათვის ქუთაისის ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ნაწილი იხარჯებოდა. [91]. შუამდგომლობდა-რა საგუბერნიო საექიმო განყოფილების წინაშე საკუთრი აფთიაქის გახსნის თაობაზე, თვითმმართველობა ვარაუდობდა, რომ აფთიაქი თავისი მოგებით გადაფარავდა ქალაქის ღარიბი მოსახლეობისათვის უფასოდ გაცემული წამლის ხარჯებს, მიაწვდიდა შეღავათიან ფასებში მედიკამენტებს საკუთარ ანუ ქალაქის საავადმყოფოსა და ქსენონს. [285].

პირველი საზოგადოებრივი აფთიაქების გამოჩენისთანავე მოსახლეობაში მათი პრესტიჟი განუხრელად იზრდებოდა. ქუთაისის

„პირველი აფთიაქი ქალაქში თავისი ცენტრალური მდებარეობის გამო, ასევე იმ შეგნების გამო, რომ იგი საზოგადოებრივია, ყოველთვის მიიზიდავს ავადმყოფთა სულ უფრო დიდ რიცხვს და ყოველთვის მასში მუშაობა უფრო დიდი იქნება, ვიდრე სხვა აფთიაქებში“, ასეთი იყო ექიმის - გიორგი ბადრიძის აზრი, რომელიც მაშინ სააფთიაქო კომისიის თავმჯდომარე იყო. [314].

ქუთაისში პირველი აფთიაქის გახსნას მოჰყვა გუბერნიის სხვა რეგიონების მოსახლეობის სამართლიანი მოთხოვნა ჰქონოდათ ასეთივე აფთიაქები. მაგალითად, ხონის მცხოვრებლებმა 1903 წელს წერილი გაუგზავნეს გაზეთ „ივერიას“ თხოვნით გაეხსნათ საზოგადოებრივი აფთიაქი; თუმცა აფთიაქის გახსნის უფლება მაინც მიეცა კერძო პირს - პროვიზორ ოგანეზოვს. [29,30].

საზოგადოებრივი აფთიაქების პრესტიჟის ზრდასთან ერთად გაიზარდა კერძო მფლობელთა წინააღმდეგობა; მათ უკან იდგა საგუბერნიო მმართველობის საექიმო განყოფილება. 1912 წელს საგუბერნიო მმართველობამ ნება დართო პროვიზორ დ. ვ. გლუშაკოვს გაეხსნა ქუთაისში რიგით მეხუთე აფთიაქი ქალაქის აფთიაქის სიახლოვეს, რის წინააღმდეგაც გამოვიდა ქალაქის პირველი აფთიაქის მმართველი ა.დ. მხეიძე. ცხადია, რომ ეს გამოიწვევდა კონკურენციას, შეამცირებდა ქალაქის აფთიაქის მოგებას და გაზრდიდა გლუშაკოვის პირად შემოსავლებს. [30, 316].

შემდეგში, 1913 წელს, ქუთაისში ქალაქის კიდევ ერთი აფთიაქი გაიხსნა, რომელშიც ქალაქის სააფთიაქო კომისიის 1914 წლის ცნობით, „არსებობის ერთი წლის მანძილზე ორჯერ გაიზარდა მუშაობა“. [320].

ცნობილია, რომ თბილისში 1907 წელს უკვე არსებობდა ქალაქის აფთიაქი (გოლოვინის პრ. № 33), თუმცა, გამომდინარე იქედან, რომ ლიტერატურაში არ მოიპოვება მონაცემები ამიერკავკასიის სხვა ქალაქებში ქალაქის აფთიაქების გახსნის უფრო ადრეული თარიღების შესახებ, ვასკვნით, რომ ქუთაისის ქალაქის პირველი აფთიაქი შეიძლება მთელს ამიერკავკასიაში პირველ საზოგადოებრივ აფთიაქად ჩაითვალოს ახალციხის აფთიაქის შემდეგ.

ქუთაისიდან მაგალითს იღებდნენ გუბერნიის სხვა ქალაქები. მაგ., 1913 წელს ერევნიდან წერდნენ: „გვსურს ერევანში გავხსნათ ქალაქის აფთიაქი და გვაქვს ცნობა, რომ ქალაქ ქუთაისში ასეთი უკვე არსებობს. ქალაქის თვითმმართველობა მოგმართავთ თქვენ თხოვნით, რამდენადაც შესაძლებელია დაწვრილებითი ცნობები მოგვაწოდოთ როგორც აფთიაქის აღჭურვილობის შესახებ, ასევე იმის შესახებ

ყოველწლიურად რამდენი იხარჯება და რა მოგება რჩება მას“, რაზეც ქუთაისიდან პასუხი იყო, რომ „ყოველი ქალაქის აფთიაქის საწყის აღჭურვილობაზე იხარჯება არანაკლებ 10 000 მანეთი“ და მასთან ყველა დაწვრილებითი მონაცემი გადააგზავნეს ერევანში. [315].

1864 წლის ერობის რეფორმამ გამოიწვია საერობო მედიცინის აღორძინება. „ერობები კონსტიტუციის ის ნაგლეჯი იყო, რომლის მეშვეობით რუსეთის საზოგადოება გაიტყუეს კონსტიტუციიდან, ეს იყო თვითმპყრობელობის ძალიან მცირე დათმობა მზარდი დემოკრატიზაციის წინაშე, რის მეოხებითაც მან მოახერხა თავისი მთავარი პოზიციების შენარჩუნება“. [148].

ერობის სათავეში იდგნენ მსხვილი მემამულეები და აზნაურები. თავიდანვე ერობას მიეკუთვნა ფუნქცია, რომ ყოფილიყო რუსული სახელმწიფო მმართველობის მეხუთე ბორბალი. ბორბალი, რომელიც ბიუროკრატიამ მხოლოდ იმდენად დაუშვა, რამდენადაც მისი ბატონობა არ მოიშლებოდა; მოსახლეობის დეპუტატების როლი ამ დროს კი იზღუდებოდა. [163]. ამისი კიდევ ერთი დადასტურება იყო ჩვენს მიერ მოხსენიებული სააფთიაქო წესდების პროექტი; იგი მხოლოდ ფრაზებს წარმოადგენდა, რომ სააფთიაქო საქმე გადავიდოდა საზოგადოებრივი ფორმირებების ხელში. [149, 294].

სამედიცინო და სანიტარული ღონისძიებისათვის ერობების დანახარჯები იყო უმნიშვნელო, საერობო სამედიცინო დაწესებულებებს ამ პერიოდში წარმოადგენდნენ: საექიმო უბანი, ქსენონი, სოფლის სასნეულო სახლი, რომლებთანაც არსებობდა აფთიაქიც. [163].

გამათავისუფლებელი მოძრაობა, რომელმაც ყველგან შეაღწია, თვით საქართველოს ყველაზე მიყრუებულ ადგილებშიც კი, იყო უწინარეს ყოვლისა მშრომელების - მუშებისა და გლეხების მოძრაობა. მან ჩვენთან საყოველთაო აღიარება მოიპოვა და გავრცელდა ერთი სახელწოდებით „ერობა“. [124]. მაგრამ ჩანს, რომ 1905 წელს გლეხთა მოძრაობამ ჯერ კიდევ ვერსად ვერ მიიღო ისეთი გაქანება, როგორც ქუთაისის გუბერნიაში; ბევრ ადგილას გლეხთა თვითმმართველობები არსებობდა მხოლოდ ქაღალდზე და ერობის უფროსის არჩევნები შეიცვალა სამთავრობო არჩევანით. ადგილობრივი საზოგადოებები უშედეგოდ აღძრავდნენ შუამდგომლობას კავკასიაში საერობო რეფორმის განხორციელების თაობაზე და მხოლოდ 1905 წელს ჩაეყარა საფუძველი ამ საქმეს. [123].

ჯერ კიდევ 1901 წლის ოქტომბერში თბილისში, კავკასიის ექიმთა მეორე ყრილობაზე ქუთაისელი ექიმის დიმიტრი ნაზარიშვილის

მიერ წაკითხული იქნა მოხსენება - „საერობო დაწესებულებების შემოღების შესახებ ამიერკავკასიაში სამედიცინო დახმარების მიწოდების თვალთახედვით“. [122].

ჟურნალ „Кавказский вестник“-ის 1901 წლის მეორე ნომერი წერდა: „ ხალხის ჯანმრთელობის დაცვაზე ზრუნვა რეფორმას საჭიროებს. ჩვენი სოფლის მოსახლეობას შორის ძალიან გავრცელდა სერიოზული გადამდები სნეულებები, რომლებმაც მრავალი მსხვერპლი გამოიწვია“. [121].

ერობის, ისევე, როგორც ქალაქის თვითმმართველობის ფუნქციაში, შედიოდა მოსახლეობის სამედიცინო და წამლეულით მომსახურეობა. [91, 123].

ქალაქისა და სოფლის თვითმმართველობები აქტიურად იბრძოდნენ საზოგადოების ღარიბი კლასების, უკურნებელი ავადყოფების, სულიერი ავადმყოფებისა (ჭკუასუსტებისა) და დასახიჩრებულების სამედიცინო მომსახურეობის გასაუმჯობესებლად. ისინი ცდილობდნენ აფთიაქები გაეხსნათ ყველგან, ამბულატორიულ პუნქტებშიც კი აწყობდნენ წამლის დამზადებას და გაცემას. 1904 წელს ქუთაისის გუბერნიის საზოგადოებრივი ფორმირებებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ მიცემული არანაირი უპირატესობა აფთიაქების გახსნაში, მაგრამ ისინი თავიანთ თავზე იღებდნენ ნებაყოფლობით გამოსყიდვას და არად აგდებდნენ მატერიალურ დანახარჯებს. [294, 327]

ერობების აფთიაქები იხსნებოდა იმავე პრინციპებით, როგორც კერძო - მოსახლეობისა და რეცეპტების რაოდენობის მიხედვით. ასეთი დებულებიდან გამომდინარე ერობებს ან უნდა ეცადათ 20-30 წელიწადი, სანამ მოსახლებისა და რეცეპტების რაოდენობა მიაღწევდა დადგენილ ნორმას, ან გამოესყიდათ კერძო აფთიაქის მფლობელიდან აფთიაქის ფლობის მონოპოლური უფლება. [117].

მოსახლეობისათვის წამლეულით უფრო ხელმისაწვდომი მომსახურეობის ორგანიზაციის დასაწყისშივე ერობები აწყდებოდნენ კერძო აფთიაქების მფლობელთა მხრიდან წინააღმდეგობებს, რომელსაც მხარს უჭერდა ხელისუფლებაც. [172].

ქუთაისის გუბერნიის საერობო სააფთიაქო მეურნეობა შედგებოდა ძირითადად სოფლის აფთიაქებიდან. გურნის, კურსების, რიონის, საწირის, სიმონეთის, ღანირის, გვიშტიბის, კუხის, ნახახულების, ილორის, ხონის, წყალტუბოს, ქვიტირის, მაღლაკის, ოფურჩხეთის, ფარცხანაყანევის, ჭოგნარის სოფლის საზოგადოებებს ჰქონდათ აფთიაქი, ჰყავდათ ექიმი, ფერშალი, ბებიაქალი (მეანი), ხოლო ჩუნეში-

სას - მარტო ფერშალი. [357, 358].

ქუთაისიდან 27 კილომეტრზე იმყოფება სოფელი დიდი ჯიხაიში, რომელიც საქართველოს ფარმაციის ისტორიაში გამოერჩა სოფლის ტიპის ადგილის ფარმაცევტული მომსახურეობის ორგანიზაციით. ამიერკავკასიაში ერობების ოფიციალურად შემოღებამდე, 1900 წელს სოფლების დიდი ჯიხაიშის, იანეთისა დ ჯიქთუბნის ინტელიგენციისა და საზოგადოებების ერთობლივ ყრილობაზე გადაწყდა მოეწყოთ ქსენონი (მოსიარულე ავადმყოფების ამბულატორია), რომელსაც ექნებოდა აფთიაქი. ეს დადგენილება განხორციელებული იქნა 1902 წლის 19 თებერვალს.

დიდი ჯიხაიშის საზოგადოებისათვის საარსებო ფული სხვადასხვანაირად უნდა გადაეხადათ, წელიწადში: სამღვდელოებას - 3 მანეთი და 50 კაპიკი, გლეხებს - 2 მანეთი და 70 კაპიკი. ქსენონის არსებობის დასაწყისში სამედიცინო მომსახურეობა იყო უფასო. შეძენილი იქნა შენობა ქსენონისათვის, რამაც გააუარესა მატერიალური მდგომარეობა, რისთვისაც აღებული იქნა 600 მანეთი სესხი ბანკიდან მედიკამენტებისა და ინვენტარის შესაძენად. ამის მერე დადგინდა ნაწილობრივ ფასიანი მომსახურეობა. ქსენონის აფთიაქიდან მედიკამენტები 30% შეღავათით ეძლეოდა ადგილობრივ მოსახლეობას, სხვა სოფლიდან მოსულებს - მხოლოდ 10% შეღავათით.

დიდი ჯიხაიშის კერძო აფთიაქის მფლობელი ყოველი ღონით ცდილობდა ხელი შეეშალა საზოგადოებრივი აფთიაქისათვის, ამიტომ 1908 წლის პირველ ნახევარში ერობის მესვეურები იძულებული გახდნენ შეესყიდათ მისგან აფთიაქის ფლობის მონოპოლიური უფლება, რისთვისაც დამატებით გადაიხადეს 600 მანეთი.

საზოგადოების ძირითადი მიზანი იყო წამლეულით მომსახურეობა ხელმისაწვდომი გაეხადათ თვით ყველაზე არასმქონე პირებისათვის. აფთიაქის შესყიდვით ისინი თავიანთ მიზანს დაუახლოვდნენ; ყველაზე ღარიბები გაათავისუფლეს გადასახადებისაგან, რომელიც მათ ეკისრებოდათ სოფლის საზოგადოების სამედიცინო ნაწილის სასარგებლოდ; მათზე წამლები გაიცემოდა უკვე უსასყიდლოდ.

1902 წლიდან, აფთიაქის არსებობის დღიდან, მედიკამენტების გარდა შეძენილი იქნა საჭირო ნივთები და ინსტრუმენტები; კარადები აფთიაქისათვის, წყლის გამოსახდელი კუბი, შეკეთდა შენობა. მიუხედავად იმისა, რომ აქედან 8 წლის განმავლობაში მედიკამენტები გაიცემოდა ფასდაკლებით, საზოგადოებამ მხოლოდ აფთიაქიდან მიიღო

1385 მანეთი და 27 კაპიკი მოგება. [1, 68, 69, 70, 71].

1902 წელს სოფელ სვირში გახსნილი აფთიაქი, როგორც გაზეთი „ივერია“ აღნიშნავს, ეკუთვნოდა „სოფლის დიდ საზოგადოებას“ და იყო საზოგადოებრივი აფთიაქის ტიპის. [28].

საერობო აფთიაქებმა დადებითი როლი ითამაშეს ქუთაისის გუბერნიის სოფლის მოსახლეობის წამლეულით მომსახურეობის გაუმჯობესების საქმეში, თუმცა ისინი იმდენად იშვიათნი იყვნენ, რომ მათ არსებითი ზეგავლენის მოხდენა არ შეეძლოთ მთელი გუბერნიის უბადრუკ ფარმაცევტულ მომსახურეობაზე.

ამრიგად, ქალაქები და ერობები აქტიურად იბრძოდნენ არასმქონე მოსახლეობის კლასის სამედიცინო მომსახურეობის გასაუმჯობესებლად, ყველგან ცდილობდნენ აფთიაქების გახსნას და თავიანთი ბიუჯეტის მნიშვნელოვან ნაწილს უთმობდნენ მოსახლეობის საექიმო დახმარების ორგანიზაციას. [294]. თუმცა ნაკლებ, მაგრამ ამ საზოგადოებრივი აფთიაქების შირმის უკან იმალებოდა იმ დროის სააფთიაქო მეურნეობის ზოგიერთი ნაკლოვანებებიც.

საკვლევ პერიოდში ქუთაისის გუბერნიის აფთიაქები იყვნენ „თავისუფალი“. „თავისუფალი ეწოდებოდა ყველა აფთიაქს, რომელსაც ჰქონდა წამლის თავისუფალი გაყიდვის უფლება“, იუწყება საარქივო დოკუმენტი. ისინი იყოფოდა - ნორმალურ, ფილიალურ და სოფლის აფთიაქებად. „ტიპი ნორმალური“ იყო ის აფთიაქები, რომლებიც „სამედიცინო საბჭოს მიერ აღიარებულია ნორმალურ აფთიაქებად თავიანთი მმართველობით, აღჭურვილობით, მოწყობით, საქმიანობის მასშტაბებით და ფარმაცევტული პერსონალის მომზადების პირობებით“. როგორც ჩვენმა გამოკვლევებმა ცხადყო, ნორმალური ეწოდებოდა ძირითადად ქალაქის აფთიაქებს, რომელთაც ჰქონდათ სააფთიაქო ლაბორატორიებიც, ამზადებდნენ გალენურ და სხვა პრეპარატებს (გარდა რეცეპტებისა, აქ ხდებოდა ფარმაცევტული წარმოების პროცესებიც) და კადრებს. კადრებთან დაკავშირებით, მხედველობაშია ძირითადად აფთიაქარის მოწაფეების (შეგირდების) გაწვრთნა და მომზადება ფარმაცევტის თანაშემწის საუნივერსიტეტო გამოცდებისათვის, ასევე ფარმაცევტის თანაშემწის დახელოვნება იმ ზომამდე, რომ მას შეძლებოდა პროვიზორის საუნივერსიტეტო განათლების მიღება. [325].

ქუთაისის გუბერნიის ნორმალური აფთიაქების ჩამონათვალი 1910 წლისათვის:

- თვით ქუთაისში - ფრანც ანტონის ძე რელიგიონის,

- ქალაქის პირველი,
- ვ.ა. ვიტუშინსკის (მ.ვ. მიხაილოვის),
- პ.ი. კოკოჩაშვილის;
- სამაზრო ქალაქებში - ხონის,
- სამტრედიის,
- აბაშის,
- ოზურგეთის,
- ახალ-სენაკის,
- ზუგდიდის აფთიაქები;
- ქალაქ ფოთის აფთიაქი.

რაც შეეხება ბაღდათის, ვანის, დიდი ჯიხაიშის, სვირის და სხვა აფთიაქებს, ისინი მიეკუთვნებოდნენ სოფლის აფთიაქებს.

ქუთაისის ქალაქის პირველი აფთიაქი და დიდი ჯიხაიშის სოფლის აფთიაქი მიეკუთვნებოდნენ საზოგადოებრივი აფთიაქის ტიპს, დანარჩენი ყველა დასახელებული აფთიაქი - იყო კერძო. [237, 335].

## 2.5. აფთიაქების მოწყობა

საკვლევი დროისათვის - მოქმედი კანონმდებლობით რეგლამენტირებული იყო აფთიაქის შენობა, სათავსოები, აღჭურვილობა, მოწყობილობები და ხელსაწყოები. [149, 294].

საექიმო წესდების მიხედვით ყოველი, ეგრეთ წოდებული „ნორმალური“ აფთიაქი, უნდა განთავსებულიყო შენობის პირველ სართულზე. ნაგებობა ამოირჩეოდა ან შენდებოდა გულდასმით.

აფთიაქებს ჰქონდათ შემდეგი საწარმოო სათავსები:

- სარეცეპტურო ოთახი (სარეცეპტურო დარბაზი),
- მატერიალური (შესანახი, სასაწყობო) ოთახი,
- ლაბორატორია,
- კოქტორიუმი (სათავსო, სადაც მზადდებოდა გამონაცემები და მონახარშები),
- საყინულე (ცივი სარდაფი),
- სარდაფი ადვილადაალებადი ნივთიერებებისათვის,
- ოთახი მცენარეული და სხვა მასალების დასაწვრილმანებლად.
- აფთიაქშივე იყო კაბინეტი ან ბინა აფთიაქის მფლობელი-

სათვის და

- საერთო საცხოვრებელი (პანსიონი) მომსახურე ფარმაცევტე-ბისათვის. [155, 171, 293].

ქუთაისის ფ.ა. რელიგიონის აფთიაქი მდებარეობდა ორპირის ქუჩაზე (ახლა გრიშაშვილის ქუჩა), თეთრ ხიდთან, აფთიაქის სათავსო შედგებოდა 9 ოთახის, ლაბორატორიის, სარდაფისა და სინესტისაგან მოსაფრთხილებელი მასალების საწყობისაგან. სააფთიაქო ლაბორა-ტორია მოთავსებული იყო ორ ოთახში. როგორც საარქივო დოკუმენ-ტშია აღნიშნული, „ნაგებობები იყო უმაღლესი ხარისხით მაგარი და მისი მფლობელისაგან სპეციალურად იქნა აშენებული აფთიაქისათ-ვის. ეს იყო ერთადერთი და საუკეთესო ადგილი აფთიაქისათვის მდინარის გაღმა მხარეს".[289].

სურათზე 2.5.1. მოცემულია იმ შენობის გეგმა, სადაც განთავსე-ბული იყო ფ.ა. რელიგიონის აფთიაქი. ეჭვს არ იწვევს, რომ პოლონელ პროვიზორს კარგად მოწყობილი აფთიაქი ჰქონდა. ჩვენთვის საინტე-რესოა სააფთიაქო ლაბორატორიის არსებობის ფაქტი მაშინდელ აფ-თიაქში. რელიგიონის აფთიაქში ამ ლაბორატორიას ეჭირა ორი ოთახი - ფართით 20 x 8,5 არშინი და 9,5 x 8,5 არშინი, სიმაღლით 4 არშინი (შესაბამისად -14,2 x 6,05 კვ.მ. და 7,2 x 6,05 კვ.მ., სიმაღლით - 2, 84 მ). [289, 117, 244]. მომდევნო წლებში (1915 წ.) ამავე აფთიაქთან პროვი-ზორ ვ.ო. შავგულიძის მიერ გაიხსნა ქიმიურ-ანალიზური ლაბორატო-რია შარდის ანალიზისა და სხვ. [230].

ქუთაისის ქალაქის პირველი აფთიაქის დაგეგმვის დროს 1901 წელს ძირითადი ოთახების გარდა 6 ოთახი გათვალისწინებული იყო მომუშავე პერსონალისათვის, იმ პერიოდში მომუშავე ფარმაცევტების ცხოვრების პანსიონურ წესთან დაკავშირებით. ]171, 293].

ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ქუთაისის იმდროინდელ აფთი-აქებში არ იყო ასეპტიკური ბლოკი.




სურ. 2.5.1. ქუთაისის ფ. ა. რელიგიონის აფთიაქის გეგმა
(ამჟამად პეესპე ქუთაისი)

იმდროინდელი განვითარებული ფარმაცევტული ბაზარი რუსეთსა და ევროპაში, საშუალებას იძლევა ვიფიქროთ, რომ ქუთაისის გუბერნიის ნორმალურ აფთიაქებში მზადდებოდა სამკურნალო საშუალებები არა მარტო სარეცეპტურო გაცემისა და წვრილსაბითუმო გაყიდვებისათვის, არამედ საბითუმო ვაჭრობის მიზნით. [171]. აზრი მტკიცდება აპარატების, წიგნებისა და იმ ქიმიური ნივთიერებების ჩამონათვალის გაცნობით, რომელსაც ითხოვდნენ ქუთაისის აფთიაქები მიმწოდებლებისაგან. (იხ. ცხრილები 4.1., 4.2., 4.3. და 4.4.). ამ ჩამონათვალის ნაწილი სჭირდებოდა სარეცეპტურო ოთახს, რომელიც წამლებს ამზადებდა რეცეპტებითა და ურეცეპტო ინდივიდუალური გაყიდვებისათვის, ნაწილი კი - სააფთიაქო ლაბორატორიებს. ქიმიური ლაბორატორიებისა და აფთიაქების პროცესებსა და აპარატებს ჩვენ ცალკე თავი მივუძღვენით; დაწვრილებით ამის შესახებ აღწერილია მეოთხე თავში.

„სარეცეპტურო ოთახი გამოიყენება რეცეპტების მიხედვით წამლების მოსამზადებლად და მედიკამენტების ურეცეპტოდ გაყიდვისათვის. იგი უშუალოდ არ უნდა უკავშირდებოდეს ქუჩას, რათა შენობაში არ მოხდეს მტვერის შეღწევა. სარეცეპტუროს აღჭურვილობას შეადგენს ორი მაგიდა, რომელთაგანაც ერთ-ერთზე მზადდება წამლები, მეორედან კი წარმოებს ურეცეპტო გაყიდვა. [171]. ქუთაისის ქალაქის

პირველი აფთიაქის სარეცეპტურო ოთახი მოწყობილი იყო ფ.ა. რელიგიონის აფთიაქის ნიმუშის მიხედვით. მას ჰქონდა 8 კარადა უჯრებითა და საკეტებით, შავმუშამზაგადაკრული მაგიდები საკეტებითა და გამოსაწევი უჯრებით. სარეცეპტურო მაგიდაზე უნდა ყოფილიყო როდინი, მინის კლაკნილები, ხელის სასწორები ნეიტრალური მასალისაგან, მინის მენზურები, რქის ან ფოლადის კოვზები. სარეცეპტურო ოთახში ინახებოდა მედიკამენტების სახარჯავი მარაგი. ცალკე ინახებოდა შხამიანი სამკურნალწამლო საშუალებები. შტანგლასები მზადდებოდა ხის, გამომწვარი თიხის, ფოლადის ან ფაიფურისაგან. სარეცეპტურო ოთახს უკავშირდებოდა ადგილი რეცეპტების მიღებისათვის, რომელიც მხოლოდ დახლით იყო გამოყოფილი".

ფოთის ქალაქის გამგეობის აზრით, რომელიც აწყობდა აფთიაქს, „აფთიაქი სხვა საწარმოებზე მეტად უნდა ადევნებდეს თვალს ცხოვრების სიახლეებს, ყურადღებას აქცევდეს ტექნიკის ყოველ სრულყოფას, მეცნიერებისა და ხელოვნების გაუმჯობესებებს." სააფთიაქო საქმის რაციონალური მოწყობა მოითხოვს მის ყოველმხრივ აღჭურვას მეცნიერების უკანასკნელი სიტყვის მიხედვით; სხვაგვარად იგი ვერ გაუძლებს თანამედროვე კონკურენციას და დაიღუპება". [288, 171, 328]. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა ქუთაისის ქალაქის პირველ აფთიაქში სამმხრივმინებიანი და თაროებიანი საგამოფენო კარადა, ასევე *ესკულაპისა და ჰიგეას* ბიუსტები, როგორც სამშვენისები. წამლის მომხმარებლის მოზიდვის მიზნით მისაღებში დგამდნენ სარკიან კარადებს, მასში აწყობდნენ სხვადასხვა ლამაზ შტანგლასებსა და ფერად სითხეებს მაშინ, როცა საწარმოო ოთახები მოკლებული იყო რაიმე ამის მსგავს ყურადღებას. [23]. ეს ნათელი დადასტურებაა იმისა, რა დიდი ყურადღება ექცეოდა აფთიაქის *მერჩანდაიზინგს და ვიდეოეკოლოგიას* ისტორიული წარსულის ფარმაცევტულ მარკეტინგში.

სარეცეპტურო ოთახის მცირე მარაგების გარდა, სამკურნალო საშუალებების ძირითადი მარაგები ინახებოდა მატერიალურ ოთახში (დღევანდელი ტერმინოლოგიით - სამარაგოში, საწყობში). ამ ოთახის იატაკს ფარავდნენ ლინოლეუმით. [295]. ავეჯი მზადდებოდა ცაცხვის ხისაგან, იფარებოდა ლაქით. სააფთიაქო ავეჯს წარმოადგენდა კარადები და მოძრავი თაროები, ლირსოვანი („ფილენჩატი") კარებით და ჩასმული კლიტეებით. ამ ოთახში იდგა მაგიდები ბარიერებით, ლირსოვანი ბადეებით და უჯრებით; ყველაფერს გადაკრული ჰქონდა მუშამბა. [288].

ასეთივე ავეჯი ცაცხვის მერქნისაგან მზადდებოდა კოქტორიუ-

მისათვის და იფარებოდა ყვითელი ფერის ლაქით. მაგიდებს გადაკრული ჰქონდა მუშამბა, ხოლო კარადები იყო საკეტებით. [288].

აფთიაქარის მოვალეობებში შედიოდა საცხოვრებელი ოთახების აღჭურვა. ამის შესახებ საარქივო დოკუმენტებში ასეა ნათქვამი: „ნაყიდია 4 საწოლი, 2 სურა, 4 ლეიბი,“ ჩანს ქუთაისის ქალაქის პირველ აფთიაქში არსებული პანსიონისათვის. [295].

## 2.6. მოსახლეობის წამლეულით უზრუნველყოფის ორგანიზაცია

ამ პერიოდში ქუთაისის გუბერნიაში ქსენონებში სამედიცინო დახმარების აღმოჩენა როგორც ამბულატორიული (მოსიარულე), ასევე სტაციონარული ავადმყოფებისათვის ხორციელდებოდა მხოლოდ რუსული და საზღვარგარეთული წარმოების სამკურნალო საშუალებებით. მრავალი პრეპარატი შემოდიოდა ავსტრიიდან, გერმანიიდან, უკრაინიდან, ლატვიიდან, რუსეთიდან.

ფარმაცევტული სამსახურის სუბორდინაცია, რომლითაც ხორციელდებოდა წამლეულით მომსახურეობის ორგანიზაცია აღნიშნულ პერიოდში, მოცემულია სქემაზე 2.1.1. როგორც ამ სქემიდან ჩანს, იგი შედგება ფარმაცევტული სამსახურის მმართველი ორგანოებიდან, რომელთაგან ყველაზე ქვედა უშუალოდ ესახურებოდა მოსახლეობასა და გუბერნიის საავადმყოფო-სასნეულო სახლებსა და ქსენონებს.

ამბულატორიული და სტაციონარული ავადმყოფების წამალთმომსახურეობის ძირითადი დაწესებულება აფთიაქი იყო. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ღია ტიპის აფთიაქების დაარსებამდე, ავადმყოფები წამალს იღებდნენ სამხედრო ჰოსპიტლების აფთიაქებიდან და ლაზარეთებიდან, რომელიც სამხედრო უწყებას მიეკუთვნებოდა. [334].

როგორც საარქივო წყაროებიდან ჩანს, 1864 წელს ოზურგეთისა და ახალციხის მაზრებში სამხედრო ჰოსპიტლის აფთიაქებიდან გაშვებული წამლის „საფასურს ღარიბებისათვის იხდიდა საზოგადოებრივი მზრუნველობის ამიერკავკასიის უწყება“. [330].

დღევანდელობისაგან განსხვავებით, წარსულში, თუ არ ჩავთვლით ჰოსპიტლის აფთიაქებს, *საავადმყოფოს აფთიაქები არ იყო.* ავადმყოფები კი იღებდნენ წამალს ან კერძო აფთიაქიდან, ან სააფთიაქო საწყობებიდან. [299].

ქალაქის აფთიაქების განლაგების მთავარი პრინციპი იყო წამლეულით დახმარების მაქსიმალური მიახლოება მოსახლეობასთან. თუმცა არ იყო უგულებელყოფილი ახალი აფთიაქის გახსნის მსურველი კერძო აფთიაქის მფლობელთა ინტერესები. ხელისუფლება ხშირად აჩერებდა არჩევანს იმ პირებზე, რომელთაც სურდათ ჰქონოდათ აფთიაქი ქალაქის ცენტრში, კარგად უზრუნველყოფილ უბნებში; ქალაქის მოშორებული უბნების მოსახლეობა კი ძველებურად რჩებოდა ფარმაცევტული დახმარების გარეშე.

ქალაქის აფთიაქები იყო სადღეღამისო და ქალაქის მცხოვრებლებს დღე-ღამის ნებისმიერ დროს შეეძლოთ მიეღოთ საჭირო წამლები.

*წამლის უფასო და შეღავათიანმა გაცემამ* აღნიშნულ პერიოდში დიდი გაქანება მიიღო. მაგალითად ქუთაისის ქალაქის პირველი აფთიაქი ქალაქის საავადმყოფოზე უფასოდ გასცემდა წამლებს გადამდები სნეულებით დაავადებულთათვის, ხოლო ქალაქის ქსენონისათვის (სასნეულო სახლებისათვის) - გასაყიდი ფასით. „ქალაქის გამგეობა თავის მოხსენებებში ქალაქის აფთიაქზე გამოთქვამდა პროტესტს და მოითხოვდა ქალაქის სამკურნალოებისათვის წამლების მიყიდვას თვითღირებულებით“. [302, 313].

იგივე აფთიაქი უფასოდ გასცემდა წამლებს აგრეთვე ქალაქის პოლიციელებზე, ღარიბებზე, ქალაქის მოსამსახურეებზე, ქალაქის ცხენებსა და საერთოდ „ქალაქის საჭიროებებზე“. ჩვენს მიერ მოკვლეულია რვეულები წამლის ასეთი გაცემის ჩანაწერებით. [302, 287].

აფთიაქი როცა იხსნებოდა, იგი ქალაქის მთავრობის წინაშე იღებდა ვალდებულებას უფასოდ გაეშვა წამლები ქალაქის სამკურნალოსათვის ორი, ოთხი და ა.შ. წლის განმავლობაში. [283]. მაგალითად, საჩხერის სოფლის საექიმო პუნქტში იყო 4 საწოლი და მას ჰქონდა აფთიაქი, საიდანაც უფასოდ გაიცემოდა წამლები უღარიბეს მოსახლეობაზე. [335].

მთელს გუბერნიაში 1912 წელს 27 889 მანეთის ღირებულების წამლები გაიცა უფასოდ, მათ შორის მთავრობის მიერ - 4232 მანეთის, ქალაქების მიერ - 3493 მანეთის, კერძო პირებისა და საზოგადოებების მიერ - 8446 მანეთის, ქრისტიანული მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო უწყებების მიერ - 100 მანეთის და ა.შ. შედარებისათვის აღვნიშნავთ, რომ ამავე წელს ქუთაისის ქალაქის პირველი აფთიაქის ფასიანი საქონელბრუნვა 41 615 მანეთი იყო. [355, 356].

ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, სოფლის მოსახლეობა

უწინდებურად რჩებოდა უიმედო მდგომარეობაში. ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი ლევაშოვი, თავის მოხსენებაში, 1872 წელს აღნიშნავდა მოსახლეობის სამედიცინო მომსახურეობის უკიდურესად მძიმე მდგომარეობის შესახებ და მოითხოვდა მაზრის ექიმებისათვის დაერიგებინათ პატარა აფთიაქები საპალნეებად სატარებლად. რამდენიმე ხნის შემდეგ სოფლის ექიმებს ამაზეც უარი ეთქვათ; სანაცვლოდ დაურიგეს ტყავის პატარა ჩანთები მედიკამენტებით. [75].

1894 წელს გაზეთი „ივერია“ წერდა: „სოფლის მოსახლეობა მოკლებულია წამალთმომსახურეობას; ავად გახდომისას ისინი მიმართავენ ექიმბაშებს და თვითმარქვია ექიმებს“. XIX საუკუნის 90-იანი წლების პერიოდიკის ფურცლებზე ქვეყნდებოდა ინფორმაცია, რომ სადაც „ჩამოყალიბებულია ერობები, იმ სოფლებში ხალხი უკეთეს მდგომარეობაშია, მაგრამ ეს ხდება იშვიათად.... ხელისუფლება ცდილობს მღვდლებს სემინარიაში მისცეს განათლება მედიცინაში, რომ როგორც მინიმუმი, პირველი სამედიცინო დახმარება გაუწიონ მოსახლეობას სოფლებში, სადაც არ არის ექიმი და აფთიაქი“. [26].

ჯერ კიდევ 1884 წელს დამტკიცებული იყო ახალი დებულება - ყოველ მაზრაში დაეწესებინათ ქსენონი აფთიაქით [75], მაგრამ ქსენონების გახსნა ქუთაისის გუბერნიის სამაზრო ცენტრებსა და სოფლებში დაიწყეს მხოლოდ 90-იანი წლების ბოლოს; კერძოდ - ბაღდათში, ვანში, დიდი ჯიხაიშში, სვირში, ხრესილში, სიმონეთში, წყალტუბოში, თერჯოლაში, ყვირილაში, ჭიათურაში, ჩხარში, საზანოში და სხვ. [356]. ქსენონის აფთიაქებს არ ჰქონდათ წამლების გაყიდვის უფლება.

ქუთაისის გუბერნიის მრავალი დიდი სოფელი ხანგრძლივი დროით რჩებოდა წამლეულით კვალიფიციური დახმარების გარეშე. მაგალითად, 1910 წელს ქუთაისის მაზრის სოფელ ობჩის მცხოვრებლებმა შუამდგომლობა აღძრეს ობჩაში აფთიაქის გახსნის თაობაზე, ხოლო დიმის მოსახლეობა წამლებს თვითმარქვია ფერშლის ხელიდან იღებდა, რომელიც თვითონ ამზადებდა წამლებს და თვითონვე მკურნალობდა. [32, 72].

როგორც უკვე აღვნიშნავდით, სოფელ დიდ ჯიხაიშში 1902 წლის 19 თებერვალს გაიხსნა ქსენონი აფთიაქით, რომელმაც მიზანი დაისახა ხელმისაწვდომი და შესაძლებელი გაეხადა მკურნალობა ყველაზე არასმქონისათვისაც კი. აფთიაქიდან წამლები გაიცემოდა ფასდაკლებით, ხოლო ყველაზე ღარიბებისათვის - უფასოდ. [1, 68-71].

ქუთაისის გუბერნატორის 1892 წლის ანგარიშებში ვკითხულობთ: „შორაპნისა და ზუგდიდის მაზრებში 1886 წლის 26 თებერ-

ვლის კანონის მიხედვით უკვე შემოღებულია სოფლის საექიმო უბნები. საექიმო დახმარება დაავადებულ მოსახლეობას ქსენონებიდან სოფლის ექიმების საშუალებით მიეწოდება; რჩევები და წამლები გაიცემა უფასოდ, რაც ხელმისაწვდომია ამბულატორიული ავადმყოფებისათვის. .... გადამდები სნეულებებით დაავადებულთათვის ექიმებისა და ფერშლების მგზავრობა უფასოდაა, ხოლო წამლები მათ მაშინვე ეძლევათ ხელზე სოფლის საზოგადოებების ხარჯზე". [335].

სოფლის საზოგადოებები იძენდნენ ყოველგვარ ინვენტარს, რომ თავიანთ აფთიაქებში წამლები კანონის მოთხოვნების დაცვით მოემზადებინათ. მაგალითად, საარქივო დოკუმენტებში ჩანს, რომ საჩხერის, ჩხარის, ხრესილის, აბაშის, ხობის, ჩოხატაურის საავადმყოფოებმა 1911 წელს შეიძინეს წყლის გამოსახდელი კუბი. ეს ფაქტი ასევე ადასტურებს ამ სოფლის პუნქტებში აფთიაქების არსებობას. [234].

შორაპნის მაზრაში იყო ქსენონი ჭიათურის მანგანუმის სარეწზე და ბელოგორის (ამჟამად ხარაგოულის) სოფლის საექიმო ქსენონი, რომელშიც შედიონდნენ შემდეგი სოფლების საზოგადოებები: ხარაგოულის, კიცხის, შროშისა და სხვ. [358, 350].

ქსენონებიდან წამლები გაიცემოდა ავადმყოფებზე ყოველდღიურად და უფასოდ ზუგდიდის, ოზურგეთის, ლეჩხუმის მაზრებშიც. ისინი არსებობდნენ ერობის სახსრებით. ზოგიერთ ქსენონსა და სოფლის საექიმო პუნქტებში, მაგალითად საჩხერისა, მოეწყო აფთიაქი უღარიბეს მოსახლეობაზე მედიკამენტების უფასო გაცემისათვის. [335, 336].

წამლები უფასოდ გაიცემოდა სოფლის საექიმო ნაწილებიდანაც. 1913 წელს იყო ასეთი 14 ნაწილი. მათში არსებობდა საავადმყოფო და საფერშლო პუნქტი. [360]. *ქსენონი* ეწოდებოდა ისეთ სამედიცინო დაწესებულებას, სადაც იყო საწოლები, ხოლო *საფერშლო და საექიმო პუნქტი* კი ისეთს - სადაც საწოლები არ იყო. ქსენონები წამლებს იღებდნენ ქუთაისის ლევან პეტრეს ძე კოკოჩაშვილის (კოკოჩევის) სააფთიაქო საწყობიდან. (იხ. სურ. 2.6.1. და 2.6.2.). სახელმწიფო ქსენონებს ავანსად აძლევდა ფულს 50-დან 150 მანეთამდე, ხოლო სადაც არ იყო ქსენონები, ასიგნებას აძლევდნენ საფერშლო პუნქტების ექიმებს. [331]. ასე მაგალითად, ოზურგეთის მაზრის ჩოხატაურის უბნის მცხოვრებლებისათვის 1864 წელს პ.პ. კოკოჩაშვილის კერძო აფთიაქიდან მკურნალი კლემენტოვის მიერ გატანილი იქნა სამკურნალო საშუალებები: ქინინის სულფატი, წყავის წყალი, მარილმჟავა, ტუხტის ფესვები, აბუსალათინის ზეთი, კალომელი და სხვ. [331]




სურ. 2.6.1. ლევან კოკოჩაშვილის სააფთიაქო საწყობი



სურ. 2.6.2. ლევან კოკოჩაშვილის სააფთიაქო საწყობი

იყო შემთხვევა, რომ სოფელს არ ჰქონდა ქსენონი და არ ჰყავდა ექიმი, არამედ ჰქონდა მარტო ერობის აფთიაქი. ავადმყოფები მიმართავდნენ აფთიაქარებს და სოფლის აფთიაქარი აძლევდა მათ წამლებს ავადმყოფობის გამოვლინებების მიხედვით. [33].

ქუთაისის გუბერნიის სასწავლო დაწესებულებებს აგრეთვე ჰყავდათ ექიმები და პანსიონებთან ჰქონდათ საავადმყოფოები. მაგალითად, ქუთაისის ვაჟთა გიმნაზიასთან იყო საავადმყოფო 10 საწო-

ლით, ხონის სამასწავლებლო სემინარიასთან - 8 საწოლით და ა.შ. [336, 239]. სასწავლებლების დირექცია საჭიროებისას იძენდა მედიკამენტებს ქალაქების ან სამაზრო ცენტრების აფთიაქებიდან, შესაბამისად,. ამ წამლების მთელი წლის ანგარიშს ერთად იხდიდა კავკასიის სასწავლო ოლქის ინსპექტორი. [239, 336, 243, 2239, 242]. ქალაქისა და სოფლის აფთიაქების სამუშაო დატვირთვა მოცემულია ცხრილში 2.6.1.

**ცხრილი 2.6.1.**

**ქუთაისის გუბერნიის ერთი აფთიაქის მიერ მომსახურებულ ავადმყოფთა რიცხვობრიობა**

| წელი | მომსახურებულ ავადმყოფთა რიცხვი ქალაქებში | მომსახურებულ ავადმყოფთა რიცხვი მაზრებსა და სოფლებში |
|---|---|---|
| 1910 | 11 468 | 13 703 |
| 1911 | 8 969 | 13 370 |
| 1912 | 13 950 | 12 787 |
| 1913 | 10 875 | 12 324 |

შედარებისათვის მოგვყავს 1990 წელს ერთი აფთიაქის მიერ მომსახურებული პაციენტების რაოდენობები:

ა) ქალაქის ტიპის ადგილებში - 10 000 -13 000 ადამიანი,

ბ) სოფლის ტიპის ადგილებში - 7 090 ადამიანი.

## 2.7. სამკურნალო საშუალებებით არასააფთიაქო ვაჭრობა. სააფთიაქო მაღაზიები

სამკურნალო საშუალებებით არასააფთიაქო (აფთიაქსგარე) ვაჭრობის განვითარებას ხელს უწყობდა კაპიტალისტური წარმოების ტემპების დაჩქარება, ფარმაცევტულ ბაზარზე სამრეწველო წარმოების პროდუქტის - მედიკამენტების რაოდენობის გადიდება, ქვეყანაში სააფთიაქო ქსელის სუსტი განვითარება, აფთიაქებში წამლებზე მაღალი ფასები და ეს ყველაფერი - მოსახლეობის დიდი უმრავლესობის დაბალი საარსებო დონის პირობებში.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში სამკურნალო საშუალებებით არასააფთიაქო ვაჭრობამ ფართო გავრცელება ჰპოვა; იგი ხდებოდა სა-

აფთიაქო მაღაზიებში. [173]. სააფთიაქო მაღაზიების სახით აფთიაქები თანდათან იძენდნენ კონკურენტებს. ეს მაღაზიები ყიდდნენ ყველა მედიკამენტს, ნებისმიერი სახითა და რაოდენობით; მათი უმეტესობა წარმოდგენილი იყო რთული სახით. ასევე წარმოებდა ყველა შესაძლებელი მედიკამენტის გაყიდვა ქიმიური ქარხნებიდან და ლაბორატორიებიდან საბაყლო დუქნებში, რაც „Фармацевтический журнал“-ის აზრით, პრინციპულად არღვევდა ფარმაცევტის უფლებებს. [198, 200]

სააფთიაქო მაღაზიების გახსნა XIX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოსა და 90-იანი წლების დასაწყისში გუბერნიის სააფთიაქო ქსელის განვითარებით და მოსახლეობის წამლებზე მზარდი მოთხოვნილებით იყო განპირობებული. აქ მუშაობდნენ ადამიანები სპეციალური ფარმაცევტული განათლების გარეშე; მაღაზიები გახდა მათი მფლობელების გამდიდრების წყარო. ყიდულობდნენ-რა ფარმაცევტულ საქონელს საზღვარგარეთიდან და რუსეთიდან, ისინი ეწეოდნენ წამლითა და სანიტარულ-ჰიგიენური საქონლით სპეკულაციას. [1]. 1877 წელს ქუთაისში დავით სიდავას საკუთარ სახლში აფთიაქარის ქუჩაზე არსებობდა სააფთიაქო მაღაზია. [278, 281].

ქუთაისში სააფთიაქო მაღაზია გახსნა 1880 წელს იაკობ კოკოჩაშვილმა საკუთარ სახლში. ეს იყო ერთ-ერთი პირველი სააფთიაქო მაღაზია მთელს გუბერნიაში. [281, 213]. უკვე 1893 წელს ქალაქის ცენტრში - ბულვართან ახლოს ფუნქციონირებდა სამი სააფთიაქო მაღაზია [326], ხოლო მთელს გუბერნიაში 1892 წელს იყო 8 საფთიაქო მაღაზია. მათ შორის იყო ლეონ (ლევან) პეტრეს ძე კოკოჩაშვილის სააფთიაქო საწყობი, რომელიც 1890 წელს გაიხსნა და ეწოდებოდა „სააფთიაქო საწყობი და ქიმიური ლაბორატორია“. (იხ. სურ. 1.6.1. და 1.6.2.). აქ იყიდებოდა სააფთიაქო, ქიმიური, პარფიუმერული საქონელი, ნატურალური მინერალური წყლები და მარილები, რეზინის ნაწარმი, ქირურგიული ინსტრუმენტები, შესახვევი მასალები, პატენტური საშუალებები და ფოტოგრაფიული მოწყობილობები და მასალები. ჩვენ წარმოგიდგენთ იმ მედიკამენტების არასრულ ჩამონათვალს, რომელიც 1901 წელს შეიძინა ამ საწყობიდან ქუთაისის ქალაქის პირველმა აფთიაქმა: ევკალიპტის ზეთი, სამქლორძმარმჟავა, ქინინის ქლორიდი, ასპირინი, ტანალბინი, დიურეტინი, კალიუმის იოდიდი, ნაფტალანი, ბორჯომის წყალი, პანკრეატინი, ქლოროფორმი, ლანოლინი, შმაგას გამონაწვლილი, რეზორცინი, კოკაინის ჰიდროქლორიდი, კოდეინის ფოსფატი, ნატრიუმის ბენზოატი, ბენზინი, გლიცერინიანი საპონი, კაკაოს ცხიმი, კარბოლიანი საპონი, კალომელი, გვაია-

კოლი, გოგირდის ყვავილები (Flores sulfuri - სპეციალური ტექნოლოგიით მიღებული სუფთა გოგირდია), ლიზოლი, მორფინის სულფატი, კბილის პლომბები, ეთერი, კრეოლინი, აზუსალათინის ზეთის კაფსულები, ანტინერვინი, ნატრიუმის კაკოდილატი (დარიშხანის ნაერთია), ღორის ქონი, ხის კოლოფები ფხვნილებისათვის, ოსტროუმოვის საპონი ქერტლის საწინააღმდეგოდ, ტყვიის იოდიდი, ბორ-თიმოლიანი საპონი, ბებერას სალბუნი, აპენტა და სხვ. [299, 291, 144, 290].

მ.პ. შავერზაშვილის სააფთიაქო საწყობი ქუთაისის ცენტრში, გიმნაზიის ქუჩაზე (თეატრის მოპირდაპირე მხარეს), წამლებით ამარაგებდა ქალაქის აფთიაქს და ერთდროულად ასრულებდა სააფთიაქო მაღაზიის მოვალეობასაც, სადაც წამლების გარდა იყიდებოდა პარფიუმერია - სუნამოები, ოდეკოლონები და სხვა. [290, 67].

გუბერნიის სხვადასხვა ადგილას იყო 24 მოსკოტილეულის სავაჭრო. [336].

ჩვენი ყურადღება მიიპყრო სააფთიაქო მაღაზიების თვითნებობამ აღნიშნულ პერიოდში. მათ უფლება არ ჰქონდათ მოემზადებინათ რთული წამლის ფორმები და გაეშვათ ისინი სააფთიაქო და სამედიცინო დაწესებულებებზე გაყოფილი სახით, არამედ მხოლოდ მთლიანი მასის სახით და რამდენიმე ფუნტის რაოდენობით. [182]. „ახალსენაკში, ვკითხულობთ ქუთაისის გუბერნატორის ანგარიშებში, აღმოჩენილია მოსკოტილეულის სავაჭროდან მედიკამენტებისა და ძლიერმოქმედი საშუალებების გაყიდვა ფერშლების რეცეპტებით. არაა ნებადართული მედიკამენტების გაყიდვა მოსკოტილეულის სავაჭროებიდან. ასეთი სავაჭროს მეპატრონე უნდა იქნას დასჯილი ერთთვიანი პატიმრობით.“ [336].

XIX საუკუნის ბოლოს, რუსეთის ფარმაცევტთა ყრილობის წინ, ყრილობას მიეძღვნა წერილი გაზეთში „კვალი“ № 28 1899 წლის 11 ივლისს. წერილის სათაურია „ქართველი ფარმაცევტების საყურადღებოდ“, სადაც აღინიშნა, რომ აუცილებელი იყო ზომების მიღება აფთიაქს გარეთ წამლების მომზადების წინააღმდეგ. [291].

მიუხედავად სააფთიაქო მაღაზიების დაარსების წინააღმდეგ გამოთქმული მოსაზრებებისა მათ და აფთიაქსგარე ვაჭრობის სხვა დაწესებულებებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს მოსახლეობის ფართო ფენების წამლეულით მომსახურეობის საქმეში, რადგან ისინი იხსნებოდა იქ, სადაც არ იყო აფთიაქები და ამით იზრდებოდა მედიკამენტებით მომსახურეობის არეალი. [213].

## მეორე თავის დასკვნები

მედიცინისა და ფარმაციის ისტორიაში პირველად, საარქივო მასალებზე დაყრდნობით გაცემულია პასუხი XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში ქუთაისის გუბერნიის ფარმაციის ორგანიზაციისა და განვითარების ზოგიერთ საკითხზე. ამით გამოსწორებულია ფარმაციის ისტორიის ამ პერიოდში არსებული ხარვეზები.

კერძოდ, ჩვენს მიერ:

1. დადგენილია ფარმაცევტული სამსახურის მმართველობითი სტრუქტურა აღნიშნულ პერიოდში. როგორც ნივთიერი საბუთი ქუთაისის იმდროინდელი მნიშვნელობისა და პრესტიჟისა, ქუთაისის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში მოკვლეულია რუსეთის იმპერიის „1904 წლის სააფთიაქო წესდების პროექტის ახსნა-განმარტებითი ბარათი", რომელიც აქ გამოგზავნილი იყო განხილვისათვის.

2. გამოვლენილია ქუთაისში 1904 წელს ქალაქის სააფთიაქო კომისიის არსებობის შესახებ, რომელიც სააფთიაქო საქმის ხელმძღვანელი და მაკონტროლებელი ორგანო იყო. იგი შედგებოდა ქალაქის სათათბიროს ხმოსნებისაგან, მუშაობდა საზოგადოებრივ საწყისებზე და აკონტროლებდა მხოლოდ ქალაქის აფთაქს/აფთიაქებს. ქალაქის აფთიაქების მართვის ეს მეთოდი ნებისმიერ დროში და საზოგადოებრივი ფორმაციისას შესაძლებელია წარმატებით იქნას გამოყენებული.

3. დადგენილია და დაზუსტებულია ქუთაისის გუბერნიის აფთიაქების გახსნის ზუსტი თარიღები. გამოვლენილია, რომ აფთიაქებს გარდა წამლეულის ყიდვა-გაყიდვით დასაქმებული იყვნენ სააფთიაქო მაღაზიები და მოსკოტილეულის სავაჭროები. ქუთაისში 1901 წლის 21 ივლისს, პირველად დასავლეთ საქართველოში, გაიხსნა ქუთაისის ქალაქის პირველი საზოგადოებრივი აფთიაქი, რომელიც ქალაქის ხაზინიდან ფინანსდებოდა. მომდევნო წლებში გაიხსნა სხვა ასეთი აფთიაქებიც ფოთში, ქუთაისსა და სხვა ქალაქებში.

4. გამოვლენილია ფარმაცევტულ სამეცნიერო ლიტერატურაში აფთიაქების აქამდე უცნობი ტიპები: ა) განსაზოგადოების ხასიათის მიხედვით - არსებობდა *სახაზინო* (ჰოსპიტალური და სამოქალაქო), *კერძო* და *საზოგადოებრივი აფთიაქები* და ბ) ტექნოლოგიური პროცესებისა და წამლების ასორტიმენტის მიხედვით კი - აფთიაქები იყო *ნორმალური და სოფლის.* საზოგადოებრივი - სოფლის აფთიაქის ტიპიური მაგალითად გამოდგება დიდი ჯიხაიშის ერობის (საზოგადოების) აფთიაქი.

5. მოწოდებულია დაწვრილებითი ცნობები ქუთაისის გუბერნიის აფთიაქების შენობის, საწარმოო სათავსების, სავაჭრო დარბაზის, ავეჯის, აფთიაქის აღჭურვილობის შესახებ აღნიშნულ პერიოდში.

6. გაშუქებულია წამალთმომსახურეობის სურათი გუბერნიაში. დადგენილია წარსულში აფთიაქების, როგორც მოსახლეობის წამლეულით მომარაგების ძირითადი ობიექტის, როლი და მნიშვნელობა. გამოვლენილია ღარიბებზე, ქალაქის პოლიციელებზე, ქალაქის მოსამსახურეებზე და საზოგადოდ, „ქალაქის საჭიროებებისათვის“ წამლის უფასო გაცემის ხვედრითი წილი, ასევე სოფლის აფთიაქებიდან, სოფლის საექიმო პუნქტებიდან, ქსენონებიდან უღარიბეს მოსახლეობაზე, ინფექციურ ავადმყოფებზე უფასოდ გაცემული წამლების საქონელბრუნვა სახელმწიფოსა და სოფლის საზოგადოებების მიერ. დადგენილია, რომ გუბერნიის წამლის საქონელბრუნვის დაახლოებით 1/6-ს შეადგენდა წამლის უფასო გაცემა.

# თავი 3. აფთიაქების მომარაგება, ქუთაისის გუბერნიის ფარმაციის კავშირი სხვა სახელმწიფოებთან

## 3.1. ქუთაისის აფთიაქების სამკურნალო საშუალებებით მომარაგება საქართველოს ტერიტორიიდან

რევოლუციამდელი რუსეთის ფარმაცევტული მრეწველობის ჩამორჩენილობის გამო საქართველოს მთელს ტერიტორიაზე კერძო და სახელმწიფო აფთიაქები ხშირად მარაგდებოდნენ იმპორტული ფარმაცევტული პრეპარატებითა და აპარატურით, იშვიათად კი, რუსული, უკრაინული, ლატვიური წარმოების პროდუქციით. [291]. ასეთი იყო ვითარება ქუთაისის გუბერნიაშიც, სადაც აფთიაქები საკვლევ პერიოდში წამლებს იღებდნენ ძირითადად ქუთაისის, თბილისის, მოსკოვის, სანკტ-პეტერბურგის, ასევე - რუსეთის, უკრაინის, ლატვიის სხვა ქალაქების სააფთიაქო საწყობებიდან.

საარქივო მასალებში მოხსენებულია ფირმები - „Рубанчик и Герман“, „Бранд и Тиман“, „Штрауф“, „Хозе“, და სხვები. სამედიცინო საქონელს აფთიაქები იძენდნენ უშუალოდ მწარმოებლებისაგანაც - იწერდნენ გერმანიიდან, ავსტრიიდან, პოლონეთიდან, უნგრეთიდან და სხვა, სადაც იყო განსაკუთრებით განვითარებული ფარმაცევტული მრეწველობა. დასავლეთ საქართველოს აქვს ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა და შესანიშნავად უკავშირდებოდა ევროპული რუსეთისა და თვით ევროპის უდიდეს ცენტრებს. ამას ხელს უწყობდა რუსეთის იმპერიაში 1839 წელს ჩატარებული ფულის რეფორმა, რის მერეც დაწესდა და 1897 წლამდე მოქმედებდა ვერცხლის მონომეტალიზმი, რა მიზეზითაც ამ პერიოდში უცხო სახელმწიფოებთან მიმოცვლა ხდებოდა ვერცხლის ფულით. [113].

1864 წელს, როცა ქუთაისის გუბერნიაში არ იყო სააფთიაქო საწყობი, ყველა სამედიცინო დაწესებულება წამლებით მარაგდებოდა პეტრე-პავლე კოკოჩაშვილის კერძო აფთიაქიდან. ჩვენს მიერ მოკვლეული საარქივო დოკუმენტები იუწყებიან, მაგალითად, რომ ბოსლევის საავადმყოფო შორაპნის მაზრაში და ჩოხატაურის საავადმყოფო ოზურგეთის მაზრაში წამლებს იწერდნენ პეტრე-პავლე კოკოჩაშვილის აფთიაქიდან. საინტერესოა იმდროინდელი სამკურნალო საშუ-

ალებების ჩამონათვალი - წყავის წყალი, ქინაქინის ფხვნილი, ქაფური, კალომელი, ტუხტის ფესვები და ა.შ. [331].


КАВКАЗСКОЕ ТОВАРИЩЕСТВО
ТОРГОВЛИ АПТЕКАРСКИМИ ТОВАРАМИ
Кавказское Товарищество
Торговли Аптекарскими Товарами

სურ. 3.1.1. ანგარიშ-ფაქტურა


КАВКАЗСКОЕ ТОВАРИЩЕСТВО ТОРГОВЛИ АПТЕКАРСКИМИ ТОВАРАМИ
КАВКАЗСКОЕ ТОВАРИЩЕСТВО
ТОРГОВЛИ АПТЕКАРСКИМИ ТОВАРАМИ

სურ. 3.1.2. ანგარიშ-ფაქტურა

1890 წელს კი, როგორც აღვნიშნეთ, გუბერნიაში უკვე არსებობდა მომარაგებით ძალიან მდიდარი ლ.პ. კოკოჩაშვილის სააფთიაქო საწყობი და ქიმიური ლაბორატორია. სოფლის ყველა საფერშლო პუნქტი, საავადმყოფო და აფთიაქი, ასევე მრავალი ქალაქის ნორმალური აფთიაქი მარაგდებოდა სხვადასხვა სამკურნალო საშუალებებით ნაწილობრივ ამ საწყობიდან, ნაწილობრივ უშუალოდ მწარმოებლებიდან ან რუსი, უკრაინელი, პოლონელი, ავსტრიელი და სხვ. დისტრიბუტორებიდან. ჩვენს მიერ აღმოჩენილ დოკუმენტებში ნაპოვნია საინტერესო ჩამონათვალი, რაც გვაძლევს ინფორმაციას იმდროინდელი ფარმაკოლოგიური არსენალის შესახებ: თიოკოლი, აზუსალათინის ზეთი კაფსულებში, ტალკი, ვერცხლისწყლის ბენზოატი, სალახინინი, შმაგას გამონაწვლილი, ადრენალინი 1:1000, თაბაშირი, დათვისყურას ფოთლები, დანიის მეფის წვეთები, ქინინის ქლორიდი, ბორ-თიმოლიანი საპონი, თეთრი და ყვითელი ვაზელინი, ვერცხლის ნიტრატი, ასევე დამხმარე მასალები - საცობები, წამლის გასაშვები შუშები, ჰიგროსკოპული ბამბა და სხვა. [288, 236, 291, 324, 295].

ჩვენს მიერ ასევე მოკვლეულია ქუთაისის ლევან კოკოჩაშვილის სააფთიაქო საწყობიდან 1907 წელს წალენჯიხისა და ჩოხატაურის

სოფლის საავადმყოფოებზე გაცემული მედიკამენტების ანგარიშ-ფაქ-ტურები (ზედნადები). [236]. ამით ნათელი ხდება საქმის წარმოების საკითხები მაშინდელ აფთიაქში.

ღვინის სპირტის შეძენა ხდებოდა „ქუთაისის ტ. გაბუნიასა და კომპანიის სპირტის, არყისა და სასმელების საბითუმო საწყობიდან" [288]. ერთი ვედრო $96^0$ სპირტი ღირდა 14 მანეთი და 50 კაპიკი (ფუ-ლის კურსისათვის უნდა აღინიშნოს, რომ პროვიზორის ხელფასი ამ დროს იყო 100 მანეთი).


ГОРОДСКАЯ
АПТЕКА
„Товарищество Фармацевтовъ"
Счетъ №
ЦѢНА СУММА
Итого 12.00
За Управляющаго
Азовско-Донской Коммерческій Банкъ.

სურ. 3.1.3. აფთიაქის ანგარიშ-ფაქტურები


ХИМИКО-БАКТЕРІОЛОГИЧЕСКІЙ КАБИНЕТЪ
ПРОВИЗОРА А. С. КЛЕБАНСКАГО.
ТИФЛИСЪ
ТЕЛЕФОНЪ №

სურ. 3.1.4. აფთიაქის ანგარიშ-ფაქტურები

ქუთაისის კემულარიას, გოკიელის (გოკიელოვის), რაფაელო-ვის, ს.პ. ფეიქაროვის მაღაზიებიდან და ადგილობრივი სავაჭრო სახ-ლებიდან გუბერნიის აფთიაქები იძენდნენ ნავთს, ტილოს, მაუდს, ხა-ვერდს, კარადის სახელურებს, წვრილსაწონებს, ჯაგრისებს, ქანჩგასა-ღებს, დანებს, ტაშტებსა და თასებს, შპალიერს, საკეტებსა და სხვა სა-მეურნეო საქონელს; ასევე, მიიღებოდა წამლის გასაშვები შუშები მო-სახლეობიდან. ზემოჩამოთვლილი გვაძლევს ინფორმაციას აფთიაქის მოწყობისა და სამეურნეო საკითხების შესახებ. [291, 288, 295].



ანგარიში

ტარიელ გაგუნიასი და ნიკო მგალობლიშვილისაგან



ანგარიში

სურ. 3.1.5. აფთიაქის ანგარიშ-ფაქტურები

სურ. 3.1.6. აფთიაქის ანგარიშ-ფაქტურები

წამლის მომწოდებელი იყო „სააფთიაქო საქონლით ვაჭრობის კავკასიის ამხანაგობა“ (დაარსდა 1882 წლის 29 იანვარს), მას ჰქონდა განყოფილებები ბაქოში, თბილისსა და ბათუმში.ქუთაისში გამოაგზავნა მუშამბა, კომპრესები, ასპირინი, ეთერი, მეთილსალიცილატი, ფერატინი, ვერცხლისწყლის ემპლასტრო, მდოგვის საფენები, ვერონალი და სხვ. ტვირთი გამოგზავნილი იყო სარკინიგზო ფოსტით ფასდადებით (ტვირთის ღირებულების, სავაჭრო მოსაკრებელისა და საფოსტო ხარჯების გადახდა ხდებოდა ტვირთის მიმღების მიერ მიღების დროს). [295, 299, 13].



Счетъ
изъ СОЛОЛАКСКОЙ АПТЕКИ
МАГИСТРА ФАРМАЦІИ
Ф. ОТТЕНЪ въ Тифлисѣ.

სურ. 3.1.7. ანგარიშ-ფაქტურა

თბილისიდან ქუთაისის აფთიაქები იღებდნენ აგრეთვე ყვავილის შრატს, რომლის მიმწოდებელი იყო თბილისის ქალაქის აფთიაქი და ქიმიურ-ფარმაცევტული ლაბორატორია „ფარმაცევტების ამხანაგობა თბილისში". [299]. თბილისის პროვიზორ ა.ს. კლებანსკის ქიმიურ-ბაქტერიოლოგიური კაბინეტიდან 1907 წელს ქუთაისის ქალაქის I აფთიაქმა მიიღო ბლუმენტალის ქუნთრუშას საწინააღმდეგო შრატი [299], ფარმაციის მაგისტრის ფ. ოტენის სოლოლაკის აფთიაქიდან მანვე მიიღო სხვადასხვა მედიკამენტები (იხ. სურ.: 3.1.1., 3.1.2., 3.1.3., 3.1.4., 3.1.5., 3.1.6., 3.1.7.). [299, 288].

## 3.2. ქუთაისის აფთიაქების მომარაგება რუსეთიდან, უკრაინიდან და ლატვიიდან

ქუთაისის გუბერნიის აფთიაქებს პირდაპირი კავშირი ჰქონდათ ლაბორატორიებთან, მექანიკურ ქარხნებთან, ფაბრიკებთან, მწარმოებელ ფირმებთან და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეების სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე სხვადასხვა საზოგადოებებთან, მაღაზიებთან, ფაბრიკებისა და ლაბორატორიების სავაჭრო სახლებთან.

1904 წელს *რიგის* - ვ. ვ. ბრიუნვინგის ფარმაცევტული ლაბორატორიიდან ქუთაისის ქალაქის I აფთიაქმა მიიღო: რკინის ალბუმინატის წვეთები (Liquor ferri albuminati) [295].

„ი. ლემესა და კომპანიის *ოდესის* სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე საზოგადოებისაგან" ქუთაისის ამავე აფთიაქმა 1907 წლის 15 მარტს შეიძინა ნატრიუმისა და თუთიის ლიზოიდოლი. [299]. ამ საზოგადოებას კანტორები ჰქონდა ოდესასა და დონის როსტოვში. [288]. იგი აგზავნიდა-რა წამლებს ფასდადებით, აწესებდა პირობას - გადაეხადათ ორჯერ წელიწადში ყოველი 6 თვის შემდეგ. ჩვენს მიერ მოკვლეულია „ოდესის ლემესა და კომპანიის კატალოგი", გამოგზავნილი ქუთაისის ქალაქის I აფთიაქში 1901 წელს, მასში მედიკამენტების 628 დასახელებაა, 44 დასახელება არის მზა პატენტირებული საშუალება, 18 - ახალი პრეპარატი, გალენური პრეპარატი და სხვები. მაგალითად მოგვყავს ზოგიერთი მათგანი: მჟავები - ბორის, ბენზოის, ძმრის, გოგირდის, ფოსფორის; სპირტები - მეთილისა და ეთილის; აგრეთვე - შაბი, ვერცხლის ნიტრატი, არბუტინი, ოქროს ქლორატი, კოლოდიუმი, კოფეინის ბენზოატი, კოდეინის ფოსფატი, სპილენძის სულფატი, კრეოლინი, მაგნიუმისა და კალციუმის მარილები, დერმატოლი, დიურეტინი, ეუ-

ქინინი, იხთიოლი, სხვადასხვა ფესვები და ბალახები; პატენტური საშუალებებიდან - ინგლისური ემპლასტრო, მაიას ბალზამი (May Balm), ფიჭვის წყალი, მორსტადტის კაფსულები და სხვ. (სურ. 3.2.1.)


- 79 -
Одесское Общество
Торговли Аптекарскими Товарами
Ю. Лемме и К°.
Счетъ Кутаисской Городской Аптеки
Кутаисъ
№ 7842
Отправлено за вашъ счетъ и рискъ.
Марка Ю. Л. и К°.
Наложено Р. 11.59


- 81 -
Акціонерное Общество
Гофманъ и Деуэль
ХАРЬКОВЪ, Декабря 22-го дня 1915 г.
СЧЕТЪ №
Для I-й Кутаиской Городской Аптеки Кутаисъ
Съ совершеннымъ почтеніемъ Акц. О-во Гофманъ и Деуэль.
Наименованіе предметовъ
Послано в/почтой
Кохеродорисъ
Amon.Cromat.
Benzonaphtol.
Codein phosphoric.
Protargol.
Urotropin.
Почтовые расходы
Руб. 210 79

სურ. 3.2.1. აფთიაქის ანგარიშ-ფაქტურა

სურ. 3.2.2. აფთიაქის ანგარიშ-ფაქტურა

*ოდესიდან,* ერმულოვიჩის საწარმოდან, შეძენილი იყო სხვადასხვა ზომის კოლოფები, ქაღალდის პარკები და ცარიელი კაფსულები ფხვნილებისათვის. [288]. ოდესის საცობის ქარხნის სააქციო საზოგადოება „ედუარდ არისი და კომპანია“ ამზადებდა სხვადასხვა ზომის საცობებს. ქუთაისის აფთიაქები მისგან იძენდნენ მაგალითად № 21 და № 72 საცობებს. ასევე პისკორსკის აფთიაქიდან - სხვადასხვა გალენურ პრეპარატს. [319] და ა.შ.

*ხარკოვის,* პროვიზორ ი. ა. ლენდებერგის ლაბორატორიიდან, გუბერნიის აფთიაქები იღებდნენ შესახვევ მასალებს [290]. ი.პ. ლაპინის მემკვიდრეების ქიმიურ-ფარმაცევტული და ტექნიკური ლაბორატორიის აფთიაქიდან - კოლარგოლს, ნატრიუმის იოდატს და სხვ. [324]. ყველაზე ხშირად მიმართავდნენ სააქციო საზოგადოებას „ჰოფმანი და დეუელი“, რომლებიც აგზავნიდნენ „აფთიაქებისა და ლაბორატორიების სრულ აღჭურვილობას“, ასევე მედიკამენტებს - ამონიუმის ქრომატს, ბენზონაფტოლს, კოდეინის ფოსფატს, პროტარგოლს, უროტროპინს და სხვ. [295, 324, 169]. სურ. 3.2.2. [324]. ორიოლიდან

ვეტერინარ-მეხზორესაგან ქუთაისის ქალაქის პირველმა აფთიაქმა 1904 წელს მიიღო ყვავილის ვაქცინა. [295, 213].

აფთიაქისათვის მნიშვნელოვანი ქიმიური და ფარმაცევტული აპარატები და ხელსაწყოები გამოიწერებოდა *სანქტ-პეტერბურგიდან,* „გ. რინინგი და კომპანია"; ესენია - კიპის აპარატი, მარშის აპარატი, ლუმეს აპარატი, არეომეტრი, კეკულეს წყლის აბაზანა, ძაბრები, სპირტქურები, საათის მინები, ტიგელები, ვულფის შუშები და სხვ. ცხრილში 4.1.1. მოცემულია რინინგის აპარატურის სრული ჩამონათვალი. ასევე *პეტროგრადის* საწარმოდან „ვლადისლავ ჰოფმანი და კომპანია", 1915 წელს გუბერნიის აფთიაქები იღებდნენ კოდეინის ფოსფატს, მენთოლს, ანისულის ზეთს, თეობრომინს. [324].

წიგნები და ლიტერატურა იგზავნებოდა სანქტ-პეტერბურგიდან, კერძოდ აფთიაქებში სამუშაოდ გამოიყენებოდა რუსული ფარმაკოპეის სხვადასხვა, მათ შორის - IV გამოცემა, რუსეთის სამხედრო ფარმაკოპეის II გამოცემა, ი. ტრაპის „ფარმაკოგნოზია", სააფთიაქო ნიხრი (ფასების ფურცელი) და ა.შ.. მათი სრული ჩამონათვალი მოცემულია ცხრილში 4.1.2.

სხვადასხვა სახის ქილები გუბერნიის აფთიაქებში გამოიწერებოდა სანქტ-პეტერბურგის „რუსულ-ამერიკული რეზინის მანუფაქტურის ამხანაგობის საწყობი"-დან, ამ პროდუქციის მომწოდებელი იყო კონსტანტინე მალმი. იხ. სურ. 3.2.3.

სითხოვანი ექსტრაქტები ქუთაისში ძირითადად ჩამოდიოდა *მოსკოვის სტარო-ნიკოლსკის (იგივე კ. ი. ფერეინის) აფთიაქთან* არსებული ქიმიური ლაბორატორიიდან. მაგალითად, ქუთაისის ქალაქის I აფთიაქში 1901 წელს ამ ლაბორატორიიდან მიიღეს კატაბალახას ექსტრაქტი. წამლების გამოწერა ხდებოდა ამ ლაბორატორიის კატალოგით, რომელიც ეგზავნებოდა ყველა მსურველ აფთიაქს. [181, 188] იხ. სურათები - 3.2.4. და 3.2.5.



\- 82 -

Ксерокопия 3.10.

СКЛАДЪ ИЗДѢЛІЙ
ТОВАРИЩЕСТВА РОССІЙСКО-АМЕРИКАНСКОЙ РЕЗИНОВОЙ МАНУФАКТУРЫ

Счетъ Кутаисской Городской Аптеки г. Кутаисъ

Отъ поставщика ВЫСОЧАЙШАГО ДВОРА
КОНСТАНТИНА МАЛЬМЪ

С.-Петербургъ 3го Сентября 1907 г.

| | | Рубли | Коп. | Рубли | Коп. |
|---|---|---|---|---|---|
| 3 | Банки № 111 "Гера" по 35 к. | 1 | 05 | | |
| 1 | - 118/3 | | 23 | | |
| 1 | - 119/3 | | 40 | | |
| 1 | - 126/04 | | 85 | | |
| 1 | - 121/3 | | 35 | | |
| 1 | - 122/5 | | 40 | | |
| 3 | - 127/6 по 60 к. | 1 | 80 | | |
| | Переносъ | 5 | 08 | | |



\- 83 -

Ксерокопия 3.11.

СЧЕТЪ



\- 84 -

Ксерокопия 3.12.

Н. ФЕРРЕЙНЪ
МОСКВА

Н. И. Феррейнъ.

сურ. 3.2.3. აფთიაქის ანგარიშ-ფაქტურა სურ. 3.2.4. აფთიაქის ანგარიშ-ფაქტურა

მოსკოვის „სავაჭრო სახლს ი. გალპერნი და ზ. მილიკოვსკი" (სურ. 3.2.6.) ქუთაისში ჩამოჰქონდათ ქიმიური პრეპარატები. ეს სავაჭრო სახლი ეკუთვნოდა მოსკოვის ქიმიურ და კოსმეტოლოგიურ ლაბორატორიას - 1915-1916 წლებში. [324].



\- 85 - Москва, Декабря 11-го дня 1915 г.

Ксерокопия 3.13.

ТОРГОВЫЙ ДОМЪ
ПРОВИЗОРЪ
А. ГАЛЬПЕРНЪ и З. МИЛИКОВСКІЙ
Москва, Лубянскій проѣздъ 4.
Телефоны 2-37-37, 2-56-50.

МОСКОВСКАЯ
ХИМИКО-ФАРМАЦЕВТИЧЕСКАЯ
и КОСМЕТИЧЕСКАЯ ЛАБОРАТОРІЯ
Москва, Бахметьевскій пер. 4.
Телефонъ 3-39-82.

Госп. Кутаисской Первой Городской Аптек. Кутаисъ

Милостивый Государь

Согласно Вашего почтеннаго заказа отъ ... отправлены Вамъ по почтѣ товаръ по нижеслѣдующему счету на Руб. 121.90 При семъ прилаг. дубликатъ накладной за № 1 почтовая посылка

Съ совершеннымъ почтеніемъ

Счетъ № 3062

| Мѣтка | Час. | Колич. | | Цѣна Рубли | Цѣна Коп. | Сумма Рубли | Сумма Коп. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ✓ | | Magnes. perhydrol | | | 10 | - |
| | ✓ | | Natr. jodat | | | 40 | - |
| | ✓ | | Phytin chinin | | | 14 | - |
| | ✓ | | Radix Rhei | | | 4 | - |
| | ! | | Thiocol Roche | | | 50 | - |
| | | | | | | 118 | - |
| | | | Вагон. | | | 1 | 25 |
| | | | Наложен. | | | 2 | 44 |
| | | | | Руб. | | 121 | 69 |

Транспортъ...

სურ. 3.2.5. აფთიაქის ანგარიშ-ფაქტურა სურ. 3.2.6. აფთიაქის ანგარიშ-ფაქტურა

იმ დროის პერიოდიკა ხშირად უკეთებდა რეკლამას ყველანაირ ინსტიტუტსა და ფარმაცევტულ დაწესებულებას. მაგალითად ჟურნა-

ლი „Русский фармацевт“ 1908 წელს რეკლამას უკეთებდა მოსკოვის ა.მ. ბლუმენტალის ქიმიურ-ბაქტერიოლოგიურ ინსტიტუტს. ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივის 1905-1916 წლების ფონდებში ჩვენ მოვიკვლიეთ ამ ინსტიტუტიდან გუბერნიის აფთიაქებში გამოგზავნილი მრავალი ანგარიშ-ფაქტურა. მაგალითად, ერთ-ერთმა აფთიაქმა მიიღო მისგან დიფტერიის საწინააღმდეგო შრატი. [169, 324, 291].

მედიკამენტებისა და სხვა სააფთიაქო საქონლის შეძენა ხდებოდა აგრეთვე *მოსკოვის* „პროვიზორ ა. მ. ბრემენერის სააფთიაქო საქონლის საბითუმო საწყობიდან“. ქაღალდზე დაბეჭდილი ლათინური წარწერები (ეტიკეტები), ჭურჭელი, საცობები, კოლოფები, შესახვევი მასალები.

ქაღალდები: ფილტრის, კომპრესის, პერგამენტის, საწერი, შესახვევი, აგრეთვე სიგნატურები, იარლიყები, სარეცეპტურო და ჩეკების წიგნები და სხვა პირდაპირი კავშირით მოდიოდა მოსკოვიდან პ.ნ. ვინოგრადოვის მაღაზიიდან. [288].

მოსკოვის ი. ი. ლიუბიმოვის ტიპო-ლითოგრაფიიდან, ყოფილი ვ.რ. კელერი (სურ. 3.2.7.), იწერდნენ საუკეთესო ხარისხის თეთრ და ყვითელ ქაღალდზე დაბეჭდილ სიგნატურებს, ასევე მზა წებოვან ეტიკეტებს ხელზე გასაყიდი (ურეცეპტოდ გასაყიდი) წამლებისათვის; ეს სიგნატურები წინასწარ იყო დაჭრილი, წებოწასმული და დაბეჭდილი წარწერებით: „არომატული ძმარი“, „ბორის მჟავა“, „კარბოლის მჟავა“, „ქაფურიანი სპირტი“ და ა.შ.; მათ შორის იყო გამაფრთხილებელი ეტიკეტები: „ხმარების წინ შეანჯღრიეთ“, „შეინახეთ მშრალ ადგილას“; ასევე ნომერაცია გამზადებული ექსტემპორალური წამლებისათვის, კოლოფებისათვის და სხვ. [288, 324].



სურ. 3.2.7. ანგარიშ-ფაქტურა

ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფონდებში ჩვენს მიერ მოკვლეულია ამ ეტიკეტებისა და კოლოფების ნიმუშებიც. [217-220].

## 3. 3. მომარაგება ევროპის სახელმწიფოებიდან

საქართველოს ტერიტორიაზე XIX საუკუნის 70-იან წლებში გაჩაღებულ საქართველოს რკინიგზის მშენებლობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ფარმაციის განვითარებისათვის, აფთიაქების დაარსებისათვის, საერთოდ - ფარმაცევტული სისტემის წარმოშობისათვის, წამლეულით ვაჭრობის გაუმჯობესებისათვის და საზღვარგარეთის ქვეყნების ფარმაცევტულ ფირმებთან, წამლებისა და სააფთიაქო ინვენტარის მომწოდებლებთან კავშირების გაფართოებისათვის.

მიმოქცევაში არსებული რუსული ვერცხლის ვალუტის (მონეტის) დახმარებით ქუთაისის გუბერნიის აფთიაქებს საშუალება ჰქონდათ ცენტრის დახმარების გარეშე, ქალაქის გამგეობის დონეზე ან დამოუკიდებლადაც, ჰქონოდათ უშუალო კავშირები დასავლეთ ევროპის ფარმაცევტული ნაწარმისა და მედიკამენტების სახელგანთქმულ ფირმებთან და მათ არ სჭირდებოდათ რუსი ან კავკასიელი დროგისტები (დისტრიბუტორები - წამლით ბითუმად მოვაჭრეები).

იბადება კითხვა - რა ინტერესს წარმოადგენდა წამლის შეძენა არა დროგისტებისაგან, არამედ ფაბრიკანტებისაგან? ამის პასუხი მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს: ჯობდა მეტი გადაეხადათ გზისა და სახელმწიფო ბაჟის თანხა, ეყიდათ წამალი „ნარდად (ბითუმად)“ განვადებით და/ან 12% ფასდათმობით, ვიდრე ქუთაისში სააფთიაქო საწყობიდან ყოველგვარი ფასდათმობის გარეშე [1], რადგან ასე უფრო იაფი უჯდებოდათ.

სწორედ აღნიშნული მოსაზრებით გამოიწერა ქალაქის აფთიაქმა წამლები ლაიფციგიდან (კურტ გეორგისაგან), ე. მერკისაგან, ჰამბურგიდან, ჰალედან ან ვარშავიდან. 1905 წელს ქუთაისის ქალაქის აფთიაქმა გამოიწერა - სააქციო საზოგადოებებიდან: „მოტორი“, „შტეინაუერი და რეიხმანი“, „ჰერმან შტეინბუხი, ადრე ფ.ა. ვოლფი და ვაჟიშვილები“ - გალენური პრეპარატები, სუფთა ქიმიური რეაქტივები, ფაიფურის ლაბორატორიული ჭურჭელი და ა.შ. ტვირთის ქუთაისში ჩამოტანა მოხდა ვარშავა-ბრესტის, ვისლის რკინიგზით და ოდესის გავლით. ფასდადებული ტვირთის ღირებულების განაღდება კი ვექ-

სელებით აზოვ-დონის კომერციული ბანკის საშუალებით, პეტერ-ბურგში ვოლგა-კამის კომერციული ბანკის მინდობილობით. [169, 183, 291, 288, 290] იხ. სურ. 3.3.1. და 3.3.2.







სურ. 3.3.1. აფთიაქის ანგარიშ-ფაქტურა სურ. 3.1.2. აფთიაქის ანგარიშ-ფაქტურა

ქუთაისის ქალაქის პირველი აფთიაქი თავის საიმედო პარტნიორად თვლიდა მექანიკურ ქარხანას „ჰერმან შტეინბუხი ადრე ფ.ა. ვოლფი და ვაჟიშვილები“, რომელიც უშვებდა აფთიაქებისა და ლაბორატორიების მოწყობილობებს, მას ჰქონდა საკუთარი ფაბრიკები ვენასა და ბუდაპეშტში (სურ. 3.3.2.). ფაბრიკის კანტორა და ნიმუშების დეპო რუსეთისათვის ვარშავაში იმყოფებოდა [169]. ქუთაისში 1901 წელს ამ ფირმიდან ჩამოვიდა გამოწერილი მთლიანი მოწყობილობა აფთიაქისათვის - მინისა და ფაიფურის ნაწარმები აფთიაქებისა და ქიმიური ლაბორატორიოებისათვის, რითაც მოირთო და დამშვენდა ახალგახსნილი აფთიაქი. [290, 288, 299]. ეს ცნობილი ფირმა თავაზობდა გადახდას შეღავათით - 1/3 მაშინვე, 1/3 ერთი წლის განმავლობაში, ხოლო დარჩენილი თანხა - ორი წლის მანძილზე წლიური 8%-ის დამატებით. [1, 288].

საააფთიაქო მოწყობილობები ქუთაისში ჩამოდიოდა ასევე ლონდონიდან. ქუთაისის სახელმწიფო არქივის ფონდებში ჩვენ მოვიკვლიეთ საქმე, სადაც აღწერილია ლონდონიდან ჩამოტანილი ათწილადი (ათობითი) სასწორის ჩაბარების შესახებ (1892-1897 წწ.). სასწო-

რის სიზუსტის შესამოწმებლად ქალაქის გამგეობის მიერ მიწვეული იქნა პროვიზორი ლევან პეტრეს ძე კოკოჩაშვილი. [277].

რამდენადაც ცნობილია სამეცნიერო ლიტერატურიდან, XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დამდეგს აფთიაქებში სარგებლობდნენ ძველი ზომა-წონის ნიურნბერგის სააფთიაქო სისტემით, და მხოლოდ XX საუკუნის დასაწყისიდან შემოიტანეს საქართველოში ათობითი სასწორი, ჩანს, რომ ქუთაისი ამ მოვლენას არ ჩამორჩა და აქაც შეიძინეს სასწორი ლონდონიდან რომ დაეწყოთ სარგებლობა მეტრული სისტემის ზომა-წონით.

## მესამე თავის დასკვნები

ჩვენს მიერ გულდასმით იქნა შესწავლილი ქუთაისისა და მთელი დასავლეთ საქართველოს აფთიაქების მომარაგების ორგანიზაცია XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში. გამოვლენილია, რომ:

1. გუბერნიის აფთიაქები წამლებს ყიდულობდნენ საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე სააფთიაქო საწყობებიდან, სხვადასხვა ამხანაგობების საწყობებიდან, სააფთიაქო და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორიებიდან, აფთიაქებიდან;

2. ხდებოდა წამლების დაკვეთა კატალოგების მიხედვით რუსეთის, უკრაინის, ლატვიის სხვადასხვა ქალაქებიდან, უშუალოდ ფაბრიკანტებისაგან ან დროგისტებისაგან (დისტრიბუტორებისაგან);

3. რაც ყველაზე საინტერესოა, მიმოქცევაში დაშვებული ვერცხლის ფულით გაადვილებული იყო აფთიაქის მიერ დაკვეთილი ინვენტარისა და წამლების ფასის პირდაპირი გადახდა ინგლისის, უნგრეთის, ავსტრიის, გერმანიის, პოლონეთისა და ევროპის სხვა სახელმწიფოებისათვის.

# თავი 4. სააფთიაქო ლაბორატორიები

## 4.1. მოწყობა, დანადგარები და ტექნოლოგიური პროცესები

XIX საუკუნეში რუსეთის იმპერიაში *ფარმაცევტული წარმოება* თავმოყრილი იყო აფთიაქებში. აფთიაქები იყო პირველი დაწესებულებები, რომლებიც შეიმუშავებდნენ სხვადასხვა ქიმიური პროდუქტების მომზადების მეთოდებს. აფთიაქშივე იყვნენ სპეციალისტები ქიმიური ტექნოლოგიის სფეროში, ხოლო მსხვილ აფთიაქებთან [171] წარმოიშობოდა საკუთარი სააფთიაქო ლაბორატორიები, სადაც წამლების მომზადებასთან ერთად ტარდებოდა ქიმიური გამოკვლევები, მარილებისა და მჟავების გაწმენდა, ორგანული მჟავების მიღება, ნაყენებისა და გამონაწვლილების მომზადება და სხვა სამუშაოები. სააფთიაქო ლაბორატორიები კარგად იყვნენ შეიარაღებული რთული ტექნოლოგიური პროცესების ჩასატარებლად. [151, 171].

ჩვენს მიერ შესწავლილია ამ პერიოდში ქუთაისის გუბერნიის სააფთიაქო ლაბორატორიების აღჭურვილობა და ტექნოლოგიური პროცესები.

ცნობები იმაზე, რომ 1860 წელს ქუთაისის პეტრე-პავლე კოკოჩაშვილის აფთიაქში იყო ლაბორატორია, ჩვენს მიერ მოკვლეული არაა, მაგრამ ფაქტი, რომ წამლებს ამ აფთიაქიდან მომდევნო აფთიაქების გახსნამდე გუბერნიის ყველა სამედიცინო დაწესებულება იღებდა, უფლებას გვაძლევს ვივარაუდოთ მასში ლაბორატორიის არსებობა.

როგორც ჩვენს მიერ უკვე აღინიშნა, მოგვიანებით გახსნილ ფ.ა. რელიგიონის აფთიაქში იყო კარგად აღჭურვილი სააფთიაქო ლაბორატორია. ასეთივე ლაბორატორიები ფუნქციონიებდა გუბერნიის ყველა ნორმალურ აფთიაქსა და ლ.პ. კოკოჩაშვილის სააფთიაქო საწყობში.

გუბერნიის ნორმალურ აფთიაქებში მზადდებოდა წამლები არა მარტო რეცეპტებზე გასაცემად, წვრილსაბითუმო და ხელზე გაყიდვისათვის, არამედ საბითუმო ვაჭრობისათვისაც. ამის გამო გაუგებარი არ არის საარქივო მასალებში ამოკითხული ციტატა - აფთიაქის თანამშრომელთა სიაში ზოგჯერ არ შეყავდათ „გამგე და ლაბორანტი, რომლებიც დაკავებული იყვნენ თავიანთი სპეციალური საქმეებით და არ იყვნენ მონაწილე წამლის გამზადებისა და გაცემის ოპერაციებში". [314]. ამას მხოლოდ ერთი ახსნა შეიძლება მოეძებნოს, რომ სააფთიაქო ლაბორატორია და მასში მომუშავე სპეციალისტი - ლაბორანტი

დაკავებული იყო მხოლოდ ლაბორატორიის საქმეებით. გამგე კი, შესაძლოა პასუხს აგებდა აფთიაქის საქმიანობაზეც და ლაბორატორიის ქმედებებზეც. აფთიაქის შტატში იყვნენ: პროვიზორი, ლაბორანტ-პროვიზორი, გეზელი, ბუხჰალტერი, გადამწერი (სიგნარანტი) და დამხმარე მუშაკები. [126, 314].

ჩვენს მიერ დაზუსტებულია, რომ ნორმალური მხოლოდ იმ აფთიაქს ეწოდებოდა, რომელსაც გარდა ექსტემპორალური (გასამზადებელი) წამლების მოსამზადებელი ოთახისა, ჰქონდა სააფთიაქო ლაბორატორიაც.

ლაბორატორიაში ამზადებდნენ გალენურ პრეპარატებს, ეთეროვან ზეთებს, არომატულ წყლებს, მარილებსა და სხვა. მათში ხორციელდებოდა საკმაოდ რთული ტექნოლოგიური პროცესები და ამ პროცესების საწარმოებლად აქ იყო მრავალი სხვადასხვა აპარატი და მოწყობილობა. [171]. ის ფაქტი, რომ ქუთაისის ქალაქის პირველ აფთიაქს ჰქონდა ბრომი (რომელსაც ინახავდნენ ვულფის მუქი ფერის ჭურჭელში), ადასტურებს, რომ აფთიაქში ხდებოდა ბრომიდან ბრომიდების მიღება. [288].

აფთიაქები ინარჩუნებდნენ ფარმაცევტული საწარმოების პროფილს, რომლებიც ძირითადად ფუნქციონირებდნენ თვითმომსახურეობისა და თვითანაზღაურების პრინციპზე. [171].

სააფთიაქო ლაბორატორიებში წარმოებდა ცდები და გამოკვლევები, რომელთა შედეგად მრავალი აღმოჩენა გაკეთდა ქიმიის სფეროში. [112, 147].

ცხილები 4.1.1., 4.1.2., და 4.1.3. შედგენილია საარქივო პირველწყაროებზე დაყრდნობით; მათში გადმოცემულია ცნობები სანქტ-პეტერბურგიდან („რინინგი და კომპანია“) და ვარშავიდან (ფირმა „ჰერმან შტეინბუხი“) 1901 წელს ქუთაისის ქალაქის პირველი აფთიაქის გახსნისათვის გამოწერილი და მიღებული აპარატურის შესახებ. [288].

ცხრილი 4.1.1.

**სანქტ-პეტერბურგის „რინინგი და კომპანია-ს“ ქიმიური, ფარმაცევტული აპარატების, ხელსაწყოების კატალოგიდან ქუთაისის ქალაქის პირველი აფთიაქისათვის გამოგზავნილი აპარატურის ჩამონათვალი**

| № რიგზე | აპარატურის დასახელება |
|---|---|
| 1 | კიპის აპარატი |
| 2 | მარშის აპარატი - დარიშხანის აღმოსაჩენად, რომელიც ტრაპის სახელმძღვანელოს მიხედვით შედგება ვულფის ჭურჭლისაგან, ქლორკალციუმის შუშისაგან და აღმდგენელი მილისაგან. |
| 3 | ლუმეს აპარატი (ექსიკატორი) |
| 4 | არეომეტრი თერმომეტრით |
| 5 | წყლის აბაზანა სპილენძისაგან (კეკულეს აბაზანა) |
| 6 | თეთრი  მინის ძაბრები (სხვადასხვა ზომის) |
| 7 | ფაიფურის ძაბრები |
| 8 | ანალიზური სასწორი |
| 9 | ლუმეს  ნათურა ჰაერის ორმხრივი დინებით - თითბერისაგან |
| 10 | მენზურები, კოლბები, ტიგელები, ცილინდრები, სირჩები |
| 11 | გამყოფი ძაბრი |
| 12 | მილესილსაცობიანი   რეტორტა |
| 13 | ვულფის ჭურჭლები |
| 14 | შტატივები სხვადასხვა,  მათ შორის - ბუნზენის შტატივები |
| 15 | მინის  წკირი და მილები |
| 16 | მაშები,  მაკრატლები,  სპილენძის ქვაბები |
| 17 | ამოსაქროლებელი  ფინჯნები  (ფაიფურის ფიალები) -  სხვადასხვა ზომის |
| 18 | ლიბიხის მაცივარი (მინის) |
| 19 | სინჯარები  და ა.შ. და ა.შ. |

ცხრილი 4.1.2.

ქუთაისის ქალაქის პირველი აფთიაქის კუთვნილი აპარატურის არასრული ჩამონათვალი

| № | ჩამონათვალი |
|---|---|
| 1 | ორთქლით გამოხდის აპარატი იგივე ჰიდროდესტილატორი (სრული) |
| 2 | მინის პერკოლატორი თავსახურითა და სითხის ჩასამატებელი რეზერვუარით, მილითა და ონკანით |
| 3 | თიხით მისაგოზი (გადასლექვის) თუჯის რეტორტა |
| 4 | ორი დაზგა გაფილტვრისათვის - სამფეხზე |
| 5 | საფქვავი მანქანა (წისქვილი) |
| 6 | კიპის აპარატი |
| 7 | ლიბიხის მაცივარი - მინის |
| 8 | ლუმეს აპარატი (ექსიკატორი) |
| 9 | უნივერსალური არეომეტრი |
| 10 | (კეკულეს) წყლის აბაზანა სპილენძისაგან |
| 11 | მარშის აპარატი |
| 12 | ლუმეს ნათურა ჰაერის ორმხრივი დინებით |
| 13 | ვულფის ჭურჭელი |
| 14 | ქიმიური ჭიქები |
| 15 | საათის მინები |
| 16 | თიხის სწორი ფორმის ტიგელები |
| 17 | ბუნზენის შტატივი |
| 18 | ანალიზური სასწორი |

ცხრილი 4.1.3.

**ქუთაისის ქალაქის პირველი აფთიაქისა და ლაბორატორიის აღჭურვილობა**

| № | აღჭურვილობის დასახელება | ცალი |
|---|---|---|
| 1 | მინის ქილები ტევადობით 1 ფუნტი ორმაგი მწვანე მი-ნისაგან თავიანთი საცობებით, გარედან სპილენძის, შიგნიდან - გაპრიალებული | 40 |
| 2 | იგივე - ტევადობით 2 ფუნტი | 20 |
| 3 | შუშები თეთრი ორმაგი მინისაგან ტევადობით 1 1/2 ფუნტი შტანგლასებისათვის | 20 |
| 4 | იგივე - ტევადობით 2 ფუნტი | 20 |
| 5 | იგივე - ტევადობით 3 ფუნტი | 20 |
| 6 | იგივე - ტევადობით 5 ფუნტი | 20 |
| 7 | იგივე - ტევადობით 10 ფუნტი | 20 |
| 8 | ფაიფურის როდინები დიამეტრით 13 დიუიმი | |
| 9 | იგივე 11 დიუიმიანი | |
| 10 | იგივე 9 დიუიმიანი | |
| 11 | იგივე 7 დიუიმიანი | |
| 12 | იგივე 6 დიუიმიანი | |
| 13 | როდინი წარწერით: „ქსეროფორმი“ | |
| 14 | როდინი წარწერით: „კარბოლის მჟავა“ | |
| 15 | როდინი წარწერით „შხამი“ | |
| 16 | ფაიფურის ოქროს არწივიანი ლარნაკები სიგნატურე-ბისათვის | |
| 17 | თიხის ქილები ტევადობით - 2, 3, 5, 10 ფუნტი | |
| 18 | მილესილსაცობიანი ცილინდრები | |

ქუთაისის სააფთიაქო ლაბორატორიებში ყველა აუცილებელი პირობა იყო იმ ტექნოლოგიური პროცესების ჩასატარებლად, რომლე-ბიც იმდროინდელ სამეცნიერო ფარმაცევტულ ლიტერატურაშია აღ-წერილი. ღუმელებში, სპეციალურ ტიგელებში ალღობდნენ მეტა-ლებს. ლაბორატორიის შუაგულში იდგა სამუშაო მაგიდა და ხის ქვე-სადგამები თუჯისა და ბრინჯაოს უზარმაზარი როდინებით. ოთახის კედლებთან გაკეთებული იყო თაროები ლაბორატორიული ჭურჭლი-სა და ინსტრუმენტებისათვის. [288].

როგორც აღვნიშნეთ, დასავლეთ საქართველოს თითოეულ ნორმალურ აფთიაქს ჰქონდა სარდაფი, რომელიც ასრულებდა ადვილადფუჭებადი და აქროლადი ნივთიერებების საცავის როლს. ზოგიერთ აფთიაქს ჰქონდა სპეციალური სარდაფი ადვილადფუჭებადი წამლებისა და ნაჯერი ხსნარებიდან კრისტალური სახით მარილების მიღებისათვის (კრისტალიზაციის პროცესისათვის). [288].

**ცხრილი 4.1.4.**

**ქუთაისის ქალაქის პირველი აფთიაქისათვის სანკტ-პეტერბურგიდან და მოსკოვიდან 1901 წელს გამოწერილი წიგნებისა და პერიოდული გამოცემების ჩამონათვალი**

| № რიგ-ზე | წიგნებისა და გამოცემების დასახელება | ავტორი |
|---|---|---|
| 1 | რუსეთის ფარმაკოპეა - მეხუთე გამოცემა ორ ტომად | |
| 2 | ფარმაცევტული ცნობარი | |
| 3 | 1899 წლის სააფთიაქო ნიხრი (პრეისკურანტი, პრაის-ლისტი) | |
| 4 | რუსეთის სამხედრო ფარმაკოპეა - მეორე გამოცემა | |
| 5 | ფარმაკოგნოზიის სახელმძღვანელო - ორ ტომად | |
| 6 | ფარმაციისა და მედიკო-ქიმიური პრაქტიკის სახელმძღვანელო - 5 ტომად | |
| 7 | ფარმაცევტული დასახელებებისა და სინონიმების ლექსიკონი | კარლ კრაუზე |
| 8 | ბოტანიკური ლექსიკონი | ანენკოვი |
| 9 | ფარმაცევტული ქიმია - არაორგანული ნაწილი | ი. ტრაპი |
| 10 | სახელმძღვანელო შხამების აღმოჩენისათვის | ი. ტრაპი |
| 11 | შხამების სასამართლო-ქიმიური აღმოჩენა | დრაგენ-დორფი |
| 12 | დიდი რუსულ-ლათინური ლექსიკონი | ორლოვი |
| 13 | ჟურნალი „Фармация“ | პერიოდიკა |

ცხრილში 4.1.4. მოცემულია აფთიაქების კუთვნილი წიგნებისა და პერიოდული გამოცემის ჩამონათვალი. სხვადასხვა წიგნებიდან ჩვენი ყურადღება მიიპყრო ერთ-ერთ პირად არქივში აღმოჩენილმა ვარშავაში გამოცემულმა ფარმაცევტული ქიმიის წიგნმა. ( მისი ყდა

იხილეთ სურათზე 4.1.1.). ყოველივე, რასაც შევეხეთ და რასაც მივწვდით, ადასტურებს იმ დროში ფარმაცევტული დარგის დიდ პრესტიჟულობას.

ცხრილი 4.1.5.

**ქუთაისისა და დასავლეთ საქართველოს აფთიაქებში გამოყენებული ქიმიური ნაერთების არასრული ჩამონათვალი (1901 წელი)**

| № რიგზე | დასახელება |
|---|---|
| 1 | აცეტონი |
| 2 | სუფთა ძმარმჟავა |
| 3 | ეთერი (აზოტის) |
| 4 | ბენზინი |
| 5 | გაწმენდილი ეთერი (გოგირდის) |
| 6 | მეთილის სპირტი |
| 7 | ეთილის სპირტი გასუფთავებული |
| 8 | ოქროს ქლორიდი |
| 9 | 60%-იანი ძმარმჟავა |
| 10 | დარიშხანის მჟავა |
| 11 | სუფთა ჭიანჭველის მჟავა 25%-იანი |
| 12 | სუფთა მარილმჟავა |
| 13 | კრისტალიზებული მჟაუნმჟავა |
| 14 | ფოსფორმჟავა |
| 15 | ბრომი (ვულფის ჭურჭელში) |
| 16 | გოგირდმჟავა |

ცხრილებში 4.1.5 და 4.1.6. მოცემულია საწყისი ნივთიერებების და მათი ურთიერთქმედების პროცესების სტადიებისა და ოპერაციების შესახებ, რომლებიც ქუთაისის გუბერნიის აფთიაქებსა და ლაბორატორიებში მიმდინარეობდა. ეს ჩამონათვალი საგულისხმოა იმდროინდელი შიდასააფთიაქო წარმოების მასშტაბების ვარაუდისათვის.

ისტორიულ წყაროებში მოძიებული ნივთიერებების, პროცესებისა და აპარატურა-აღჭურვილობების შესახებ უნდა ითქვას, რომ ისინი მართალია დღევანდელ აფთიაქში თითქმის აღარაა, მაგრამ გვაძლევს ნათელ წარმოდგენას დასავლეთ საქართველოში ფარმაციის განვითარების იმდროინდელ დონისა და ფარმაცევტული მრეწველობის ჩანასახის შესახებ აფთიაქის პირობებში.


АПТЕКА
Ф.А.
РЕЛИГІОНИ
ВЪ КУТАИСѢ.

WYKŁAD CHEMII FARMACEUTYCZNEJ.

Dr. Herman Hager.

WYKŁAD
CHEMII FARMACEUTYCZNEJ
w 126 lekcyjach
(231 drzeworytów w tekscie).
Z upoważnienia autora przełożył z czwartego wydania oryginału i opracował
Maksymilijan Flaum,
Kandydat Chemii.

Staraniem i nakładem
Wincentego Karpińskiego,
magistra farmacyi,
na pamiątkę 100-ej rocznicy założenia jego apteki.

WARSZAWA.
SKŁAD GŁÓWNY U WYDAWCY, ELEKTORALNA Nr. 39.

1889.

სურ. 4.1.1. ფ. რელიგიონის აფთიაქის კუთვნილი წიგნის ყდა (1889 წ.)

ცხრილი 4.1.6.

**დასავლეთ საქართველოს ნორმალური აფთიაქებში მიმდინარე პროცესების სტადიები და ოპერაციები**

| № | ფარმაცევტული ოპერაციები | № | ფარმაცევტული ოპერაციები |
|---|---|---|---|
| 1 | დაწვრილმანება | 16 | დაწდომა, გაკამკამება |
| 2 | ხეხვა | 17 | დიალიზი |
| 3 | გაჭყლეტა | 18 | გახსნა, გაზავება |
| 4 | დამარცვლა ან/ანუ მსხვრევა | 19 | დალექვა |
| 5 | გაფხვიერება | 20 | კრისტალიზაცია |
| 6 | ნაყვა | 21 | მოხალვა, შეწვა |
| 7 | დასრესვა, გალესვა, გაქნა | 22 | დანახშირება |
| 8 | გაცალკევება, გამოყოფა | 23 | დაფერფვლა |
| 9 | გაცრა | 24 | გავარვარება |
| 10 | ჩამოსხმა, გადაშვება | 25 | დალაბვა |
| 11 | ფილტრაცია | 26 | გამოორთქვლა |
| 12 | გაწურვა | 27 | გამოხდა |
| 13 | ჩარეცხვა | 28 | სუბლიმაცია |
| 14 | გამოწურვა | 29 | გაზების მიღება |
| 15 | გადატყორცნა | 30 | შედგენა, ფორმირება |

XIX საუკუნის ბოლოს ჟურნალი „Фармацевт" წერდა: „წარმოუდგენელია აფთიაქებთან ლაბორატორიის არქონის გარეშე ფარმაცევტული სამსახურისათვის შესაფერისი და თავისი საქმის საფუძვლიანად მცოდნე ფარმაცევტების მომზადება. სააფთიაქო ლაბორატორიების მოსპობა გარდაუვალად მიგვიყვანს ფარმაციისა და სააფთიაქო საქმის დაცემამდე. სასურველია, რომ აფთიაქებთან არსებული ლაბორატორიები დროთა განმავლობაში თანდათანობით სრულყოფილი იქნან, რომ ყველა გალენური ფარმაცევტული და ქიმიური პრეპარატი მომზადდეს სააფთიაქო ლაბორატორიებში, რადგან ქიმიურფარმაცევტული ქარხნები ვერასდროს შეძლებენ ამ ლაბორატორიის მაგივრობას. სასურველია, რომ ყველა გუბერნიაში ერთ-ერთ არსებულ და კარგად აღჭურვილ აფთიაქს ჰქონდეს ისეთი ზომის ლაბორატორია, რომელიც შეძლებს მოამზადოს ფარმაცევტული პრეპარატები ქალაქების, მაზრების, სოფლებისა და ერობების აფთიაქებისათვის". [181].

ადვილი მისახვედრია, რომ ზემოთ გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის აფთიაქარს, ვინც ყოველთვის იღებდა დიდ მოგებას როგორც აფთიაქიდან, ასევე მეტს - სააფთიაქო ლაბორატორიიდან. ჩვენთვის საინტერესო პერიოდის ბოლომდე (1917 წლამდე) ფუნქციონირებდნენ ლაბორატორიები არა ზოგიერთ, არამედ მთელს დასავლეთ საქართველოს ყოველ ნორმალურ - კერძო და საზოგადოებრივ აფთიაქში და რაღა თქმა უნდა, წარმოადგენდნენ დიდ კომერციულ ინტერესს. [235-237, 330-360].

სააფთიაქო ლაბორატორიებში ფარმაცევტული პრეპარატები მზადდებოდა შედარებით მცირე პარტიებად, ვიდრე ქარხნებში, რაც იწვევდა მათ სიძვირეს; წამლების გაიაფება შეეძლო *კანონს, რომელიც 1898 წლის 11 მაისს* იქნა მიღებული - ამ საშუალებების სხვადასხვა კოქტორიუმებსა (სიტყვიდან - coque, რაც ხარშვას ნიშნავს) და ლაბორატორიებში უწინდელი კუსტარული მომზადებიდან მათ ფაბრიკულ წარმოებაზე გადასვლის შესახებ. [139].

თუმცა, სააფთიაქო ლაბორატორიები ყოველთვის დაიმსახურებენ ყურადღებას ყველა დროში, როცა ექსტრემალურ სიტუაციაში კაცობრიობას წამალთმომარაგებაში რაიმე საფრთხე შეექმნება. რატომაც არა, ყველა რეგიონს შეუძლია მისთვის დამახასიათებელი მცენარეული ნედლეულისა თუ სხვა ბუნებრივი რესურსების გამოყენება გალენური პრეპარატების, ზეთების, მცენარეთკრებულებისა და სხვ. მოსამზადებლად.

არ შეიძლება უყურადღებოდ დავტოვოთ *ვიქტორიანული აფთიაქის* არსებობა დღევანდელი ლონდონის ცენტრში, ასეთი აფთიაქი-მუზეუმები მსოფლიოს ქვეყნების აბსოლუტურ უმრავლესობაში არსებობს და ისინი უარყოფას არასოდეს იმსახურებს საზოგადოების მხრიდან. არ შეიძლება ყველაფრის უარყოფა, არამედ წარსულში რაც რაციონალურია, იგი ადამიანის მკურნალობისა და გაჯანსაღებისათვის უნდა იქნას შენახული, მოფერებული და გამოყენებული. ამ ბოლო ხანებში შეიმჩნევა მსოფლიოს მოსახლეობის შემობრუნება ხალხური მედიცინისა და ფიტომკურნალობისაკენ, რაც გამოცდილია, ფესვგადგმულია და სანდოა კაცობრიობისათვის. აფთიაქმა შეიძლება კვლავაც ავანგარდული როლი შეასრულოს ხალხური და ალტერნატიული მეთოდების გამოყენებაში.

მითითებულ პერიოდში მთელი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა უშუალოდ აფთიაქში ტარდებოდა. დღესაც თანამედროვე დონეზე აღჭურვილმა აფთიაქმა შეიძლება შეასრულოს თავისი როლი ფარმაციის სპეციალობის სტუდენტთა დახელოვნებასა და სამეცნიერო--კვლევითი მუშაობის საფუძვლების ათვისებაში, პრაქტიკული უნარჩვევების შეგროვებასა და „თავისი ხელით“ წამლის ფორმების მომზადების პროცესში თავისი თეორიული ცოდნის დონის განმტკიცებაში.

## 4.2. წამლის ხარისხის კონტროლის სისტემა

XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში დასავლეთ საქართველოში კერძო და სამხედრო სახაზინო აფთიაქებში წამლის ხარისხის კონტროლზე პასუხისმგებლობა ისევე, როგორც აფთიაქების ყოველგვარი რევიზია, ეკისრებოდა ქუთაისის საგუბერნიო მმართველობის საექიმო განყოფილების ინსპექტორს. ინსპექტორები ამოწმებდნენ შხამშემცველი წამლის ფორმების გაფორმებისა და გაცემის სისწორეს, მათი სარეგისტრაციო წიგნების წარმოებას, აფთიაქში არსებული პრეპარატების იგივეობასა და კეთილხარისხოვნებას. შემოწმება ხდებოდა როგორც გარეგანი დათვალიერებით, ასევე რეაქტივების დახმარებით (იმ დროში აღმოსაჩენ რეაქტივებს ეწოდებოდა „უკუქმედების პრეპარატები“).

ზემოაღნიშნული თანამდებობები ეჭირათ ექიმებს. თუმცა მათ საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო პროგრამებში შედიოდა ფარმაცევტული დისციპლინებიც, ფარმაცევტული ქიმიისა და ზოგიერთ

სხვა საკითხებში მაინც არ ჰქონდათ სათანადო ღრმა ცოდნა. რევიზიისას ისინი შემოიფარგლებოდნენ მხოლოდ აფთიაქის საქმიანობის ფორმალური მომენტების კონტროლით და გარეგანი დათვალიერებით. რაც ყველაზე ნიშანდობლივია, აფთიაქის მფლობელების გაფრთხილება რევიზიის შესახებ ხდებოდა წინასწარ.

გუბერნიის ქალაქის აფთიაქებში წამლის ხარისხზე მეთვალყურეობას აწარმოებდა ქალაქის სააფთიაქო კომისიაც, მაგრამ მისი კომპეტენცია ამ საქმეში დაახლოებით ისეთივე იყო, როგორიც გუბერნიის საექიმო ინსპექტორისა. კანონის მიხედვით „აფთიაქარი პასუხისმგებელი იყო თავისი მედიკამენტების სიწმინდესა და კეთილხარისხოვნებაზე“.[152, 171, 199, 314]. ეს გვაგონებს წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნას: მომზადებული წამლის ხარისხზე პასუხს აგებს მწარმოებელი. ხოლო არც მაშინ, არც დღეს სახელმწიფო სათანადოდ არ ზრუნავს წამლის ხარისხზე, რადგან იგი აკონტროლებს შერჩევითად მხოლოდ სადისტრიბუციო ჯაჭვს.

ამ პერიოდში ქუთაისის ქალაქის პირველ აფთიაქში მომზადებული წამლის ხარისხზეც პასუხისმგებლობა აფთიაქის მმართველს ეკისრებოდა. „აფთიაქში მომუშავე 5 კაცი, მიუხედავად ცვლის შემდეგ სადღეღამისო დასვენებისა, მძიმე შრომას ეწევიან, გადატვირთული არიან თავიანთი საქმით, რასაც მივყავართ გადაღლილობამდე და ყურადღების მოდუნებამდე .... აქედან, არაიშვიათია წამლის დაუდევრად გაცემის შემთხვევები .... და წამლის მომზადების მთელი პასუხისმგებლობა მოწაფეებზე გადადის; მოწაფეები ამას აკეთებენ ფარმაცევტის კონტროლის გარეშე, რადგან ფარმაცევტებს არ შეუძლიათ მათი მეთვალყურეობა, მათთვის დარიგებების მიცემა. არსადაა გარანტია, რომ წამალი მომზადებული იქნება სწორად“ - ასეთი დასკვნა დაიწერა 1913 წელს აფთიაქის შემოწმების შემდეგ თვით გუბერნატორის მიერ მივლინებული სპეციალური კომისიის მიერ, რომელმაც „თავის თავზე გამოცადა არასწორად მომზადებული წამლის მოქმედების მთელი სიმკაცრე“. „იმ მუშაკების პირადი შემადგენლობა, რომლებიც დაკავებული არიან წამლის მომზადებითა და გაცემით, არ შეესაბამება მათ მიერ შესასრულებელი სამუშაოს სიდიდეს და საქმის სერიოზულობასა და პასუხისმგებლობას. ერთ ცვლაში მუშაობს 5 ადამიანი; ერთი პროვიზორი ან მისი თანაშემწე მუდმივად დაკავებულია წამლის მიღებითა და გაცემით, ხოლო მეორე პროვიზორი ან პროვიზორის თანაშემწე, მუდმივად დაკავებულია რეცეპტების მიღებით,

მათი გატარებით სარეცეპტურო წიგნში, მათი გადაწერით სიგნატურებზე და რეცეპტის შეფასებით (დანიხვრით ანუ „ტაქსიროვკით“)“. ფარმაცევტი, რომელსაც შემოწმება ევალებოდა, „ამოწმებდა მარტო ასლების სისწორეს და არა იმას, წამალი Lege artis (მედიცინის ხელოვნების კანონის დაცვით) იყო თუ არა მომზადებული, წამლის მომზადება კი მთლიანად მინდობილია აფთიაქარის სამ შეგირდზე“ - იტყობინება საარქივო დოკუმენტი. [314].

ქუთაისის გუბერნიის ნორმალური აფთიაქების აღჭურვილობაში შედიოდა წამლის ანალიზისათვის ყველა საჭირო აპარატურა და რეაქტივი. 1901 წელს ქუთაისის ქალაქის პირველი აფთიაქის გახსნისათვის აქ ფირმებიდან - „ჰერმან შტეინბუხი, ადრე ვოლფი და ვაჟიშვილები“, გამოწერილი იყო რუსული ახალი ფარმაკოპეის მიხედვით, „კარგად მილესილი საცობების მქონე, ამომწვარწარწერებიანი სარეაქტივო ჭურჭლის სრული კომპლექტი - 70 გრამის ტევადობით; მჟავებისათვის კი ჭურჭელი გამჭვირვალე წარწერებით“. ამასთანავე „რინინგი და კომპანიისაგან“ გამოწერილი იქნა ამ შუშების საცობები. აფთიაქს უნდა ჰქონოდა ანალიზური სასწორი, კაფელის ფილებით ამოგებული საანალიზო ოთახი, რომელშიც იქნებოდა ღუმელი და რეაქტივების კარადა.“ [288, 295].

ყოველივე ზემოთქმულის შეჯამებით ვასკვნით, რომ თუმცა აფთიაქში წამლის ხარისხის კონტროლის ჩასატარებლად იმდროინდელი მოთხოვნების შესაფერისი ყველა პირობა არსებობდა, პროვიზორზე და ფარმაცევტზე კი ეს მოვალეობა კანონით იყო დაკისრებული, მაინც - თვით კონტროლი ხშირად ატარებდა ფორმალურ ხასიათს, რადგან ამ მიზნით ფარმაცევტული პერსონალის დაქირავებას და შტატის გაზრდას ყველა მფლობელი გაურბოდა და მიისწრაფოდა მით მიეღო მეტი მოგება. კაპიტალისტური სისტემისათვის დამახასიათებელი მარკეტინგის მომენტები XIX საუკუნის II ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში ისე კარგად ჩანს საარქივო წყაროებში, რომ უნდა ვიფიქროთ, დასავლეთ საქართველო ამ მხრივ ნამდვილად არ ჩამორჩებოდა ევროპასა და მსოფლიოში მარკეტინგის განვითარების პირველ ტალღას. სუსტი იყო ფარმაცევტების პროფესიული დეონტოლოგია. არაიშვიათად ირღვეოდა ფარმაცევტული პროფესიული ეთიკის პრინციპები. გაზეთი „ივერია“ 1904 წელს წერდა: „ხონის კერძო აფთიაქში უშვებენ უხეშ შეცდომებსაც კი როგორც ტექნოლოგიაში, ასევე რეცეპტების შეფასებაში“. [55, 61].

ლიტერატურაში აღწერილია შემთხვევები, როცა კერძო მფლო-

ბელი აფთიაქარი, აფთიაქარის შეგირდს თავის ხასიათზე შეცვლილი რეცეპტის სიგნატურას კარნახობდა, ჩანს საკუთარი სარგებლიანობის მიზნით, როგორც აღვნიშნეთ ზემოთ, ასეთ მიქსტურას მან უკვე სახელიც კი დაარქვა „რთული ფიქცია“; ზოგჯერ დაწუნებულ თხევად წამლის ფორმებს ერთ შუშაში ასხამდნენ, ამ შუშას პირობითად ერქვა „Mixtum fictum compositum“, რომელსაც სოფლის გაუნათლებელ მცხოვრებს მიჰყიდდნენ ხელსაყრელ მომენტში. ესეც, მრავალ სხვა მაქინაციასთან ერთად ემსახურებოდა აფთიაქარის მოგების გადიდებას. [61].

დასავლეთ საქართველოს მთელს ტერიტორიაზე უკვე მომდევნო პერიოდში - სოციალისტური მმრთველობის დროს, წამლის ხარისხის კონტროლის საქმე მალიან მაღალ დონეზე იქნა აყვანილი, ქუთაისის სარაიონთაშორისო საკონტროლო-ანალიზური ლაბორატორია აკონტროლებდა მთელს დასავლეთ საქართველოში წამლის მომზადების სისწორეს. ყველა აფთიაქს, რომელიც ამზადებდა ექსტემპორალური წამლის ფორმებს, ჰქონდა ქიმიკოს-ანალიტიკოსის შტატი. შიდასააფთიაქო კვალიფიციურ კონტროლს ექვემდებარებოდა აფთიაქში მომზადებული თითქმის ყველა წამლის ფორმა. თუ აფთიაქში არ იყო ქიმიკოს-ანალიტიკოსი, მომზადებულ წამალს აკონტროლებდა აფთიაქის გამგე, მისი მოადგილე ან პროვიზორ-ტექნოლოგი (რეცეპტარ-კონტროლიორი). ყველა ანალიზის შედეგები ფიქსირდებოდა ანალიტიკოსის და რეცეპტარის შესაბამის დალუქულ და ზონარგაყრილ ჟურნალებში. [175, 164].

ისე, როგორც დღეს, წარსულშიც წამლის შეფუთვასა და გაფორმებას ეთმობოდა დიდი ყურადღება; იგი მეტყველებდა აფთიაქის კულტურაზე, იყო წამლის სწორი და დანიშნულების მიხედვით გამოყენების პირობა, ემსახურებოდა წამლისა და აფთიაქის რეკლამას და იყო ავადმყოფების მოზიდვისა და კონკურენტული ბრძოლის ერთ-ერთი პირობა. შხამიანი და ძლიერმოქმედი ნივთიერებების შემცველი წამლის ფორმები გულდაგულ ფორმდებოდა. ეტიკეტირებას რომ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ეს საარქივო წყაროებით დასტურდება. მაგალითად, ქუთაისის ქალაქის პირველი აფთიაქის გახსნისათვის და შემდეგაც სიგნატურებს იწერდნენ მოსკოვიდან, 1901 წელს გამოწერილი იყო 50 სხვადასხვა დასახელების მზა სიგნატურა. კოლოფებსაც (არსებობდა კვადრატული და ოვალური ფორმის) ჰქონდა უკვე დაბეჭდილი წარწერები: „ბორის მჟავა“, „ქინაქინა“, „ასპირინი“ იმ აფთიაქის ჩვენებით, საიდანაც მოხდებოდა ამ სამკურნალო ნივთიე-

რების გაცემა. ჩვენს მიერ ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფონდებში მოკვლეულია ასეთი წარწერები, აგრეთვე სიგნატურები - „Капли Датского короля“ (დანიის მეფის წვეთები), „Английская соль“ (ინგლისური მარილი), „Рыбий жир“ (თევზის ქონი), „Ревенный сироп“ (რევანდას სიროფი), „Эфирно-валериановые капли“ (კატაბალახას ეთეროვანი წვეთები), „Слабительный лимонад“ (საფაღარათო ლიმონათი), „Капли доктора Боткина“ (ექიმ ბოტკინის წვეთები), Хина (ქინაქინა), Борная кислота (ბორის მჟავა), Аспирин (ასპირინი) და ა.შ. წარწერები გაკეთებული იყო ლათინურ და რუსულ ენებზე. [288, 217-220].



197

БИЛЕТЪ
изъ Кутаисской Городской
АПТЕКИ
НА ЗАКАЗАННОЕ ЛѢКАРСТВО
Рецептъ Д-ра
Госпо
СЛѢДУЕТЪ ПОЛУЧИТЬ | РУБ. | КОП.
По рецептамъ №
По ручной продажѣ
ИТОГО

ნახ. 4.2.1. ქვითარი აფთიაქიდან შეკვეთილი ექსტემპორალური წამლის გასატანად

წამლები გაფორმებული უნდა ყოფილიყო კარგად, უნდა დაელუქათ და გაეკეთებინათ დაბეჭდილი წარწერები. ნაგულისხმევია შიდასააფთიაქო დანამზადები, რომლებიც ფაბრიკული წესით მზადდებოდა აფთიაქში და აქვე გაიცემოდა. ასეთ მცირე წარმოებას შეეძლო დიდი მოგების მოტანა და გასაგებია, რომ ამგვარი მზა წამლის ფორმების ეტიკეტირებისათვის აფთიაქარი ფულს არ დაიშურებდა. [155].

ექსტემპორალური წამლის დამკვეთს ეძლეოდა „ბილეთი“, ერთი ასეთი ბილეთი ჩვენს მიერ მოკვლეულია ქუთაისის სახელმწიფო არქივში (სურ. 4.2.1.) [299].

დასავლეთ საქართველოს აფთიაქები ადრე სარგებლობდნენ ნი-

ურნბერგის ანუ ძველი სამედიცინო სასწორებით. განზომილების ერთეულები იყო - უნცია, დრაქმა, ფუნტი და სხვა. ასეთი ერთეულები გვხვდება მომწოდებლებიდან გამოგზავნილ და აფთიაქის შეკვეთის ანგარიშ-ფაქტურებში. (იხ. ცხრილი 4.2.1.)

**ცხრილი 4.2.1.**

**დასავლეთ საქართველოში გამოყენებული ნიურნბერგის ანუ ძველი სამედიცინო წონის ერთეულები**

| ერთეული | მნიშვნელობა გრამებში | გადაყვანა ნიურნბ. სხვა ერთეულებში | სიმბოლური აღნიშვნები საარქივო წყაროებში (დაკვეთებში) |
|---|---|---|---|
| გრანი | 0, 0625 | | - |
| სკრუპული | 1, 295 | 20 გრანი | Э j |
| დრაქმა | 3, 75 | 3 სკრუპული | ʒ j |
| უნცია | 10, 0 | 8 დრაქმა (7 золотник) | ℥j |
| ფუნტი | 120 ,0 | 12 უნცია (84 золотник) | π j |

მეოცე საუკუნის დასაწყისიდან ნიურნბერგის ანუ ძველი სამედიცინო წონა შეიცვალა ათობითი წონით (მეტრული სისტემით), რომლითაც მასის უმცირეს ერთეულად დადგენილი იქნა გრამი [147, 188] და იგი ფარმაციაში დღესაც გამოიყენება. ეს ერთეულებია: გრამი, დეციგრამი, ცენტიგრამი და გრამის უფრო მცირე ნაწილები (მილიგრამი, მიკროგრამი, პიკოგრამი, ნანოგრამი).

საქართველოს აფთიაქები ზოგჯერ სარგებლობდნენ რუსული სავაჭრო ზომა-წონითაც. (იხ. ცხრილები 4.2.2. და 4.2.3.)

**ცხრილი 4.2.2.**

**ათობითი ზომა**

| | | |
|---|---|---|
| მეტრი | 1,4061 არშინი | 0,4686 საჟენი |
| სანტიმეტრი | 0,225 (ვერშოკი) გოჯი | |
| საჟენი | 2, 13354 მეტრი | |
| არშინი | 0, 7118 მეტრი | |

ცხრილი 4.2.3.

რუსული სავაჭრო მასის ერთეულები

| | | |
|---|---|---|
| ბერკოვეცი | 10 ფუთი | |
| ფუთი | 40 ფუნტი | |
| ფუნტი | | 409, 51156 |
| ლოტი | 3 ზოლოტნიკი (золотник) | 12, 7972 |
| კილოგრამი | 2 ფუნტი | 42, (золотник) |
| გრამი | 22, 5 წილი (доля) | |

სასწორები კი იყო ისეთივე, როგორც დღევანდელ საწარმოო აფთიაქებშია - ფარმაცევტული და ანალიზური - სიზუსტით (0, 1 გრამი). [1487, 295].

## მეოთხე თავის დასკვნები

ქართულ სამეცნიერო სამედიცინო და ფარმაცევტულ ლიტერატურაში:

1. ჩვენს მიერ პირველადაა მოპოვებული ცნობები პ.ი. კოკოჩაშვილის, ფ.ა. რელიგიონის, ქუთაისის ქალაქის პირველ აფთიაქებში, აგრეთვე დასავლეთ საქართველოს ყველა ნორმალური აფთიაქში, ქუთაისის ლ.პ. კოკოჩაშვილის სააფთიაქო საწყობში - სააფთიაქო ლაბორატორიების არსებობის შესახებ.

2.პირველადაა აღწერილი მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში ამგვარი ლაბორატორიების მოწყობილობა, ხელსაწყო-იარაღები, აპარატურა, პროცესები და ოპერაციები. დადგენილია, რომ წარსულში ლაბორატორიები იყო პატარა ფარმაცევტული საწარმოები.

3.ვადარებდით-რა ქართულ წარსულსა და სინამდვილეს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებს, ჩვენ გამოვთქვამთ მოსაზრებას: ქუთაისის ფარმაციის ისტორიის ღირებულებები ჩვენი მხრიდან მეტ ყურადღებას მოითხოვენ. რეკომენდაციას ვიძლევით შევქმნათ ნორმალური აფთიაქი სააფთიაქო ლაბორატორიით თანამედროვე ევროპის (ჩეხეთის, დიდი ბრიტანეთის - ლონდონის ვიქტორიანული აფთიაქისა და სხვ.) ქვეყნების აფთიაქ-მუზეუმებისა, აგრეთვე თანამედროვე შვედუ-

რი, ნორვეგიული აფთიაქების ანალოგის მსგავსად ქუთაისში, რომელიც იქნება წარსულის მოგონება და გაცოცხლება მასში არსებული ყველა რაციონალურის გამოყენების შესაძლებლობებით.

4. დადგენილია, რომ ახლო ისტორიულ წარსულში აფთიაქს არ ჰყავდა პროვიზორ-ანალიტიკოსის (ფარმაცევტ-ანალიტიკოსის) შტატი, ამიტომ ექსტემპორალური წამლის ხარისხის კონტროლი ეკისრებოდა აფთიაქარს (აფთიაქარი ეწოდებოდა პროვიზორს, რომელსაც ჰქონდა საკუთარი აფთიაქი) და რეცეპტარიუსს. ისინი მოუცლელობის გამო სათანადო ყურადღებას ვერ აქცევდნენ ამ საქმეს. მეტიც, ვინც წამალს ამზადებდა, ხშირად თვითვე იყო მისი შემმოწმებელიც, რაც დაუშვებელია. იგივე ხდებოდა საააფთიაქო ლაბორატორიებშიც.

5. კონტროლის დროს ყურადღება გადატანილი იყო უფრო წამლის გარეგნულ გაფორმებაზე, რომ მიეზიდათ ავადმყოფები და ყოფილიყვნენ მეტად კონკურენტუნარიანნი.

6. საქართველოს აფთიაქებში წარსულში არ სარგებლობდნენ მეტრული სისტემით, არამედ ძველი სამედიცინო -ფარმაცევტული ერთეულებით (გრანი, სკრუპული, დრაქმა, უნცია, ფუნტი), ასევე იყო სიგრძის ერთეულები საჟენი, არშინი და სხვ., ხოლო მეოცე საუკუნიდან დღემდე ხმარებაშია ზომა-წონის მეტრული სისტემა.

# თავი 5. ფარმაცევტული განათლება ქუთაისის გუბერნიაში. კადრები

## 5.1. აფთიაქარის შეგირდობა

ფარმაციისა და პროვიზორის პროფესიის თვალთახედვით ქუთაისის გუბერნია და ქუთაისი მთელი საქართველოს მასშტაბით განსაკუთრებულ რეგიონს წარმოადგენდა. ისტორიისა და კერძოდ ფარმაციის ისტორიის კვლევის დედუქციური და საყოველთაოდ მიღებული სხვა მეთოდების გამოყენებით [115] შეიძლება აღინიშნოს, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევარში - რეფორმისშემდეგ პერიოდში საწარმოო ძალების დაჩქარებულმა განვითარებამ კეთილმყოფელი ზეგავლენა მოახდინა დასავლეთ საქართველოში ფარმაციის განვითარებაზეც, რაც გამოვლინდა აფთიაქებისა და ფარმაცევტული პერსონალის რიცხვის ზრდით.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთის მთელს იმპერიაში, რომლის შემადგენელ ნაწილსაც წარმოადგენდა საქართველო, ფარმაცევტული განათლება მჭიდრო კავშირში იყო სამედიცინო განათლებასთან და წარმოადგენდა მის განუყრელ ნაწილს. სწავლება და გამოცდები ხდებოდა 1838 წელს დადგენილი წესებით. ფარმაცევტულ სასწავლო გეგმაში შედიოდა საგნები: *მათემატიკა, ფიზიკა, მინერალოგია, ბოტანიკა, ზოოლოგია, ქიმია და ფარმაცია.* ფარმაცევტულ განათლებას ჰქონდა 3 საფეხური - აფთიაქარის თანაშემწე იგივე გეზელი, პროვიზორი და აფთიაქარი. ეს წესები 1918 წლამდე მოქმედებდა.

ფარმაცევტულ სწავლებაში შედიოდა შემდეგი ეტაპები:

- ახალგაზრდები გიმნაზიის 4 კლასის განათლებით მიიღებოდნენ კერძო აფთიაქებში, როგორც *აფთიაქარის შეგირდები*, სადაც ხდებოდა მათი დახელოვნება
- *აფთიაქარის თანაშემწის* წოდების მოსაპოვებელი საუნივერსიტეტო გამოცდების ჩაბარებისათვის. [118, 119, 151, 153, 180]. აღნიშნული გამოცდის ჩასაბარებლად საჭირო იყო მუშაობის 3-5 წლის სტაჟი, ხოლო
- *პროვიზორის* წოდებისთვის გამოცდებზე დასაშვებად - აფთიაქარის თანაშემწეს სჭირდებოდა კიდევ 2-3 წლის დახელოვნება აფთიაქში მუშაობით.
- 1845 წელს დაწესდა ფარმაცევტული სწავლულობის უმაღლე-

სი ხარისხი - *ფარმაციის მაგისტრი*. მისი მიღება შეიძლებოდა გამოცდის ჩაბარებისა და დისერტაციის საჯარო დაცვის შემდეგ. [180].

ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივის მასალების კვლევისას ჩვენს მიერ პირველად იქნა მოკვლეული საინტერესო მასალები აფთიაქარის მოწაფის უფლების მოსაპოვებელი გამოცდების, მათი მუშაობისა და სოციალური მდგომარეობის შესახებ.

პროვინციული საგუბერნიო ქალაქის - ქუთაისის პირობებში მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში რაიმე ფარმაცევტული განათლების კერის არსებობაზე ლაპარაკი არ შეიძლებოდა, მაგრამ ხელოსნობის განვითარებამ თავისი გამოხმაურება ჰპოვა აფთიაქარის შეგირდობის გავრცელებაში, რაც ასე ფართოდ დაინერგა მთელს გუბერნიაში. მიუხედავად იმისა, რომ ქუთაისი ეკონომიკურად ჩამორჩენილი რუსეთის განაპირა საგუბერნიო ცენტრი იყო, ზოგადსაგანმანათლებლო დაწყებითი, საშუალო და სპეციალური სკოლების რიცხვით, მათი შინაარსითა და დონით არსებითად გამოირჩეოდა სხვა საგუბერნიო ქალაქებს შორის. [91].

ქუთაისის ვაჟთა I კლასიკური გიმნაზია (1850 წ.) ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას და ასრულებდა ქუთაისის გუბერნიისა და მთელი დასავლეთ საქართველოს ქალაქებისათვის სხვადასხვა დარგების კადრების მომზადებას. აქ ყოველწლიურად ტარდებოდა „გარეშე (посторонных лиц) პირთა“ გამოცდები სამაზრო მასწავლებლის, საშინაო მასწავლებლის, დაწყებითი სასწავლებლის მასწავლებლის, აფთიაქარის შეგირდის წოდებებისა და პირველი თანრიგის ნებითგანწესებულისა და სხვა ჩინების მისაღებად.

"აფთიაქარის მოწაფის (შეგირდის)“ წოდების მისაღები გამოცდები ქუთაისის ვაჟთა კლასიკურ გიმნაზიაში 1877 წლიდან ტარდებოდა; რაღაც დროით ქუთაისის ვაჟთა გიმნაზიაში ტარდებოდა აგრეთვე გამოცდები აფთიაქარის თანაშემწის წოდების მოსაპოვებლადაც. მოპოვებულ მასალებში ჩანს, რომ ასეთი გამოცდები 1877 წელს გაუვლიათ ვინმე მიხეილ თურმანიძეს და მელქისედექ ჯაშს. გამოცდების ჩატარებისათვის არსებობდა შინაგან საქმეთა სამინისტროსა (18.12.1845 წლის) და სახალხო განათლების სამინისტროს (09.12.1876 წ. №7418) სპეციალური ცირკულარები. ამ უკანასკნელით შემოთავაზებული იყო აფთიაქარის მოწაფისა და თანაშემწის წოდებების მოსაპოვებელი გამოცდის ჩატარების წესი. [201, 203, 272].

აფთიაქარის თანაშემწის წოდებაზე გამოსაცდელთა მთელი რაოდენობის საშუალოდ მხოლოდ 36,6% აბარებდა გამოცდას გარკვეუ-

ლი შედეგით, მაგრამ დიდი პროცენტი ≈80% აბარებდა იგივე გამოც-დას აფთიაქარის მოწაფის უფლების მოსაპოვებლად.

დოკუმენტებისა და განცხადებების მიღება წარმოებდა მთელი წლის განმავლობაში. გამოცდები კი ტარდებოდა რამდენიმეჯერ - იანვარში, ივნისში, სექტემბერსა და დეკემბერში - საჭიროების მიხედ-ვით. ვინც ვერ ჩააბარებდა გამოცდას პირველივე გასვლაზე, შეეძლო 6 თვის შემდეგ ისევ გასულიყო გამოცდაზე, მაგრამ არ ჰქონდა უფლება 3-ზე მეტჯერ ეცადა ბედი. [204].

ცხრილში 5.1.1. მოცემულია გიმნაზიის პროგრამის შეკვეცილი ვარიანტი, რომლითაც ხდებოდა აფთიაქარის შეგირდის გამოცდის ჩა-ტარება. [203]

**ცხრილი 5.1.1**

**გიმნაზიის პროგრამიდან**

| № რიგზე | საგნები | მასალის შინაარსი |
|---|---|---|
| 1 | საღვთო სჯული | ლოცვანი, კატეხიზმო, ძველი აღთქმის საღვთო ისტო-რია, ახალი აღთქმის საღვთო ისტორია, ქრისტიანული მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია ზოგადად, რუსული ეკლესიის ისტორია განსაკუთრებით, სწავ-ლება ქრისტიანული მართლმადიდებელი ეკლესიის ღვთისმსახურების შესახებ |
| 2 | რუსული ენა | გრამატიკა, სიტყვიერების თეორია, რუსული ლიტერა-ტურის ისტორია, მეთოდიკა |
| 3 | მათემატიკა | არითმეტიკა, ალგებრა, გეომეტრია, არითმეტიკის მე-თოდიკა, გეომეტრიის მეთოდიკა |
| 4 | ბუნების ის-ტორია | მინერალოგია, ბოტანიკა, ზოოლოგია, ადამიანის ფი-ზიოლოგია |
| 5 | ფიზიკა | მსოფლიო ისტორია, რუსეთის ისტორია, ისტორიის მე-თოდიკა |
| 6 | ისტორია | |
| 7 | გეოგრაფია | |
| 8 | ლათინური | |

გამოცდების ჩატარებისათვის ამჟამად მიღებული დოკუმენტე-ბის გარდა განცხადების შემტან პირებს მოეთხოვებოდა: „ცნობა ქუ-თაისის გუბერნატორის კანცელარიიდან, რომ პიროვნება ნასამარ-თლები არ იყო“, „მოწმობა სოციალური წარმოშობის შესახებ“, „ცნობა პოლიტიკური კეთილსაიმედოობის შესახებ“, ორი ღერბიანი მარკა თითოეული 80 კაპიკის ღირებულებით და 3 მანეთი გამომცდელების

გასამრჯელოდ; არასაკმარისი ქონების პირები საერთოდ თავისუფლდებოდნენ ამ შესატანისაგან. [203, 205].

„სპეციალური გამოცდები არსებობს ორი სახის: სრული და შეკვეცილი. პირველი წესით გამოიცდება ის პირები, რომელთაც არა აქვთ გიმნაზიის ან სხვა სახაზინო სასწავლო დაწესებულების 4 კლასის წარმატებით გავლის დამადასტურებელი ატესტატი. მეორე წესით კი - ისინი, რომელთაც აქვთ ამდაგვარის სასწავლებლების დამაკმაყოფილებელი ატესტატები“ - ასეთი ინფორმაცია მოიპოვება იმდროინდელ პერიოდიკაში. [203].

გამოცდების დროს არ იყო კონკურსი, არამედ ვინც დამაკმაყოფილებლად აბარებდა, ყველა მათგანი იღებდა ამ მოწმობას. ეს იყო აფთიაქარის მოწაფედ მუშაობის უფლების მოწმობა; მას 1879 წლის 3 ნოემბრიდან ჰქონდა სურათიც. [204]. ამჟამად უნივერსიტეტის დიპლომსაც კი არა აქვს სურათი. ვ.ე. შოთაძის, ა.ე. მშვიდობაძის, ი.გ. ქუთათელაძის და სხვათა აფთიაქარის მოწაფის გამოცდის შესახებ, აგრეთვე მათი აფთიაქარის მოწაფის მოწმობები, მოყვანილია სურ. 5.1.1. და 5.1.6. [261, 257, 265].

გამოცდები ტარდებოდა ვაჟთა გიმნაზიის 4 კლასის (ქალთა გიმნაზიის 6 კლასის) საგნებისა და პროგრამების მიხედვით - საღვთო სჯულში, რუსულ ენაში, ფრანგულ ენაში, არითმეტიკაში, ალგებრაში, გეომეტრიაში, ისტორიასა და გეოგრაფიაში; შეკვეცილი გამოცდებისას საგნები ნაკლები იყო. მაგ. ვ.ი. კახიანის მოწმობაში [255], აღნიშნულია, რომ მან აფთიაქარის მოწაფის წოდებისათვის გაიარა სრული გამოცდები 1900 წლის 30. 01. საგნებში: საღთო სჯული, არითმეტიკა, ლათინური, რუსული, ისტორია, ფრანგული, გეომეტრია, გეოგრაფია (შესაბამისი შეფასებებით - 3, 4, 3, 3, 4, 3, 3, 3). სტანისლავ იაბლონსკიმ (დაბ. 1885 წ.) კი - გაიარა შეკვეცილი გამოცდები 1903 წლის 27 იანვარს შემდეგ საგნებში: ლათინური - 3, ფრანგული ენა - 3, ალგებრა - 4; ნინო მიქელაძემ კი მხოლოდ ლათინური ენა ჩააბარა. [273].

არქივში დაცულია საგამოცდო ნამუშევრების დედნები, რომლებიც მომავალი აფთიაქარის მოწაფის (შეგირდის) კარგ ზოგად განათლებაზე მეტყველებენ.

ბუნებრივია, რომ მოწაფეებს განსაკუთრებით მოეთხოვებოდათ ლათინური ენა. თუმცა შსს-ს 1905 წლის 05.02-ის №136 ცირკულარის მიხედვით გათვალის წინებული იყო, რომ ეს მოთხოვნები ადრე მოქმედ პროგრამებთან შედარებით შესუსტებული უნდა ყოფილიყო. აქედან გამომდინარე, ქუთაისის ვაჟთა კლასიკური გიმნაზიის პედაგო-

გიური საბჭოს მიერ 1908 წლის 25 სექტემბერს დადგენილი იქნა: „ამიერიდან პირებს, რომლებიც აბარებენ გამოცდებს აფთიაქარის შეგირდის წოდების მოსაპოვებლად ლათინურ ენაში მოეთხოვოს იულიუს კეისრის „De bella Gallico“-ს მხოლოდ 40 თავის ცოდნა გიმნაზიის 4 კლასის გრამატიკული მასალის ცოდნასთან ერთად. იხ. სურ. 5.1.1., 5.1.2, 5.1.3, 5.1.4., 5.1. 5 და 5.1.6. [265].



СВИДѢТЕЛЬСТВО.

Дано сіе ... вѣроисповѣданія, родивше... г. въ томъ, что он..., какъ окончивш... курсъ ... былъ подвергнутъ въ Педагогическомъ Совѣтѣ Кутаисской гимназіи ... сокращенному испытанію изъ курса прогимназіи вѣдомства Министерства Народнаго Просвѣщенія для полученія свидѣтельства на званіе аптекарскаго ученика и оказал... слѣдующія познанія въ предметахъ:

Въ Законѣ Божіемъ
— Русскомъ языкѣ
— Латинскомъ языкѣ ... (3)
— Французскомъ языкѣ
— Нѣмецкомъ языкѣ ... (3)
— Ариѳметикѣ
Алгебрѣ ... (3)
— Геометріи
— Исторіи
— Географіи

Такъ какъ знанія эти признаются вполнѣ удовлетворительными, то Педагогическій Совѣтъ гимназіи въ удостовѣреніе сего выдалъ ... настоящее свидѣтельство, дающее право поступить въ аптекарскіе ученики, за надлежащими подписями и приложеніемъ казенной печати. ... 13 дня 190... года

...наисской гимназіи
...торъ гимназіи
Законоучитель
...ы экзаменаторы
Секретарь Совѣта

ნახ. 5.1.1.



Его Превосходительству
Господину
Директору Кутаисской Классической Гимназии
Прошение

ნახ.5.1.2.



Прошение

ნახ. 5.1.3.



Его Превосходительству
Г. Директору Кутаисской Классической Гимназии
Прошение.

ნახ.5.1.4.



Іовель Кутателадзе
(названіе аптекарскаго ученика)

Великая Сѣверная война.
По возвращеніи изъ-за границы, Петръ Великій задумалъ открыть новый путь въ западной Европѣ. И обратился къ шведамъ съ просьбою продать или возвратить нѣкогда принадлежавшее мѣсто при Финскомъ заливѣ; но Карлъ отказалъ. Тогда возникла такъ называемая Великая Сѣверная война, продолжавшаяся двадцать лѣтъ, отъ тысяча семисотаго до тысяча семьсотъ двадцать перваго. Петръ вступилъ въ войну не одинъ, а въ союзѣ съ Августомъ вторымъ и съ Даніей. Союзники надѣялись скоро одолѣть Карла, такъ какъ считали его неопытнымъ правителемъ. Карлъ проводилъ время въ забавахъ, но получивъ извѣстіе о состоявшемся союзѣ, Карлъ напалъ на Данію и заставилъ ея короля отказаться отъ союза. Затѣмъ онъ двинулся на русскихъ, осаждавшихъ гор. Нарву. Русское войско было впятеро больше шведовъ, но оно состояло изъ молодыхъ рекрутъ, а офицеры были иностранцы, ...

ნახ. 5.1.5.



№ 60

Дано сіе сыну дворянина Іовелю Григорьевичу Кутателадзе православнаго вѣроисповѣданія, имѣющему отъ роду 13 — въ томъ, что онъ, Кутателадзе, былъ подвергнутъ въ Педагогическомъ Совѣтѣ Кутаисской гимназіи Февраля 1901 г. полному испытанію изъ курса прогимназіи вѣдомства Министерства Народнаго Просвѣщенія для полученія свидѣтельства на званіе аптекарскаго ученика и оказалъ слѣдующія познанія въ предметахъ:

| | |
|---|---|
| Въ Законѣ Божіемъ | 5 отлич. |
| — Русскомъ языкѣ | 3 удовл. |
| — Латинскомъ языкѣ | 3 удовл. |
| — Французскомъ языкѣ | 3 удовл. |
| — Нѣмецкомъ языкѣ | — |
| — Ариѳметикѣ | 4 хорошо |
| — Алгебрѣ | 4 хорошо |
| — Геометріи | 4 хорошо |
| — Исторіи | 3 удовл. |
| — Географіи | 3 удовл. |

Такъ какъ знанія эти признаются вполнѣ удовлетворительными, то Педагогическій Совѣтъ гимназіи въ удостовѣреніе сего выдалъ ему, Кутателадзе, настоящее свидѣтельство, дающее право поступить въ аптекарскіе ученики, за надлежащими подписями и приложеніемъ казенной печати. Февраля 13 дня 190

Директоръ Кутаисской гимназіи Дѣйствительный Статскій Совѣтникъ
Инспекторъ гимназіи
Законоучитель
Члены экзаменаціонной

ნახ.5.1.6.

შეკვეცილი მოცულობის მოთხოვნებიც კი დღევანდელზე ბევრად მეტია. პრაქტიკულად ეს ხდებოდა ასე: აძლევდნენ 5-6 ხაზს რუსულ ტექსტს და გამოსაცდელები მას თარგნიდნენ ლათინურად თავისი გრამატიკული გარჩევით. მოწმობებს ყოველწლიურად იღებდა 50-80 მოწაფე [250, 251, 256, 263, 264, 267-271, 274, 275, 318]. მაგალითისათვის მოგვყავს ლათინურ ენაში გ. მ. ჯაველიძის საგამოცდო ნამუშევრისა და გამოცდის ოქმის ასლები (სურ. 5.1.7 და 5.1.8) აგრეთვე რუსულ ენაში, ისტორიასა და გეოგრაფიაში, მათემატიკაში, საღვთო სჯულში და ა.შ. საგამოცდო ნამუშევრების ასლები (სურ. 5.1.9 და 5.1.10, 5.1.11, 5.1.12 და 5.1.13). მასალა ქვეყნდება პირველად.



ПРОТОКОЛЪ
Педагогическаго Совѣта Кутаисской Гимназіи.
1908 года сентября месяца 25 дня.

ნახ. 5.1.7.



Caesar narrat Helvetios constituisse exeunt exire ex suis finibus. Cum Helvetii constituisse bellare, qui miserunt Orgetorigis ad vicinos civitatibus.

ნახ.5.1.8.



ნახ. 5.1.9.



ნახ.5.1.10.



ნახ. 5.1.11.



ნახ.5.1.12.

კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის 1876-1915 წწ. ცირკულარების შესწავლით დავრწმუნდით, რომ ქუთაისის კლასიკური გიმნაზია პირველი იყო მთელს საქართველოში, ვინც აფთიაქარის მოწაფის და 1877 წელს კი აფთიაქარის თანაშემწის გამოცდების ჩატარების ორგანიზება გააკეთა. ყოველივე ეს ხდებოდა ქალაქის საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების დონის აღმავლობის ფონზე და გიმნაზიის იმდროინდელი დირექტორის ა.ი. სტოიანოვის (1843-1914) მოწინავე შეხედულებათა გამო. იგი გიმნაზიის დირექტორი იყო 1879 წლიდან.



Вопросы
по Закону Божію, предложенные на испытаніи
27 Января 1903 г.

ნახ. 5.1.13.




ნახ.5.1.14. ა. ი. სტოიანოვი გიმნა-
ზიის დირექტორი

საქართველოს ყველა კუთხიდან მოედინებოდნენ ახალგაზრდები ქუთაისისაკენ - თბილისიდან, ბათუმიდან, ფოთიდან, დასავლეთ საქართველოს ახლომდებარე დასახლებული პუნქტებიდან. თბილისის მეორე გიმნაზიაში მხოლოდ 1883 წლიდან და თბილისის პირველ გიმნაზიაში 1901 წლიდან, ბათუმის ვაჟთა გიმნაზიაში - 1908 წლიდან, ხოლო ხონის ვაჟთა გიმნაზიაში - 1912 წლიდან დაიწყეს ამგვარი გამოცდების ჩატარება [21, 202, 207, 209, 368], მანამ კი ქუთაისმა თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანა ფარმაცევტული განათლების საქმეში.

დროთა განმავლობაში და რუსეთის იმპერიაში ფარმაცევტული განათლების დონის დაქვეითების გამო მომავალი აფთიაქარის თანაშემწეების მიმართ მოთხოვნები შესუსტდა, რაც ჩანს ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივის ფონდებიდან და კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის 1900 წლის ცირკულარებიდანაც.

მოგვიანებით, XX საუკუნის 10-20-იან წლებში, თბილისში დაარსდა ამიერკავკასიის კერძო უნივერსიტეტი, რომლის საბჭოს უფლება ჰქონდა ჩაეტარებინა გამოცდები აფთიაქარის თანაშემწის წოდების მოსაპოვებლად. ასე მაგალითად, შ.ა. ჯუღელმა მიიღო აფთიაქარის მოწაფის მოწმობა ამ გიმნაზიაში 1915 წლის 14 დეკემბერს, იგი მუშაობდა 1916 წელს ქუთაისის ქალაქის მეორე აფთიაქში, იმუშავა-რა სა-

ქართველოს სხვადასხვა აფთიაქებში 2 წელი, 3 თვე და 18 დღე, ერთი წლის მანძილზე მიიღო გამოცდების ჩაბარების უფლება აფთიაქარის თანაშემწის წოდების მოსაპოვებლად და ჩააბარა ეს გამოცდები სწორედ ამიერკავკასიის თბილისის უნივერსიტეტში 26.12. 1918 წ. [74, 362, 363].

შესწავლილი მასალების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, დავასკვნით, რომ აფთიაქარის მოწაფეებს მოეთხოვებოდათ განსაზღვრული, ზოგადსაგანმანათლებლო - საკმაოდ მაღალი დონე (რამდენიმე ხნის წინ ქიმიისა და ქართული ენისა და ამჟამად დაწესებული მასალისაგან განსხვავებით), მაგრამ ფარმაცევტული კადრების დასაწყისი მომზადება ხდებოდა მაინც კუსტარულად, აფთიაქარის შეგირდობის გზით. ჩვენს მიერ ქუთაისის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში მოპოვებული დოკუმენტში „1904 წლის სააფთიაქო წესდების პროექტის ახსნა-განმარტებითი წერილი“ [294], - სხვა საკითხებთან ერთად განხილულია ფარმაცევტების ზოგადსაგანმანათლებლო ცენზისა და პროფესიული მომზადების საკითხებიც. ფარმაცევტები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში იმყოფებოდნენ თავისუფალი მსმენელების პრინციპზე, ისინი გადიოდნენ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კურსებს მედიცინის ფაკულტეტის პროგრამით. ფარმაცევტთა 1889 და 1899 წლების ყრილობებზე ერთხმად გამოითქვა მოსაზრება ფარმაცევტის ზოგადი და სპეციალური მომზადების ამაღლების აუცილებლობის შესახებ. სააფთიაქო წესდების პროექტი თვლიდა, რომ „უკანასკნელის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ ფარმაციის გამოყოფით ფარმაცევტული უმაღლესი განათლების დამოუკიდებელი სახით“. აფთიაქში შეგირდებისა და თანაშემწეების არსებული პრაქტიკა ამ პროექტშიც შენარჩუნებულია; მის 45-ე მუხლში სამედიცინო საბჭოს ეძლევა რეკომენდაცია შეადგინოს აფთიაქარის თანაშემწეების, პროვიზორების და ფარმაციის მაგისტრების მომზადების ახალი პროგრამები, რომლებიც მაშინ არ არსებობდა.

აფთიაქარის თანაშემწეების, პროვიზორებისა და ფარმაციის მაგისტრების წოდების მინიჭების პირობები და წესი პროექტში მითითებული არაა, „რამდენადაც ერთისა და მეორის განსაზღვრა სრულიად დამოკიდებულია სახალხო განათლებასა და მის თანხმობაზე შინაგან საქმეთა და სამხედრო სამინისტროსთან“, ნათქვამია დოკუმენტში.

განიხილავდნენ-რა „1904 წლის სააფთიაქო წესდების პროექტის ახსნა-განმარტებით წერილს“, ქუთაისის ქალაქის აფთიაქში იძლე-

ოდნენ წინადადებას, რომ შეზღუდულიყო აფთიაქარის შეგირდების დაშვება უნივერსიტეტებში აფთიაქარის თანაშემწის წოდების მისაღებ გამოცდებზე, რადგან აფთიაქარის შეგირდი იყო იაფი სამუშაო ძალა და აფთიაქარები ვერ ელეოდნენ მათ. შეთავაზებული იყო პროვიზორების სწავლის ხანგრძლივობა ერთი წლით გადიდებულიყო და ა.შ. [107, 294]

XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დამდეგს რუსულ ფარმაცევტულ და ქუთაისურ პერიოდიკაში მრავლად იწერებოდა იმის შესახებ, რომ 4-კლასიანი განათლება იყო მცირე საწყისი მომავალი ფარმაცევტებისათვის; „მომავალში აუცილებელია კლასიკური გიმნაზიის 6 კლასის საგნების ცოდნა მოეთხოვოს მომავალ ფარმაცევტებს, ხოლო აფთიაქში მუშაობის სტაჟი უნდა იყოს არაუმცირეს 2 წლისა. საგანმანათლებლო ცენზი სასურველია ამაღლდეს სიმწიფის ატესტატამდე... და აუცილებლად უნდა გამოიყოს ფარმაცია ცალკე სწავლების სახით“, წერდა 1893 წელს ჟურნალი „Фармацевт“ [181].

XX საუკუნის 20-იან წლებამდე ფარმაცევტული კადრების მოსამზადებლად არ არსებობდა სპეციალური უმაღლესი და საშუალო სასწავლებლები; მხოლოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნით (1918 წ.) ჩაეყარა საფუძველი საქართველოში ფარმაცევტული კადრების მომზადების დასაწყისს - 1919 წლის ოქტომბერში აქ, სამკურნალო ფაკულტეტზე გაიხსნა *ფარმაცევტული განყოფილება* და მასთან ფარმაციისა და ფარმაკოგნოზიის კათედრები. 1921 წელს ხელმძღვანელობამ ოდესიდან გამოიწვია პროფესორი *იოველ გრიგოლის ძე ქუთათელაძე,* რომელიც სათავეში ჩაუდგა ამ კათედრას. ი. გ. ქუთათელაძის უშუალო ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა ფარმაცევტული განყოფილება 4-წლიანი სასწავლო კურსით, ხოლო 1927 წელს - თბილისის ფარმაცევტული ტექნიკუმიც [23]. აღნიშნული სასწავლებლები გახდნენ უმაღლესი და საშუალო-პროფესიული განათლების ცენტრები საქართველოში. 1930 წელს თბილისის სამედიცინო ინსტიტუტთან გაიხსნა ფარმაცევტული ფაკულტეტი.

მანამ კი, აფთიაქარის შეგირდობის გზით ფარმაცევტთა მომზადების შეცვლა ნამდვილი სამეცნიერო პროფესიული მომზადებით XIX საუკუნის ქუთაისის სინამდვილეში მხოლოდ ოცნება იყო, რადგანაც არა თუ პროვინციულ ქალაქში, არამედ მთელს იმპერიაში იყო ერთადერთი ფარმაცევტული სკოლა - სანკტ-პეტერბურგის ქალთა აფთიაქთან, რომელიც ამზადებდა აფთიაქარის თამაშემწეებს [2,3, 5, 108, 117, 214], ამიტომ საშუალო ფარმაცევტული კადრების მომზადება

დამოკიდებული იყო მხოლოდ აფთიაქის მეპატრონის პროფესიულ მომზადებაზე; მომზადების ერთიან პროგრამაზე საუბარი წარმოუდგენელი იყო.

საშუალო ფარმაცევტული კადრების მომზადების უპირატესობა დღეს იმაშია, რომ შექმნილია ერთიანი სახელმწიფოებრივი სისტემა, მაგრამ წარსულის რეტროსპექტული ანალიზი გვიჩვენებს, რომ ქუთაისში XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დამდეგს არსებული აფთიაქარის შეგირდის მომზადების კუსტარული სისტემა მაინც არ იყო ცუდი, რადგან გამოირჩეოდა კადრების მაღალი ზოგადსაგანმანათლებლო დონით და პრაქტიკული მუშაობის ჩვევების შეთვისების მაღალი ხარისხით.

## 5.2. ქუთაისის გუბერნიის ფარმაცევტების მდგომარეობა

1860 წლიდან დაწყებული, როცა პირველი აფთიაქი გაიხსნა, მუდმივად ხდებოდა გუბერნიაში ფარმაცევტული პერსონალის რიცხვის ზრდა; პერსონალს შეადგენდნენ აფთიაქარის თანაშემწეები (გეზელი), პროვიზორები, ფარმაციის მაგისტრები. ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივის მონაცემების მიხედვით ჩვენს მიერ შედგენილია ცხრილები აფთიაქების, ფარმაცევტული პერსონალისა და რეცეპტების რიცხვის შესახებ 1887-1912 წლებში - იხ. ცხრილი 5.2.1. [307, 335-337, 339-342, 344, 345, 348, 349, 351-358].

ცხრილი 5.2.1.

**ქუთაისის გუბერნიის აფთიაქების, აფთიაქის პერსონალისა და რეცეპტურის რაოდენობა**

| წელი | აფთიაქე-ბის რაო-დენობა | ფარმაცევ-ტების რაო-დენობა | პროვიზო-რების რაო-დენობა | აფთიაქა-რის თანა-შემწეების რაოდენო-ბა | შეგირდე-ბის რაო-დენობა | რეცეპტე-ბის რაო-დენობა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1887 | 22 | | | | | 76 270 |
| 1892 | 35 | | | | | |
| 1893 | | 56 | 27 | 29 | 19 | 133 191 |
| 1895 | 46 | 72 | 31 | 41 | 20 | 140 164 |
| 1896 | 50 | 72 | 33 | 39 | 17 | 135 649 |
| 1897 | 51 | 79 | 33 | 46 | | 152 514 |
| 1898 | 53 | 79 | 33 | 46 | | 164 654 |
| 1899 | 53 | 79 | 33 | 46 | | 192 915 |
| 1900 | 53 | | | | | 223 462 |
| 1903 | 53 | 79 | | 67 | | 164 854 |
| 1905 | 59 | 92 | | 65 | 27 | 153 895 |
| 1907 | 53 | | | 79 | 35 | 198 408 |
| 1908 | 62 | | | 80 | | |
| 1909 | 69 | 90 | | | 36 | 242 593 |
| 1911 | 84 | | | | | 219 899 |
| 1912 | 87 | 134 | | | | |

საგუბერნიო ქალაქის 4 აფთიაქში მეოცე საუკუნის დასაწყისში მუშაობდა 8 პროვიზორი, რომელთა შორის 4 მმართველი იყო, ასევე მუშაობდა 5 პროვიზორის თანაშემწე და 11 აფთიაქარის შეგირდი, ხოლო 1916 წელს კი, ქუთაისის 6 აფთიაქში უკვე 40 ფარმაცევტი მუშაობდა [8, 190].

ფარმაცევტების პროფესიული დონის ამაღლებისათვის, წერდა ჟურნალი „Фармацевтический вестник“, აუცილებელია ჯერ შეიცვალოს მდგომარეობა; თუ ამ დროს დადგინდება, გიმნაზიის 6 კლასის განათლება იმათთვის, ვინც აპირებს აფთიაქში მუშაობის დაწყებას, მაშინ ფარმაცევტების გონებრივი განვითარება საგრძნობლად წაიწევს წინ. აფთიაქში მუშაობის სტაჟი შეგირდებისა და თანაშემწეებისათვის

სამი წლიდან ორ წლამდე უნდა შემცირდეს, სანაცვლოდ უნდა გაიზარდოს აფთიაქარის თანაშემწეების სწავლის ხანგრძლივობა უნივერსიტეტში საპროვიზორო კურსის გავლის დროს და იგი უნდა გაიზარდოს *3 წლამდე.* ამით ორმაგი მიზანი მიიღწევა: ჯერ ერთი, მოიგებს ფარმაცევტთა ზოგადი და სპეციალური განათლების საქმე, მეორეც - ეს მიიზიდავს მრავალ ახალგაზრდას გახდეს ფარმაცევტი. მათ მოეწონებათ შედარებით ხანმოკლე ყოფნა აფთიაქის წიაღში და არა უწინდელივით 4 წელი, რის შემდეგაც დაერთვებათ ნება პროვიზორის ლექციები მოისმინონ და დიპლომი აიღონ.

1899 წლის დეკემბერში მოსკოვში გაიმართა ფარმაცევტთა ყრილობა, რომელზეც უნდა განხილულიყო ფარმაცევტთა ზოგადი და სპეციალური განათლების დონის ამაღლების საკითხი [187], ჟურნალში „Фармацевтический вестник“ დაიბეჭდა ა. გ. ჩხეიძის სტატია „დაბრკოლებათა დაძლევის შესახებ, რომლებიც ხელს უშლიან ფარმაცევტების განვითარებასა და მეცნიერულ მიდრეკილებებს“[184], სადაც აღწერილია კავკასიაში, მათ შორის ქუთაისის აფთიაქებში, ფარმაცევტების ყოფისა და მუშაობის უკიდურესად მძიმე მდგომარეობა.

გაზეთი „კვალი“ თვლიდა, „ფარმაცევტების ავტორიტეტისა და ფარმაციის დონის დაცემის ძირითადი მიზეზი იყო ის, რომ ფარმაცევტების კლასი შედგება ახალგაზრდობისაგან, რომლებმაც შუა გზაზე - გიმნაზიის მეოთხე-მეხუთე კლასიდან მიატოვეს საშუალო სასწავლო დაწესებულებები, ამიტომ ეს *ლათინური სამზარეულოს შეგირდები* ვერ იქნებიან ინტელექტუალურები. მეოთხე კლასამდე მოზარდი მექანიკურად ითვისებს საგნებს, რომელთა შეგნებული დაუფლება მას უწევს მაღალ კლასებში..., ამ დროს კი იგი მოწყდება სწავლას და მიდის აფთიაქში ხელობის სასწავლად, სადაც შეგირდად მუშაობს 3 წელი“ [38]. „სამუშაო დღის ხანგრძლივობაა, აგრძელებს გაზეთი, 12-16 და ზოგჯერ 18 საათიც კი დღე-ღამეში და თვეში დასვენების დღეების რიცხვი მხოლოდ 2-3-ია. ეს მათ ხელს უშლის მეცადინეობაში, ხალისით სწავლაში, ამ განწყობას მათ უკარგავს სუნიანი და აქროლადი ნივთიერებები, გაუთავებელი დაძაბულობა-გადარბენები შრომის პროცესში, თავისი სოციალურ-ეკონომიკური სიღატაკის შეგნება, უმეგობროდ ცხოვრება აფთიაქში და იზოლაცია [38]. მოემზადება-რა ასეთ მძიმე პირობებში, აბარებს გამოცდებს უნივერსიტეტში გეზელის წოდებაზე და იქ, ფარმაცევტი ისმენს-რა ლექციებს სპეციალურ საგნებში, გადაიქცევა უნივერსიტეტის თავისუფალ მსმენელად ანუ „გერად“ და დიდად არაფერი გაეგება თავისი დაბალი ზოგადსა-

განმანათლებლო მომზადების გამო“.

ჩააბარებდნენ-რა გამოცდებს გეზელის წოდებაზე, უნდა ემუშავათ კიდევ 3 წელი, რომ ბოლოს და ბოლოს მიეღწიათ პროვიზორის ხარისხამდე. მათ ჰქონდათ ძალიან ცოტა თავისუფალი დრო, რომ შეევსოთ თავიანთი, შუა გზაზე მიტოვებული, განათლების ხარვეზები. „როგორც ვხედავთ, აგრძელებს გაზეთი, ფარმაცევტების გონებრივი განვითარება დაბალია და გასაკვირიც არაა, რომ ჭკვიანი, ენერგიული ენთუზიასტები არ მოინდომებენ გახდნენ ფარმაცევტები. ასეთ მძიმე პირობებში აფთიაქარის შეგირდები 10-20 მანეთს იღებდნენ თვეში, აფთიაქარის თანაშემწეები - 30-40 მანეთს, ხოლო პროვიზორები - 40-70 მანეთს. ეს „პარაცელზის მემკვიდრეები“, მატერიალური სიდუხჭირის გამო ოჯახის ყოლის შესაძლებლობასაც მოკლებული არიან. აი უკვე 20-30 წელია საზოგადოებასა და პრესაში მუდმივად ლაპარაკობენ სააფთიაქო სტრუქტურის მონოპოლურ ხასიათზე, განაგრძობს გაზეთი, - ფარმაცევტების მძიმე მდგომარეობის შესახებ და არაფერი კეთდება არც მათთვის და არც წამლის მომხმარებლისათვის“ [38].

მთელს რუსეთის იმპერიაში, რომლის შემადგენელი ნაწილი იყო ქუთაისის გუბერნიაც, 1901 წლიდან აფთიაქებში შემოღებული იყო დასვენების დღეები - ყოველი ორი დღის შემდეგ მესამე. ფარმაცევტები მუშაობდნენ დილის 8 საათიდან საღამოს 10 საათმდე თვეში 15 ღამის მორიგეობით. მათ აძლევდნენ უფასო კვებას და ბინას, აგრეთვე საწყის ხელფასს ე.წ. გრატიფიკაციას - 40 მანეთს. აფთიაქარის შეგირდებს ეძლეოდათ მხოლოდ 30 მანეთი თვეში და უფასო ბინა. ლიტერატურული მონაცემებიდან ჩანს, როგორ მძიმე პირობებში ცხოვრობდა მშრომელი ფარმაცევტების კლასი [36, 190].

XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან პეტერბურგსა და მოსკოვში გამოიცემოდა ფარმაცევტული ჟურნალები. ეს ჟურნალები ასახავდნენ აფთიაქის მეპატრონეების კლასობრივ ინტერესებს და ატარებდნენ რეაქციულ ხასიათს. 1897 წლიდან რუსეთში გამოდიოდა ჟურნალი „Фармацевтический вестник“, რომელშიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ მომუშავე ფარმაცევტები. ეს ჟურნალი ფარმაცევტების აფთიაქის მფლობელებთან ბრძოლის ორგანიზატორი იყო [117].

ჟურნალ „Фармацевтический вестник“-ის 1902 წლის ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნებული იყო ს. ბ. მამალაძის სტატია - „ფარმაცევტთა შრომის პირობების თანამედროვე მდგომარეობა ამიერკავკასიაში - თბილისში, ბაქოში, ქუთაისში, ბათუმში“, სადაც კ. ჩინჩალაძის შეტყობინების თანახმად ქუთაისში მომუშავე ფარმაცევტების შრომის

ხანგრძლივობა დღეში შეადგენდა 8-10 საათს, ღამის მორიგეობების რიცხვი 15-ს თვეში, ხოლო შეგირდების ხელფასი 30 ლარს ბინის ქირის გადახდით. მშრომელი კლასი აუტანელ მდგომარეობაში იყო, არც ჩანდა მოსალოდნელი რაიმე ცვლილება ფარმაცევტთა ყრილობისაგან - ასკვნიდა სტატიის ავტორი [190].

„Фармацевтический вестник“ ასეთ აღწერილობას იძლევა XIX საუკუნის ბოლოს - „აფთიაქარის, როგორც დამქირავებლების ინტერესები, ძლიერ შორდება მუშა-ფარმაცევტების ინტერესებს. მომუშავე ფარმაცევტების შრომის მოწესრიგება უკიდურესად აუცილებელია როგორც მათი, ასევე აფთიაქარებისა და საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე. შეუძლებელია მოითხოვო შეგნებული და სასარგებლო საქმიანობა იმ პირებისაგან, რომლებიც იმყოფებიან ანტიჰიგიენურ და არანორმალურ პირობებში. არ შეიძლება მოითხოვო შეგნებული დამოკიდებულება საქმისადმი ადამიანისაგან, რომელიც განუწყვეტლივ, 50-60 საათს ატარებს კვირაში სხვადასხვა მავნე ანაქროლებითა და მტვერით გაჟღენთილ ატმოსფეროში“ [186].

მოგვიანებით ქუთაისელი ფარმაცევტების ცხოვრება უფრო დამძიმდა. გაზეთებში „ახალი კვალი“, „შრომა“, „იმერეთი“, „კოლხიდა“, „ხალხის მეგობარი“, „ჩვენი მეგობარი“, აგრეთვე ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივის ფონდებში ნაპოვნი მასალებით ვრწმუნდებით, რომ პროვინციებში ფარმაცევტების მდგომარეობა უარესი იყო, ვიდრე დედაქალაქს - თბილისში [297, 305, 308, 310].

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დამდეგს პროვიზორებისა და ფარმაცევტების ხელფასი მაინც საკმაოდ დიდი იყო - 40-66 მანეთი, ხოლო მოწაფეებისა - 15-20 მანეთი. XX საუკუნის დასაწყისში ფასების ზრდას დაემთხვა აფთიაქის მუშაკთა ხელფასის ზრდაც; „აფთიაქის მმართველთა და პროვიზორთა ხელფასი შეადგენდა 100 მანეთს, ხოლო აფთიაქარის თანაშემწეებისა - 85 მანეთს“. ყველაზე მცირე ხელფასი ჰქონდათ აფთიაქარის შეგირდებს, რასაც დაწვრილებით განვიხილავთ მოგვიანებით. მოლარეების ხელფასი შეადგენდა მმართველის ხელფასის 20%-ს - სულ 20 მანეთს, „აფთიაქის მსახურებს“ ეძლეოდათ 30 მანეთი, ხოლო მეეზოვეებს - 18 მანეთი“[36, 299, 304, 312, 318]. 1912-1913 წლებში აფთიაქის მმართველის ხელფასი 125 მანეთამდე გაიზარდა.

„პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ფასების არანორმალური ზრდის პირობებში, გაკვირვებას იწვევს ქუთაისელი ფარმაცევტების პასიურობა და მორჩილება, წერდა გაზეთი „ჩვენი მეგობარი“ 1916

წელს, როცა თბილისელი აფთიაქარის შეგირდი იღებს 110 მანეთს, ქუთაისელი კი მხოლოდ 25-50 მანეთს. აფთიაქარის თანაშემწე თბილისში იღებს 160-200 მანეთს, ქუთაისში კი, - 70-95 მანეთს და ასეთ პირობებში ისინი ხმას არ იღებენ, თითქოსდა ყველაფრით კმაყოფილნი არიან. ამის მიზეზია ქუთაისელი ფარმაცევტების სუსტი განვითარება და ჩამორჩენილობა" [86]. მათი სამუშაო პირობები არანორმალური იყო, ცხოვრება ორჯერ გაძვირდა, ხოლო მათი ხელფასი იგივე დონეზე დარჩა. „მრავალჯერ, წერდა გაზეთი „ახალი კვალი" 1916 წლის აპრილში - მათ წარმოადგინეს თავიანთი მოთხოვნები, მაგრამ აფთიაქის მეპატრონეებმა უარი განაცხადეს ამ მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე" [8].

ცხოვრების დონე სწრაფად ეცემოდა, უკვე 1916 წლის სექტემბერში გაზეთი „ჩვენი მეგობარი" წერდა: „ქუთაისელი ფარმაცევტების ცხოვრება უფრო მძიმდებოდა, ყველაფერი სამჯერ გაძვირდა, ხოლო ხელფასი იგივე დარჩა. როგორც ქალაქის, ასევე კერძო აფთიაქის თანამშრომელებმა შეიმუშავეს პირობები და წარუდგინეს ისინი თავიანთ უფროსებს, მაგრამ..." ზემდგომებმა იცოდნენ, რომ ქუთაისელი ფარმაცევტები უფრო ჩამორჩენილები არიან სხვა ქალაქებისა და დასახლებების ფარმაცევტებთან შედარებით, რომელთაც აქვთ უფრო მაღალი შეგნება, ერთმანეთს უკავშირდებიან, ერთობლივად იბრძვიან თავიანთი პირობების გასაუმჯობესებლად და კიდეც აღწევენ მიზანს".

მოგვიანებით კერძო აფთიაქების მფლობელებმა გაზარდეს წამლის ფასი და შესაბამისად გაზარდეს მომსახურეთა ხელფასი. ქალაქის აფთიაქების თანამშრომელებმა წარუდგინეს შესაბამისი თხოვნა ქალაქის გამგეობას 1916 წელს ხელფასის მომატების შესახებ: პროვიზორებს 450 მანეთამდე, პროვიზორის თანაშემწეებს - 337-დან 397 მანეთამდე (სტაჟის მიხედვით), ხოლო მოწაფეებს - 150-დან 270 მანეთამდე თვეში (სტაჟის მიხედვით), რაც დაკმაყოფილებული იქნა. [98].

ჯერ კიდევ 1917 წელს ქუთაისის ქალაქის სააფთიაქო კომისიამ გადაწყვიტა გაედიდებინა ფასები წამლებზე, რამდენადაც კერძო აფთიაქარებმა ეს უკვე გააკეთეს, ქალაქის აფთიაქები კი ამ ტალღას ჩამორჩნენ. [97].

თუ მაშინდელი ფულის მსყიდველუნარიანობას დღევანდელისას შევადარებთ, დავინახავთ, რა დიდი განსხვავებაა აფთიაქის მუშაკის მაშინდელსა და დღევანდელი ხელფასის დონეებს შორის. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისტორიულ წარსულში ჩვენი კოლეგები მაინც გა-

ცილებით უკეთ ცხოვრობდნენ, ვიდრე დღეს, თუმცა იყო ხარვეზებიც - წელიწადში ორკვირიანი შვებულება, საცხოვრებლად მიცემული ბნელი, უჰაერო ოთახები სამი ან ოთხი ადამიანისათვის (რომლებიც ზოგჯერ სასადილო ოთახებიდან არც კი იყო გამიჯნული), აფთიაქში 24-საათიანი ყოფნის რეჟიმი და მრავალი სხვა ფაქტორი გვიჩვენებს, რომ ჩვენს ფარმაცევტ- თანამემამულეებს არც ისტორიულ წარსულში ჰქონდათ მთლად საამური ცხოვრება [186].

ქალაქის მეორე აფთიაქის შტატს გახსნის დღიდანვე არ ჰქონდა სათანადო ნათელი და მშრალი სათავსოები მორიგე ფარმაცევტებისათვის და მედიკამენტების შესანახად [327].

უმრავლესობა აფთიაქებთან არსებობდა *პანსიონები*, რომლებიც სათავეშივე ადამიანის ექსპლუატაციის კერები იყო. პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები ეწინააღმდეგებოდნენ ფარმაცევტების ცხოვრების პანსიონურ წესს. ასევე ისინი თვლიდნენ, რომ „სასურველი იყო, ფარმაცევტებს მიეღოთ საკვებისა და საცხოვრებელი ფართის ფული აფთიაქის მიერ მიცემული სადგომისა და სადილის ნაცვლად და მისცემოდათ უკიდურეს შემთხვევაში 6 გამოსასვლელი დღე მაინც თვეში [186].

რუსეთის ფარმაცევტების 1899 წლის ყრილობამ მოისმინა ქართველი ფარმაცევტების მოთხოვნები პანსიონების გაუქმებისა და ფარმაცევტებისათვის მისი შესაბამისი თანხის ხელფასზე დანამატის სახით მიცემის შესახებ, მაგრამ ამით არაფერი შეცვლილა[327].

1895 წელს ოზურგეთის აფთიაქი მუშაობდა დილის 9 საათიდან საღამოს 11 საათამდე, არ იყო შემოღებული ღამის მორიგეობა და ღამის საათებში შეუძლებელი იყო წამლის ყიდვა ყველაზე მძიმე ავადმყოფისათვისაც კი [25]. აფთიაქის თანამშრომლებს ჰქონდათ სადილისათვის შესვენება ნახევარი საათიდან 2 საათამდე, სადილის ფულს იხდიდა აფთიაქის მეპატრონე [40]. უფრო ადრე - XIX საუკუნის ბოლოს, ფარმაცევტის სამუშაო დღე გრძელდებოდა 12-16 საათს (ზოგიერთ ადგილებზე - 18 საათსაც კი), გამოსასვლელი 2-5 დღე - თვეში. პროფესიული დახელოვნებისათვის ფარმაცევტებს სულ მცირე დროც არ რჩებოდათ. ასეთი არანორმალური პირობები ახალგაზრდებს უკარგავდა ფარმაცევტული განათლების მიღების სურვილს [37].

გუბერნიის ზოგიერთ აფთიაქებში სამუშაო დღე იწყებოდა დილის 9 საათზე და გრძელდებოდა საღამოს 8 საათამდე (სადილობის დროის ჩათვლით). საღამოს 8-დან 10-მდე აფთიაქში სამი ფარმაცევტი რჩებოდა, ხოლო 10-დან მთელი ღამით - ორი მორიგე - აფთიაქარის

თანაშემწე და შეგირდი. თითოეული თანამშრომელი თვეში 5 ღამეს მორიგეობდა. დასვენების დღეები ყველასთვის ერთნაირი იყო - სამი დღის მერე - მეოთხე. დასვენების წინადღეს თავისუფლდებოდნენ საღამოს 6 საათზე [186, 314].

ფარმაცევტთა შრომის მძიმე პირობებზე მიუთითებს ის, რომ ქუთაისის ქალაქის პირველ აფთიაქში წელიწადში 46 683 რეცეპტის პირობებში კანონმდებლობით უნდა ემუშავა 8 ფარმაცევტს, მაგრამ მხოლოდ 5 მუშაობდა. არც ქალაქის სათათბიროს, არც მმართველს ა.დ. მხეიძეს აზრად არ მოსვლია შტატის გადიდება, რისგანაც დაზარალდებოდა აფთიაქის მოგება; თანამშრომლები დაძაბულად მუშაობდნენ და ყოველ წუთს იდგნენ შეცდომის დაშვების საშიშროების წინაშე [313, 314].

როგორც იმდროინდელი მასალებიდან ჩანს, აფთიაქარის შეგირდები არ მიეკუთვნებოდნენ ფარმაცევტების ნომენკლატურას, თუმცა ისინი შეადგენდნენ წამლის ტექნოლოგიაში მონაწილე თანამშრომელთა ძირითად ნაწილს.

დაარსების დღიდან გუბერნიის სოფლის ყველა აფთიაქში, ვისი კუთვნილებაც არ უნდა ყოფილიყო იგი, მუშაობდა მხოლოდ ერთი ფარმაცევტი - პროვიზორი ან აფთიაქარის თანაშემწე. თუ მეპატრონე თვითონ არ იყო ფარმაცევტი, იგი ქირაობდა ფარმაცევტს აფთიაქის მართვისათვის. მაგ. ამაღლების აფთიაქში დაქირავებული იყო დ.ა. ჯუღელი, ონში - კუნდინი, ამბროლაურში - ა. მაჭარაძე, ჩოხატაურში - ზ. ფიალკოვსკი, ვანში - ი. ამბროლაძე, ცაგერში - ნიჟარაძე და სხვ. [352].

გუბერნიის ნორმალურ აფთიაქებში რეცეპტებისა და ფულის მიმოქცევის მოცულობის მიხედვით მუშაობდა 1-2 -დან 7 ფარმაცევტამდე. მაგალითად: 1887 წელს გუბერნიაში 10 ნორმალური აფთიაქი იყო, მათ შორის ქუთაისში - 2; ხონში, სამტრედიაში, სენაკში, ზუგდიდში, ოზურგეთში, ფოთში, ბათუმსა და სოხუმში - თითო-თითო. ამ ნორმალურ აფთიაქთაგან რეცეპტურის ყველაზე მაღალი რაოდენობა აღინიშნებოდა ბათუმის აფთიაქში - 20 365, შემდეგ ქუთაისის კოკოჩევის აფთიაქში - 14 735, ქუთაისის ვიტუშინსკის აფთიაქში - 14 064, სოხუმის აფთიაქში კი მხოლოდ - 3 027 [335]. შესაბამისად, შტატი ნორმალურ აფთიაქებში იყო: ბათუმში - 4-5 ფარმაცევტი, ქუთაისის აფთიაქებში 4-6 ფარმაცევტი, სოხუმში - 2 ფარმაცევტი. 1912 წელს ქუთაისის ქალაქის პირველ აფთიაქში გაიზარდა ფარმაცევტთა რაოდენობა 7-მდე [358, 307].

1907 წელს გუბერნიის ნორმალური აფთიაქების რიცხვი 11-მდე

გაიზარდა (სოხუმი და ბათუმი უკვე აღარ შედიოდა გუბერნიაში). ამ დროისათვის ისევ შეინიშნება იაფი სამუშაო ძალის - აფთიაქარის შეგირდის გამოყენება, რომელთა დაქირავების უფლება ჰქონდათ მინიჭებული მხოლოდ ნორმალურ აფთიაქებს.

1913 წელს, ქუთაისის ქალაქის პირველ აფთიაქში ორ ცვლაში მუშაობდა 2 პროვიზორ-რეცეპტარიუსი, 2 პროვიზორის თანაშემწე, 6 აფთიაქარის მოწაფე. უფრო ადრე - 1907 წელს იმავე აფთიაქში იყო მხოლოდ 1 პროვიზორ-რეცეპტარიუსი, 3 აფთიაქარის თანაშემწე და აფთიაქარის მოწაფე [299].

ქალაქის აფთიაქების შტატი განისაზღვრებოდა საafთიაქო კომისიის ან ქალაქის გამგეობის მიერ აფთიაქის მოსალოდნელი მოგების მიხედვით და იზრდებოდა ან იკვეცებოდა მათ მიერვე. მაგ.: 1913 წლის მანძილზე ქუთაისის ქალაქის მეორე აფთიაქის ყოველდღიური ნავაჭრი ორჯერ გაიზარდა - 25-დან 50 მანეთამდე, ამიტომ ქალაქის საafთიაქო კომისიამ მოიწვია აფთიაქარის მეორე თანაშემწე და დაუნიშნა ხელფასი წელიწადში 900 მანეთი. [320].

ქუთაისის ქალაქის აფთიაქების მმართველთა ფუნქციები განისაზღვრებოდა ქალაქის გამგეობისა და ქალაქის საafთიაქო კომისიის მიერ, რომელზეც ადგილზე იქნა მიღებული შესაბამისი ინსტრუქცია 1910 წელს. იგი ჯერ კიდევ 1904 წელს იქნა შემოთავაზებული ქალაქის გამგეობის მიერ [292, 294].

ინსტრუქციის თანახმად:

1. მმართველი კისრულობს პასუხისმგებლობას საafთიაქო მეურნეობის სწორად წარმართვაზე ქალაქის თვითმმართველობისა და საგუბერნიო მმართველობის საექიმო განყოფილების წინაშე.

2. მმართველი წელიწადში ორჯერ, ანდა საჭიროების მიხედვით, იწერს საafთიაქო საქონელს *პირველი ხელიდან.*

3. მმართველი აწარმოებს ინვენტარის, საქონლის, კოსმეტიკური საგნების გაყიდვის, ქალაქის საჭიროებისათვის უფასოდ გაცემის, ანგარიშებისა და სარევიზიო წიგნებს.

4. მმართველი ყოველ საღამოს იბარებს ნავაჭრს და შეაქვს ის შესაბამის წიგნში მოლარისა და საკუთარი ხელმოწერებით.

5. მმართველი წარუდგენს საafთიაქო კომისია თვისა და წლიურ ანგარიშებს.

6. იტოვებს მხოლოდ 100 მანეთს, დანარჩენს აბარებს გამგეობას.

7. აფთიაქში დარღვევების შესახებ მოახსენებს საafთიაქო კომისიას.

8. აფთიაქის თანამშრომელთა მორიგეობის შესახებ აცნობებს სა-

აფთიაქო კომისიას.

9. გაძლიერებული მუშაობისას ერთი საათით ან საათნახევრით ეხმარება რეცეპტარიუსს, რომელიც თავის მხრივ ეხმარება ასისტენტებს.

10. მოლარის არარსებობისას, ცვლის მას. [292].

ხონის კ.ზ. ლორთქიფანიძის მემკვიდრეების ნორმალური აფთიაქის შტატში 1906 წელს შედიოდნენ: მმართველი - პროვიზორი დავით ვასილის ძე გლუშაკოვი, აფთიაქარის შეგირდები: სერგო ირაკლის ძე ჟორდანია, ალექსანდრე ეფრემის ძე ხიმშიაშვილი, დავით გრიგოლის ძე ქელბაქიანი, აფთიაქარის შეგირდი ქალები - სოფიო დიმიტრის ასული გლუშაკოვა-ზარქაია, ბაბილინა ზოსიმეს ასული რუხაძე, ლუბა ეფრემის ასული ღაჭავა [135].

ფრანც ანტონის ძე რელიგიონის ნორმალური აფთიაქის შტატში 1906 წელს შედიოდნენ: მმართველი - ფ. ა. რელიგიონი, პროვიზორი ოსიპ ოსიპის ძე რიხლიცკი, აფთიაქარის თანაშემწე გიორგი დავითის ძე კილაძე, აფთიაქარის შეგირდები: ვლადიმერ ოქროპირის ძე გიორგაძე, ვალენტინ ბესარიონის ძე ლორთქიფანიძე, ვასილი გიორგის ძე ტურაბელიძე. ამავე დროს პროვიზორის ა. არაზაშვილის მიერ იჯარით აღებული პ. კოკოჩაშვილის აფთიაქის შტატში შედიოდნენ: ერთი პროვიზორი, ერთი აფთიაქარის თანაშემწე და 4 აფთიაქარის მოწაფე [235].

კვლავაც განსაკუთრებით უმოწყალოდ ხდებოდა აფთიაქარის მოწაფეების გამოყენება. ჩვენს მიერ მოკვლეულია 1901 წელს ქუთაისის ქალაქის პირველ აფთიაქში ე.წ. „მოთხოვნითი უწყისები“ (ხელფასის გასაცემი უწყისები), სადაც ნაჩვენებია, რომ აფთიაქარის მოწაფეების იოველ გრიგოლის ძე ქუთათელაძისა და სერგო მესხის ხელფასები შეადგენს 30-30 მანეთს, რაც აფთიაქის მმართველის ხელფასის მხოლოდ 30%-ს შეადგენს. ასეთი მცირე ხელფასით ისინი ასრულებდნენ რთულ სამუშაოს - აფთიაქარს უმზადებდნენ ნაყენებს, აბებს, ფხვნილებს, მალამოებს, სალბუნებს (ემპლასტროებს), არომატულ წყლებს, მონახარშებს, გამონაწვლილებსა და სხვა წამლის ფორმებს [2, 3, 214, 290].

1907-1909 წლებში მოწაფეების ხელფასი უკვე შეადგენდა მმართველისა და პროვიზორის ხელფასის 50%-ს. მაგრამ იყო სხვაგვარადაც; 1913 წლის საარქივო დოკუმენტის მიხედვით [322], აფთიაქარის მოწაფე ვ.ს. ლორთქიფანიძე ქალაქის მეორე აფთიაქში დაარსების დღიდან მუშაობდა და იღებდა ხელფასს 30 მანეთს და 5 მანეთს ოთახის ფულს [299, 304].

ქუთაისის ყველა აფთიაქის შტატი ყოველწლიური საქონელ-ბრუნვის მიხედვით იცვლებოდა. შტატის გაზრდა ძირითადად აფთი-აქის მოწაფეების - ამ იაფი სამუშაო ძალის, ხარჯზე ხდებოდა; მათ ავალებდნენ ყველაფერს, რაც კი შეიძლებოდა გაეკეთებინათ აფთიაქ-ში - დამხმარე სამუშაოს, წამლის მომზადებას, რეცეპტების მიღებასაც კი. ამის შესახებ 1904 წელს გაზეთი „ივერია“ წერდა: „ხონის შემოგა-რენში ერთი კერძო აფთიაქია, იგი ეკუთვნის ბატონ პროვიზორ-არენ-დატორს გლუშაკოვს, სადაც მისა და ორი აფთიაქარის მოწაფის გარ-და არავინ არ მუშაობს, რეცეპტი კი ბევრია, წამალს ზოგჯერ აფთიაქა-რის მოწაფეები ამზადებენ“ [31].

შსს სამინისტროს 1865 წლის 08.05. № 3549 ცირკულარის თა-ნახმად, თუ თანამშრომელს სურს განთავისუფლდეს სამსახურიდან, მან ამის შესახებ მმართველს უნდა განუცხადოს 2 თვით ადრე [155], აფთიაქში ასევე არსებობდა თანამშრომელის სამუშაოდან განთავი-სუფლების კენჭისყრის წესი 3 თვით ადრე განთავისუფლებამდე, რომ მას შეძლებოდა ეძებნა ახალი სამუშაო [43].

აფთიაქარის მოწაფის უფლებები არ იყო დაცული არც ერთი ორგანიზაციის მხრიდან, მათ ერეკებოდნენ სამუშოდან, ხშირად თვითნებურადაც. აფთიაქარის მხრიდან მათი ჩაგვრის მაგალითია ის, რომ კოკოჩაშვილის კერძო აფთიაქიდან 1911 წელს 4 აფთიაქარის მო-წაფიდან ნიჟარაძე კენჭისყრის გარეშე გაათავისუფლეს სამუშაოდან, რამაც ქალაქის მოსახლეობის გულისწყრომა დაიმსახურა [43]. ვალი-კო ალავიძეს, რომელმაც ქალაქის მეორე აფთიაქში 6 დღე იმუშავა, მმართველმა ი. მ. ნარეშელაშვილმა არ გამოუწერა ნამუშევარი დღეე-ბის ხელფასი [83].

ძალიან ცუდ მდგომარეობაში იყვნენ აფთიაქარის მოწაფეები, არ იყო არანაირი წესრიგი მათი დასვენებისა. ისინი მუშაობდნენ ორი დღე მიმდევრობით, ხელფასს იღებდნენ 15-20 მანეთს, მაშინდელი სიძვირის დროს მოწაფეებისათვის შეუძლებელი იყო ამ თანხით თა-ვის გატანა. ერთ პროვიზორზე წესით მოდიოდა მხოლოდ 2 აფთიაქა-რის მოწაფე, მაგრამ ზოგ აფთიაქში მათი რაოდენობა 4-დამ 10-მდეც კი იყო. ზოგჯერ ქირაობდნენ შტატგარეშე მოწაფეებს, ასწავლიდნენ მათ კუსტარულად, დამალულად; ეს სამსახური მათ პროფესიულ სტაჟშიც არ შედიოდა [84, 80]. სხვადასხვა ფხვნილებისა და სითხეე-ბის, როგორიც იყო ქინინისა და ფენაცეტინის ფხვნილები, აზუსალა-თინის ზეთი, სარეცეპტურო და ხელზე გაყიდვის საგნები და სხვა, მომზადებითა და დაფასოებით „შეფუთვით“ მოწაფეების გარდა და-

კავებული იყვნენ ეგრეთ წოდებული „დამფასოებელი-ბიჭები“ - ისინი იყვნენ ასისტენტის მომავალი პრაქტიკანტები, რომლებიც ასევე უშტატოდ მუშაობდნენ [190].

სხვა ცნობებით, 1903 წელს მოწაფეებს მუშაობის პირველ წელიწადს ხელფასს 10 მანეთს აძლევდნენ, მეორე წელიწადს - 15 მანეთს, მხოლოდ მესამე წელიწადს იღებდნენ ისინი 20 მანეთს თვეში [37, 40].

როგორც აღვნიშნეთ მოწაფეები ხშირად აფთიაქთან არსებულ პანსიონში ცხოვრობდნენ, თუ ასე არ მოხერხდებოდა, ისინი იღებდნენ საჭმელის ფულს და ბინის ქირას 10-15 მანეთს დამატებით. აფთიაქთან არსებულ პანსიონში გათბობისა (შეშის) და სადილის ფულს იხდიდა მმართველი, რომელიც ასევე ცხოვრობდა აფთიაქის შენობაში. კვება და ბინა, რომელსაც აფთიაქის მეპატრონეები სთავაზობდნენ თანამშრომელებს, იყო ღარიბული და მწირი, რითაც კიდევ დამატებით ძარცვავდნენ და ამცირებდნენ მათ.

ჩვენს მიერ გამოკვლეულ პერიოდში არსებობდა შრომის კანონმდებლობის დარღვევისათვის დასჯის შემდეგი სისტემა: ჯარიმა 10-დან 100 მანეთამდე; საყვედური, პატიმრობა 7-20 დღე, ამასთანავე მმართველი პირველსა და მეორე ჯერზე აძლევდა შენიშვნას, მესამე ჯერზე კი საყვედურსა და 15 მანეთს ჯარიმას.

ქუთაისელი პროვიზორები და ფარმაცევტები მონაწილეობდნენ კავკასიის სამედიცინო საზოგადოების მუშაობაში უკვე XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან. პროვიზორმა ქუთაისის გუბერნიიდან ა.ი. დრიგინმა 1864 წელს გააკეთა მოხსენება ამ საზოგადოების სხდომაზე. 1892 წელს ქუთაისელი პროვიზორები ლევან პეტრეს ძე კოკოჩაშვილი და ვიქტორ ანტონის ძე ვიტუშინსკი არჩეული იყვნენ *ქუთაისის სამედიცინო საზოგადოების* ნამდვილ წევრებად [9]. 1890 წლიდან კავკასიაში არსებობდა კავკასიის ფარმაცევტთა საზოგადოება [12], რომლის თავმჯდომარე იყო *პროვიზორი ილია ალხაზიშვილი.* იმ წლების პერიოდიკით მტკიცდება ამ საზოგადოების ინერტულობა. 1899 წელს ფარმაცევტთა რუსეთის ყრილობაზე ქართული დელეგაციის ხელმძღვანელი სწორედ ილია ალხაზიშვილი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მან უარი განაცხადა, რადგან იგი, როგორც წერდა იმდროინდელი პრესა, ვერ შეძლებდა მომუშავე ფარმაცევტთა ინტერესების დაცვას, რადგან უნდა დაეცვა აფთიაქის მეპატრონეთა ინტერესები [12, 38, 186].

ქუთაისში ფარმაცევტთა პროფესიული კავშირებიც არსებობდა, მაგრამ ფარმაცევტთა ასეთი უმოქმედობა თაობიდან თაობას გადაეცემოდა. 1916 წელს გაზეთი „ჩვენი მეგობარი“ წერდა: „ქუთაისში არის

ფარმაცევტთა მცირერიცხოვანი პროფესიული კავშირი და ისიც არაფერს არ აკეთებს წვრილმანი მეტოქეობის გარდა. იქამდეც კი მივიდნენ, რომ პროფესიულ კავშირში გააერთიანეს მოლარეები, დარაჯები და სხვა. ეს კავშირები ძალიან ინერტულები არიან და ძველებურად ძინავთ" [84]. ზოგჯერ ეს პროფკავშირი წარადგენდა-რა თხოვნას აფთიაქის მფლობელთან, აღწევდა მისგან კომპრომისსაც [101, 102, 99]. არსებობდა სხვა საზოგადოებებიც.

ქუთაისში 1916 წლის 11 სექტემბერს შედგა ფარმაცევტთა კრება, რომელმაც შექმნა „ფარმაცევტთა ქართულ-რუსული სააქციო საზოგადოება" და ამოირჩია კომისია 4 კაცის შემადგენლობით - ა. დ. მხეიძე, ი. ნ. ნარეშელაშვილი, ს. გ. ნიჟარაძე და ვ. ი. კახიანი [85]. დროთა განმავლობაში საქართველოში არსებული ყველა ფარმაცევტული საზოგადოება, ისევე, როგორც რუსეთში მთლიანად, „აფთიაქის მონოპოლისტ-მფლობელთა კავშირად" გარდაიქმნებოდა [27, 149, 150].

ქუთაისის ფარმაცევტთა საზოგადოებასთან არსებობდა ბიბლიოთეკა, ურთიერთდახმარების სალარო, ტიპოგრაფია სიგნატურებისა და ეტიკეტების დასაბეჭდად, რომელთა გაყიდვით საზოგადოების ფონდში შეიძლება შემოსულიყო თანხები [170].

საქართველოს ფარმაცევტთა სამეცნიერო საზოგადოება ახლაც არსებობს. იგი შედგება თბილისის, კახეთის, ქართლის, ქუთაისის, ზუგდიდის, ზესტაფონის, აჭარისა და სხვ. რეგიონული ორგანიზაციებისაგან [376]. მის მიერ 2005 წელს ჩატარებული იქნა ფარმაცევტთა სრულიად საქართველოს ყრილობა, მაგრამ მაშინ ფარმაცევტული საქმის სადავეები უკვე ექიმებს ეპყრათ ხელს. ამ საზოგადოების მიერ რამდენიმე წლის განმავლობაში გამოიცემოდა „ფარმაცევტული მაცნე - მედეა", იგი მონაწილეობდა მსოფლიო ფარმაცევტთა ფედერაციისა და ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობაში, მაგრამ აფთიაქების მონოპოლიზაციამ, ფარმაცევტული და შრომის კანონმდებლობის ხარვეზებმა ქართველი ფარმაცევტები სწორედ რომ საუკუნით უკან ჩვენს მიერ აღწერილი პრობლემების თანაზიარი გახადა და ეს დღესაც გრძელდება - უსახსრობის გამო აღარ გამოდის „ფარმაცევტული მაცნე", პროფესიული კავშირიც კი არ იცავს მომუშავე ფარმაცევტთა ინტერესებს.

საქართველოს ფარმაცევტთა აოსიაციის იმერეთის რეგიონული ორგანიზაცია, რომელმაც 2013 წ. ნოემბერში დამფუძნებელ ყრილობაზე აირჩია საინიციატივო ჯგუფი, ემზადება რეგისტრაციისათვის.

## 5.3. დასავლეთ საქართველოდან გამოსული მეცნიერებისა და ორგანიზატორების როლი ქართულ ფარმაციაში

ქუთაისის გუბერნიის აფთიაქებში მუშაობდნენ კადრები, რომლებმაც რუსეთის უნივერსიტეტებში მიიღეს ფარმაცევტული განათლება და გახდნენ აფთიაქარის თანაშემწეები ან პროვიზორები. აფთიაქარის მოწაფის პრაქტიკული ჩვევების ათვისება კი ხდებოდა ქუთაისშივე.

ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მიერ გაცემული მოწმობების საფუძველზე, რომლებიც ამ ადამიანებს აძლევდა აფთიაქარის შეგირდად მუშაობის უფლებას, ქუთაისის ქალაქის პირველ აფთიაქში 1907 წელს მუშაობდნენ: კ. ს. ყვავაძე [260], ა. ო მეძმარიაშვილი, ი. დ. ჩოჩიავა; პროვიზორ კ. ზ. ლორთქიფანიძის მემკვიდრეების ხონის აფთიაქში 1906-1907 წლებში მუშაობდნენ აფთიაქარის მოწაფეები: ს. ი. ჟორდანია, ა. ე. ხიმშიაშვილი, დ. გ. ქელბაქიანი [235]. ამავე პერიოდში ფ. ა. რელიგიონის კერძო აფთიაქში მუშაობდნენ ვ. ო. გიორგაძე, ვ. ვ.ლორთქფანიძე, ვ. ბ. ტურაბელიძე; მათ ეს მოწმობები 1904-1905 წლებში მიიღეს [235].

როგორც აღვნიშნავდით, მოწაფეების დაქირავების უფლება ჰქონდათ მხოლოდ ნორმალურ აფთიაქებს. 1909 წელს გუბერნიის აფთიაქებში მუშაობდა მხოლოდ 36 აფთიაქარის შეგირდი. მათ შორის ქალაქის პირველ აფთიაქში - 6, ვ. ა. ვიტუშინსკის აფთიაქში - 2, ფ. ა. რელიგიონის აფთიაქში - 4, ფოთის დ. ანციპოს აფთიაქში (მართვდა გლუშაკოვი) - 4, ხონის - 4, ნოვო-სენაკის - 2, ოზურგეთის - 2, აბაშის - 2 [384]. პ. ი. კოკოჩევის აფთიაქში 1910 წელს აფთიაქარის შეგირდებად მუშაობდნენ ი. მ. არაზაშვილი, ვ. გ. ჟვანია, ს. ფირანაშვილი [237].

ზემოთ ჩამოთვლილმა ფარმაცევტებმა და სხვა მრავალმა მიიღეს საშუალო და უმაღლესი განათლება რუსეთის უნივერსიტეტებში და განაგრძეს შრომითი საქმიანობა ქუთაისის გუბერნიის აფთიაქებში. ასეთები იყვნენ: ვლადიმერ (ლადიკო) კახიანი, სერგო მესხი, იასონ გრიგოლაშვილი, იროდიონ ცირღილაძე, ივლიანე გრიგოლაშვილი, ბაგრატ ლუკას ძე აბულაძე, აკაკი მგალობლიშვილი და სხვები. ზოგიერთმა მათგანი ხელმძღვანელობდა სოფლის აფთიაქებს: კულაშის, ტობანიერის, ჭიათურის, გუბის, ღანირის, ბაღდათის - შესაბამისად აფთიაქარის თანაშემწეები: ალექსანდრე ასათიანი, იასონ ივლიანეს ძე ლეჟავა, ჯიბრაელ დავითის ძე იაშვილი, ბესარიონ ჩომახიძე,

ტარასი ლუკას ძე რუსაძე, ევსეი სოფრომის ძე გვანცელაძე [3, 119, 258, 294, 299]. ჩვენ მოვიპოვეთ ზოგიერთი მათგანის ფოტოსურათები, რომლებსაც ვაქვეყნებთ პირველად [366, 259, 258, 253].

ზოგიერთმა აფთიაქარის მოწაფემ მიიღო-რა აფთიაქარის თანაშემწის დიპლომი, განაგრძო განათლების მიღება უფრო მაღალ საფეხურზეც. აფთიაქარის თანაშემწეები ივლიანე გრიგოლაშვილი [იხილე ფოტოასლები] მუშაობდა ქალაქის პირველ აფთიაქში 1910-1916 წლებში [258, 312, 306, 324]. 1906 წელს ფ. ა. რელიგიონის აფთიაქში მუშაობდა აფთიაქარის ერთი თანაშემწე - გიორგი დავითის ძე კილაძე, მას დამთავრებული ჰქონდა ყაზანის საიმპერატორო უნივერსიტეტი 1901 წელს [235]. 1910 წელს პ. ი. კოკოჩევის აფთიაქში მუშაობდა აფთიაქარის თანაშემწე ანდრო სპირიდონის ძე ღვინეფაძე [237], ხოლო 1907 წელს ქალაქის პირველ აფთიაქში მუშაობდნენ პროვიზორის თანაშემწეები ს. ი. მესხი, ე. ი. ახვლედიანი და ვ. ბ. ქავთარაძე [299].

მოსკოვის უნივერსიტეტში მიიღეს აფთიაქარის თანაშემწის წოდება ქუთაისელმა ყოფილმა აფთიაქარის მოწაფეებმა: ა. ი. კიკაჩეიშვილმა, ი. დ. მურვანიძემ, ნ. დ. მხეიძემ, მ. ზახტაძემ, ს. ელიავამ, ს. კანდელაკმა, პ. გრიგოლაშვილმა და პროვიზორის წოდება გ. მხეიძემ, ი. მ. ნარეშელაშვილმა. მოსკოვის უნივერსიტეტში დაიცვა დისერტაცია ფარმაციის მაგისტრის წოდების მოსაპოვებლად ყოფილმა ქუთაისელმა აფთიაქარის შეგირდმა კონსტანტინე ბახტაძემ [255, 262, 257, 258, 260, 206, 369-371] და ა.შ.

ქუთაისური პრაქტიკული ფარმაციის ფუძემდებლად უდავოდ უნდა ჩაითვალოს პეტრე-პავლე ივანეს ძე კოკოჩაშვილი (1832-1916), ქუთაისის გუბერნიის პირველი აფთიაქის დამაარსებელი (ფოტოასლი 5.3.6.)[233]. თუმცა მას არ ჰქონდა ფარმაცევტული განათლება, ჩვენს მიერ იგი სამართლიანად მოიხსენიება გუბერნიის პროვიზორთა პირველ რიგებში [233,249,286].

1909 წელს ფარმაცევტების (თანაშემწეებისა და პროვიზორების) რიცხვი გუბერნიის ნორმალურ აფთიაქებში იყო 32, მათ შორის, ქუთაისში - 18, სამტრედიაში - 2, ზუგდიდში - 2, ფოთში - 2, ხონში - 2, ნოვო-სენაკში - 1, ოზურგეთში - 3, აბაშაში - 3 [354]. ამ პერიოდში ფოთის ქალაქის აფთიაქს მართავდა პროვიზორი ალექსანდრე ივანეს ძე მდივანი [328], ვ. ა. ვიტუშინსკის კერძო აფთიაქის მოიჯარადრე (არენდატორი) იყო პროვიზორი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე გრიგოლია, ქვაკუდის სოფლის აფთიაქის მეპატრონე იყო პროვიზორი კირილე სპირიდონის ძე ჩინჩალაძე [237].



სურ.  5.3.1.  სერგო მესხი



სურ. 5.3.2.  ივლიანე მ. გრიგოლაშ-
ვილი



სურ. 5.3.3. იასონ გრიგოლაშვილი




სურ. 5.3.4. აკაკი მგალობლიშვილი
და ბაგრატ აბულაძე (1917 წ.)



სურ. 5.3.5. აკაკი მგალობლიშვილი



სურ. 5.3.6. პეტრე-პავლე ივანეს ძე პროვიზორი კოკოჩაშვილი - ქუთაისის გუბერნიაში პირველი აფთიაქის დამაარსებელი



СВИДѢТЕЛЬСТВО

სურ. 5.3.7. პროვიზორის დიპლომი



სურ. 5.3.8. ლადიკო კახიანი - აფთიაქარის შეგირდი



სურ. 5.3.9. ლადიკო კახიანი - ექიმი-ბაქტერიოლოგი

თითქმის 10 წლის განმავლობაში, 1907 წლიდან ქალაქის პირველ აფთიაქს მართავდა პროვიზორი არქიფო დავითის ძე მხეიძე [3], ამავე პერიოდში ოზურგეთის აფთიაქს მართავდა პროვიზორი ვასილი ხუნდაძე, ცაიშის სოფლის აფთიაქს - პროვიზორი ილია კონსტანტინეს ძე მეუნარგია [237].

კოკოჩაშვილის აფთიაქის მოიჯარადრე და მმართველი იყო პროვიზორი ნოე კონსტანტინეს ძე უზნაძე, აქვე მუშაობდა პროვიზორი ექვთიმე სიმონის ძე ფხაკაძე [237].

ქუთაისშივე განაგრძო შრომითი საქმიანობა პეტრე-პავლე კოკოჩაშვილის ვაჟმა - პროვიზორმა ივანე პეტრეს ძე კოკოჩაშვილმა. იგი დაიბადა 1868 წელს, ქუთაისის გიმნაზიაში გაიარა გამოცდა სრული პროგრამით და 1885 წელს მიიღო აფთიაქარის მოწაფის მოწმობა (16 ნოემბერი, მოწმობა № 444). ამის შემდეგ 1889 წლის 30 მაისს წმინდა ვლადიმერის საიმპერატორო უნივერსიტეტის საბჭოს მიერ მას მიენიჭა აფთიაქარის თანაშემწის წოდება (დიპლომი № 3190). მოსკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტის საბჭოს მიერ 1893 წლის 11 დეკემბერს მას მიენიჭა პროვიზორის ხარისხი წარმატებით (მოწმობა № 3685). სურ. 5.3.7. მოცემულია ამ მოწმობის ფოტოასლი. ასეთია ერთი ქუთაისელი პროვიზორის განათლების გზა.

იოსებ მაქსიმეს ძე ნარეშელაშვილი 1910 წლიდან იყო ფ. ა. რელიგიონის აფთიაქის მოიჯარადრე, შემდეგ იგი მართავდა ქუთაისის ქალაქის მეორე აფთიაქს. ნოვოროსიის (ამჟამად ოდესა) უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე ისმენდა ფარმაცევტულ კურსს სამი სემესტრის განმავლობაში და მიიღო სრული ჩათვლა სემესტრების მიხედვით. პირველიდან მეორე კურსზე გადასვლის დროს მან გამოი-

ჩინა წარმატებები:

- არაორგანულ ქიმიაში - 5,
- ორგანულ ქიმიაში - 5,
- ანალიზურ ქიმიაში - 5 (+ ჯვრით, პლუსით).

ეს ცნობა გაცემულია ნოვოროსიის (ოდესის) უნივერსიტეტის დეკანის მიერ 1906 წლის 11 აპრილს [369, 245]. სათანადო გამოცდით მოსკოვის უნივერსიტეტის საბჭოს მიერ მედიცინის ფაკულტეტზე, 1907 წლის 14 მარტს მას მიანიჭეს პროვიზორის ხარისხი. იგი მუშაობ-და ქუთაისის ქალაქის პირველ აფთიაქში [266, 366].

ჩვენს მიერ მოკვლეულია პროვიზორის ვლადიმერ იუსტინეს ძე კახიანის, ქუთაისის კლინიკურ-დიაგნოსტიკური ლაბორატორიის ლა-ბორანტის, პირადი არქივი. მან იმუშავა 32 წელზე მეტი ქუთაისში. პი-რადი საქმიდან ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ იგი დაიბადა 1883 წელს სამტრედიის რაიონის სოფ. ეწერში, დაამთავრა ქუთაისის გიმნა-ზია 1899 წელს, მოეწყო მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპრო-ვიზორო კურსებზე 1912 წელს, დაამთავრა ეს კურსები 1915 წლის 12 დეკემბერს (დიპლომი № 5738). იმავდროულად დაამთავრა ბაქტერიო-ლოგიური ინსტიტუტი 1915 წლის 8 ნოემბერს (დიპლომი № 267). 1915 წლის დეკემბრიდან 1922 წლის ივლისამდე მუშაობდა ქუთაისის სხვა-დასხვა აფთიაქებში პროვიზორად. ფოტოასლებზე (სურ. 5.3.8. და სურ. 5.3.9.) ჩვენს მიერ მოცემულია ვლადიმერ კახიანის აფთიაქარის მოწაფეობისა და ბაქტერიოლოგიური მოღვაწეობის დროინდელი [365] სურათები. აფთიაქარის მოწაფეობის დროინდელი სურათი აღებულია აფთიაქარის მოწაფის მოწმობიდან, რომელიც ჩვენს მიერ ნაპოვნია ქუ-თაისის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში.[255].

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დამდეგს რუსეთში ფარმაცევტის პროფესია მამაკაცურ პროფესიად ითვლებოდა. 1885 წელს საიმპერატორო საბჭომ აღიარა ქალთა უფლება ფარმაცევტულ განათლებაზე, ხოლო ორი წლის შემდეგ, ამაზე თანხმობა განაცხადა სახალხო განათლების სამინისტრომაც. თუმცა, მხოლოდ 1888 წლის მაისში სამედიცინო დეპარტამენტმა აფთიაქებს ნება დართო აფთია-ქარის შეგიდად მიეღოთ გოგონებიც. მდედრობითი სქესის პირებს უნდა ჰქონოდათ ვაჟთა გიმნაზიის 4 კლასის განათლება. გამოცდების ჩაბარება მათ ფარმაცევტული წოდებების მოსაპოვებლად შეეძლოთ უნივერსიტეტებში ან სამხედრო სამედიცინო აკადემიაში. 1892 წელს სამედიცინო დეპარტამენტმა ნება დართო ქალებსა და ვაჟებს ერთად ემუშავათ აფთიაქში იმ პირობით, რომ ქალებს არ ეცხოვრათ აფთიაქ-

ში და ევლოთ სამსახურში მხოლოდ დღისით. გიმნაზიის სრული კურსის განათლების მქონე გოგონებისათვისაც კი ძნელი იყო ფარმაცევტული განათლების მიღება, რადგან იგი მეტად შეზღუდული იყო.

აფთიაქის მოწაფე ქალებს დიდი ხნის მანძილზე არ უშვებდნენ საასისტენტო მაგიდასთან, აფთიაქის მეპატრონეები ძნელად თანხმდებოდნენ მათ მიღებაზე, რადგან მათ თითქოსდა ნაკლები ფიზიკური ძალა ჰქონდათ და გაუჭირდებოდათ 14 საათიანი სამუშაო დღის განმავლობაში. კომერციული თვალსაზრისითაც არ იყო მომგებიანი ქალი აფთიაქარის შეგირდი, რადგან პუბლიკა ჯერ კიდევ არ იყო შეჩვეული ამ ახალ მოვლენას და შეიძლებოდა უნდობლობით მოკიდებოდა მათ [117, 185].

1899 წლიდან ქუთაისის ვაჟთა კლასიკური გიმნაზიის ფონდებში ჩნდება ქალების პირველი სახელები, რომლებიც გამოიცადნენ აფთიაქარის მოწაფის მოწმობის მისაღებად - *მარია დმიტრიევა, ანა ნემსაძე, ნინო ჭიჭინაძე, ლუბა ღაჭავა, ეკატერინე აბულაძე, სოფია გლუშაკოვა-ბარქაია, ნინო გიორგაძე, ეკატერინე გოცირიძე, ნინო მიქელაძე, ევდოკია ნიკურაძე, ნინო ორაგველიძე, ლუბა მგალობლიშვილი და სხვები* [2, 3, 100, 214, 260, 262, 265, 258, 272, 273, 299].

ქალთა მიზიდვა აფთიაქში სამუშაოდ იმ დროისათვის წინ გადადგმული ნაბიჯი იყო. ზოგიერთი მათგანის ფოტოსურათები ჩვენს მიერ მოპოვებულია ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივის ფონდებში, ჩვენ პირველად მოგვყავს ეს სურათები - იხ. სურ.: 5.3.10. - 5.3.15.



სურ. 5.3.10. ნინო ნოეს ასული ორაგველიძე - აფთიაქარის შეგირდი



სურ. 5.3.11. ანა ალექსანდრეს ასული ნემსაძე - აფთიაქარის შეგირდი



სურ. 5.3.12. დესპინე ალექსანდრეს ასული შენგელია - აფთიაქარის შეგირდი



სურ. 5.3.13. ეკატერინე გიორგის ასული აბულაძე - აფთიაქარის შეგირდი



სურ. 5.3.14. ანა ექვთიმეს ასული ჭიჭინაძე - აფთიაქარის შეგირდი



სურ. 5.3.15. ნინო იოსების ასული მიქელაძე - აფთიაქარის შეგირდი

ქართველ ქალს განსაკუთრებული ეროვნული დატვირთვა ჰქონდა ოჯახისა და შვილების წინაშე, 1907 წელს ქუთაისის ქალაქის პირველ აფთიაქში აფთიაქარის შეგირდი ანა ნემსაძე (აფთიაქარის შეგირდის მოწმობა მიიღო ქუთაისის კლასიკური გიმნაზიიდან - [258]) ხუთ აფთიაქარის შეგირდ ვაჟთა შორის მუშაობდა, თუმცა ამ სამუშა-

ის შესასრულებლად იგი 1,5-ჯერ ნაკლებს - 30 მანეთს იღებდა.

სოფია კანდელაკი, რომელმაც მიიღო აფთიაქარის მოწაფედ მუშაობის ნებართვა ქუთაისის ვაჟთა გიმნაზიიდან 1904 წელს [260], 1910 წელს მოსკოვის უნივერსიტეტის მიერ კვალიფიცირებული იყო, როგორც აფთიაქარის თანაშემწე [369].

ხონის - პროვიზორ კ. ბ. ლორთქიფანიძის მემკვიდრეების აფთიაქში 1906 წელს მუშაობდნენ აფთიაქარის შეგირდი გოგონები: სოფია დიმიტრის ასული გლუშაკოვა-ბარქაია, ბაბილინა ზოსიმეს ასული რუხაძე, ლუბა ეფრემის ასული ღაჭავა; მათ აფთიაქარის შეგირდის მოწმობები მიიღეს ქუთაისის გიმნაზიიდან [318]. ზანის სოფლის აფთიაქში აფთიაქარის თანაშემწედ მუშაობდა რაისა ბორისის ასული კრიმსკაია [235].

შორაპნის მაზრის სოფელ ძირულას აფთიაქს 1907-1909 წლებში მართავდა აფთიაქარის თანაშემწე ლუბა ქათამაძე, ხოლო ლეჩხუმის მაზრის სოფელ ლაილაშის აფთიაქს - მარიამ ნიკოლოზის ასული ნაუბაჟოვა. 1907 წელს სუფსის აფთიაქში მუშაობდა ელისაბედ გრიგოლია [237].

დროთა განმავლობაში ფარმაცევტული საქმე, მზა წამლის ფორმების ფართო ასორტიმენტის გამო, აგრეთვე ფარმაცევტული ლაბორატორიების გაქრობის გამო, თანდათანობით ქალთა ხელში გადავიდა. დღეს ფარმაცევტობა ძირითადად ქალთა პროფესიად ითვლება როგორც მთელს საქართველოში, ასევე ქუთაისის გუბერნიის ისტორიულ ტერიტორიაზეც.

დიდი წვლილი ქუთაისის ფარმაციის განვითარებაში შეიტანეს არა მარტო ქართველებმა, არამედ სხვადასხვა ეროვნების ფარმაცევტებმა, რომლებმაც მიიღეს-რა ფარმაცევტული განათლება სხვაგან, აგრძელებდნენ შრომით საქმიანობას აქ - საქართველოში. 1862 წელს ქუთაისის ჰოსპიტლის აფთიაქის მმართველი იყო *პროვიზორი იანუარ ადამის ძე პოროდნია,* 1863 წელს - *ი. ა. პორტნოი,* 1864 წელს - ფარმაციის მაგისტრი - *ეგორ ივანეს ძე აბელი* [127-129].

ახალციხის ჰოსპიტლის აფთიაქის მმართველი 1863 წელს იყო პროვიზორი *ს. ი. კრესლოვსკი,* ხოლო 1866 წელს - *პროვიზორი ბ.ვ. კოჩაროვსკი.* [128, 130].

ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში ჩვენს მიერ მოკვლეულია ქუთაისის ადგილობრივი *ლაზარეთის აფთიაქის გამგის ა. ა. ანდრეევის* პირადი საქმე და Curriculum vitae (ავტობიოგრაფია), რომელიც 1910 წელს იყო აფთიაქის გამგე. მის პირად საქმეში აშკარად ჩანს გზა განვლილი აფთიაქარის თანაშემწეობიდან ფარმაციის

მაგისტრის ხარისხამდე. ხარკოვის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის მიერ მას მინიჭებული ჰქონდა აფთიაქარის თანაშემწის ხარისხი 1900 წლის აპრილში, ხოლო კიევის წმინდა ვლადიმერის უნივერსიტეტის მიერ ფარმაცევტული კურსების დამთავრებისთანავე - პროვიზორის ხარისხი. მან ჩააბარა გამოცდები მოსკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტში ფარმაციის მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად და დაიცვა დისერტაცია თემაზე: „კეფირი და მისი გავლენა ლპობის პროცესზე კუჭ-ნაწლავის ტრაქტში" [3, 231].

დიდი წვლილი მიუძღვის ქუთაისური ფარმაციის განვითარებაში პოლონელ პროვიზორს, პოლიტიკურ ლტოლვილს, *ცეზარ ივანოვსკის.* მისი ხელისუფლება მას „არაკეთილსაიმედო პიროვნებად" თვლიდა, მაგრამ პეტრე-პავლე კოკოჩაშვილმა მას იჯარით გადასცა საკუთარი აფთიაქი 1871 წლის 11 ნოემბერს [34], სადაც მან იმუშავა 1880 წლამდე. ცეზარ ივანოვსკიმ დიდი წვლილი შეიტანა ქუთაისის ფარმაციის განვითარებაში არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. მიტროფანე ლაღიძის ცნობილი ხილეული წყლების ტექნოლოგიური პროცესი პეტრე კოკოჩაშვილისა და ცეზარ ივანოვსკის სახელებს უკავშირდება. ამ დროისათვის ცეზარ ივანოვსკი ფლობდა ხელოვნური მინერალური და ზელცერის აქროლადი წყლებისა და ლიმონათის წარმოების ქარხანასა და გასაყიდ ფარდულს. სწორედ ხელით შრომის ამ ქარხანაში - 3 მუშის საშუალებით კეთდებოდა საინტერესო და სასარგებლო საქმე. აქვე დაიწყო დამხმარე მუშად მუშაობა ცნობილმა მიტროფანე ლაღიძემაც და აქვე დაეუფლა ხილეული წყლების ტექნოლოგიას, რომლის საავტორო უფლება მან უკანონოდ ჩამოართვა პეტრე-პავლე კოკოჩაშვილს და თვით განაგრძო ეს საქმე [3, 4, 5, 276, 278].

ცეზარ ივანოვსკიდან დაწყებული პოლონელები - *პროვიზორი ივანე ვაცლავის ძე გერძეევსკი,* 1907 წლიდან ფოთის აფთიაქის მოიჯარადრე - *პროვიზორი მიხეილ ლეონტის ძე კისსერი* [328], *პროვიზორი ვიქტორ ანტონის ძე ვიტუშინსკი* - 1867 წელს ქუთაისში მეორე აფთიაქის გახსნის ორგანიზატორი, სამტრედიის ნორმალური აფთიაქის მფლობელი *ანტონინა კონსტანტინეს ასული ფიალკოვსკაია, პროვიზორი ალექსანდრე ივანეს ძე სვაცინსკი* [237], იყვნენ ის სპეციალისტები, რომლებმაც თავიანთი ღირსეული წვლილი შეიტანეს დასავლეთ საქართველოს და ზოგადად ქართული ფარმაციის განვითარებაში.

1891-1896 წლებში საიმპერატორო მოსკოვის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, პროვიზორის წოდების მქონე *დავით ვასილის*

*ძე გლუშკოვი* მართავდა ხონის ნორმალურ კერძო აფთიაქს [235].

*პროვიზორი ოსიპ ოსიპის ძე რიხლიცკი,* რომელმაც მიიღო ფარმაცევტის მოწმობა საიმპერატორო იურიევის უნივერსიტეტის მიერ 1899 წელს, მუშაობდა 1906 წელს პოლონელი პროვიზორის ფრანც ანტონის ძე რელიგიონის კერძო ნორმალურ აფთიაქში. ამ უკანასკნელმა კი, როგორც აღვნიშნეთ, გახსნა ქუთაისში მესამე ნორმალური აფთიაქი. ამ დრომდე მას უკვე ეკუთვნოდა პატრიკეთის სოფლის აფთიაქი. [235]. ქუთაისის მეორე აფთიაქს პოლონელი *პროვიზორის მ.ვ. მიხაილოვის* შემდეგ მართავდა ვიქტორ ანტონის ძე ვიტუშინსკი. [356].

*აფთიაქარის თანაშემწე დ. ფ. გრიზი* იყო სოფელ ეწრის აფთიაქის გამგე ქუთაისის მაზრაში; *პროვიზორი გ. ოგანეზოვი* - ხობის აფთიაქის გამგე, *მ.გ. ვასკოვსკი* - ნოვო-სენაკის აფთიაქის გამგე. შემდეგ ეს აფთიაქი იჯარით აიღო *ვალერიან ვასილის ძე ძიუბენკომ. პროვიზორი გ. გარნოვსკი* იყო ტყიბულის აფთიაქის მმართველი. [237]. გურძის სოფლის აფთიაქს, სოხუმთან ახლოს, მართავდა *აფთიაქარის თანაშემწე ელისაბედ ამოსოვა.* ზუგდიდის აფთიაქის დამაარსებელი იყო *პროვიზორი შატილოვი,* ხოლო მმართველი - 1880 წლიდან - *პროვიზორი ვასკოვსკი.* [141]. ზანის სოფლის აფთიაქს მართავდა *აფთიაქარის თანაშემწე ლეიდა ს.ლ. ლურიე.* საჯავახოს სოფლის აფთიაქის მმართველი იყო - *ზენონ ი. ფიალკოვსკი.* [235], წყალტუბოს სოფლის აფთიაქის მმართველი იყო *იოსებ ივანეს ძე ბეჟანოვი.* [235, 237].

1901 წელს გახსნა და შვიდი წლის განმავლობაში მართავდა გუბერნიაში პირველ საზოგადოებრივ აფთიაქს ქუთაისში - *პროვიზორი გიორგი პავლეს ძე ნიკიტინი.* [3].

ჩვენ წარმოვაჩინეთ უცხოელი პროვიზორებისა და ფარმაცევტების სახელები ისტორიული წარსულიდან. ამით ხაზს ვუსვამთ, რომ როცა საქართველოში არ იყო საშუალო და უმაღლესი ფარმაცევტული განათლების კერები, ქართული ფარმაცია არ დარჩენილა კვალიფიციური კადრების გარეშე; ამ ხარვეზს ავსებდნენ რუსი, უკრაინელი, პოლონელი და სხვა ეროვნების ფარმაცევტები.

ბევრი ქუთაისელი აფთიაქარის შეგირდი შემდეგ გახდა დიდი სწავლული - არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ქართული ფარმაციის სახელი მის ფარგლებს გარეთაც გაიტანეს. ესენია: იოველ გრიგოლის ძე ქუთათელაძე, ვალერიან ერმილეს ძე შოთაძე, პავლე ილარიონის ძე ჭუმბურიძე, არისტარხ ევსევის ძე მშვიდობაძე და სხვები.

აკადემიკოსი იოველ გრიგოლის ძე ქუთათელაძე (1887-1963) დაიბადა ხონში, პროგიმნაზიის კურსიდან 1901 წლის 30 იანვარს გაი-

არა გამოცდები აფთიაქარის შეგირდის მოწმობის მისაღებად ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში [257] (სურ. 5.3.16), იმუშავა მოწაფედ ქუთაისის ქალაქის პირველ აფთიაქში. 1903 წელს მიიღო აფთიაქარის თანაშემწის წოდება, ჩააბარა სიმწიფის ატესტატის გამოცდები და მოეწყო ნოვოროსიის (ოდესის) უნივერსიტეტის ფარმაცევტულ ფაკულტეტზე. 1910 წელს დაასრულა სრული კურსი და დაიწყო მუშაობა პისკორსკის აფთიაქში ოდესაში; 1913 წელს დისერტაციის დაცვის შემდეგ მას მიენიჭა ფარმაციის მაგისტრის წოდება.

1921 წლიდან ი.გ. ქუთათელაძე სათავეში ჩაუდგა ფარმაციისა და ფარმაკოგნოზიის კათედრას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1932 წელს მისი ინიციატივით შეიქმნა საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ფარმაკო-ქიმიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. 1922-1949 წლებში იგი ხელმძღვანელობდა ანალიზური და სასამართლო ქიმიის კათედრას თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში.



სურ. 5.3.16. ი.გ. ქუთათელაძე - აფთიაქარის შეგირდი



სურ. 5.3.17. არისტარხ მშვიდობაძე - აფთიაქარის შეგირდი

1936 წელს ი.გ. ქუთათელაძეს მიენიჭა მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. 1944 წელს ი.გ. ქუთათელაძე არჩეული იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1946 წელს კი, აკადემიკოსად.

მის მიერ შესწავლილი და დანერგილია ადგილობრივი ნედლეულიდან ფარმაცევტული პრეპარატების შემუშავებისა და წარმოების ტექნოლოგია - კერძოდ, ფუტკარას (სათითურას) სახეობებიდან საგული საშუალებების მიღების, ტანინისა და ფენოლური სხვა ნაერთების

შემცველი მცენარეებიდან - მათი გამოყოფისა და სხვა. მის მიერ პირველად მომზადდა ისეთი პრეპარატები, რომლებიც საბჭოთა კავშირს მანამ საზღვარგარეთიდან შემოჰქონდა, მისივე ინიციატივით დაარსდა *თბილისის ფარმაცევტული და ბათუმის კოფეინის ქარხნები.* აკადემიკოსი იოველ ქუთათელაძის მიერ გამოცემულია სახელმძღვანელოები - წამალთა ტექნოლოგიის, ანალიზური ქიმიის. იგი იყო ქართველ ფარმაცევტთა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარე, შემდეგ მისი საპატიო წევრი, ჟურნალ „საბჭოთა მედიცინა"-ს სარედაქციო კოლეგიის წევრი; ი. გ. ქუთათელაძე დაჯილდოებული იყო მრავალი სახელმწიფო ჯილდოთი, მის სახელს ატარებს თბილისის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი და თბილისის ფარმაცევტთა საზოგადოება [90, 46, 73].

პროფესორმა არისტარხ ევსევის ძე მშვიდობაძემ (1892-1985) თავისი მოღვაწეობა ქუთაისელი აფთიაქარის შეგირდობიდან დაიწყო; პროგიმნაზიის კურსიდან 1908 წლის 9 ოქტომბერს მან ჩააბარა აფთიაქარის შეგირდის მოწმობისათვის შეკვეცილი გამოცდები ქუთაისის ვაჟთა გიმნაზიაში [265]. სურათზე 5.3.17. ჩვენ მოგვყავს ფოტოასლი არისტარხ მშვიდობაძის აფთიაქარის მოწაფის მოწმობიდან. მან მიიღო-რა შემდგომი განათლება, გახდა ფარმაცევტული ქიმიის კათედრის გამგე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში. მრავალი წლის განმავლობაში იყო ფარმაცევტული ფაკულტეტის დეკანი, საქართველოს ფარმაცევტთა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარე, შემდეგ კი მისი საპატიო თავმჯდომარე. ამ წიგნის ავტორი მას პირადად იცნობდა, მოსმენილი აქვს მისი ლექციები.



სურ. 5.3.18. აფთიაქარის შეგირდი პავლე ჭუმბურიძე -



სურ. 5.3.19. აფთიაქარის შეგირდი - ვალერიან შოთაძე

როგორც ზემოთ დასახელებულმა ორმა პროფესორმა, პავლე ილარიონის ძე ჭუმბურიძემაც (1884-1944) ქუთაისელი აფთიაქარის შეგირდობიდან დაიწყო თავისი შრომითი საქმიანობა ფარმაციაში. 1900 წლის 27 სექტემბერს მან ჩააბარა სრული გამოცდა აფთიაქარის მოწაფის მოწმობის მისაღებად ქუთაისის ვაჟთა გიმნაზიაში [255]. სურათზე 5.3.18. მოცემულია პავლე ჭუმბურიძე გიმნაზიის წლებში. სურათი ჩვენს მიერ ქვეყნდება პირველად. შემდეგ პავლე ჭუმბურიძე მუშაობდა ქალაქის პირველ აფთიაქში. 1916 წელს დაამთავრა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის ფარმაცევტული განყოფილება, მიიღო პროვიზორის წოდება, მუშაობდა ფარმაცევტულ ქარხანაში „ამხანაგობა ფერეინი მოსკოვში“. 1923 წლიდან იგი უკვე დოცენტია და ხელმძღვანელობს წამლისა და გალენური პრეპარატების ტექნოლოგიის კათედრას საქართველოში. ფარმაკოქიმიის ინსტიტუტში იგი ხელმძღვანელობდა ნახევრადქარხნული მასშტაბის ტექნოლოგიურ ლაბორატორიას [54].

პროფესორი ვალერიან ერმილეს ძე შოთაძე (1888-1961) შრომით საქმიანობას იწყებს ქუთაისის ქალაქის პირველი აფთიაქიდან. მან 1905 წლის 9-10 სექტემბერს ჩააბარა სრული გამოცდები აფთიაქარის მოწაფის მოწმობის მოსაპოვებლად. სურ. 5.3.19., გამოსახულია ვალერიან შოთაძე აფთიაქარის მოწაფეობის პერიოდში [261]. მიიღო-რა შემდგომი განათლება და დაიცვა ხარისხი, ვ.ე. შოთაძე ხელმძღვანელობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ფარმაკოგნოზიის კათედრას [2, 3, 261].

ქართველ სწავლულთა მოწინავე ნაწილი ხედავდა რა გზით იყო შესაძლებელი მეცნიერული აზროვნების აღორძინება და დამკვიდრება საქართველოში და რომ მისი განვითარება რუსეთის სამეცნიერო წრეებს მჭიდროდ უკავშირდებოდა. ამიტომ ქართველი მეცნიერები მათთან ერთად ეწეოდნენ საინტერესო შემოქმედებით მუშაობას. იმ დროს საქართველოში შესაბამისი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი დაწესებულებები არ არსებობდა და ამიტომაც მთელი რიგი ქართველი სწავლულები წარმატებით მუშაობდნენ რუსეთის უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში ისე, რომ არ წყვეტდნენ კავშირს სამშობლოსთან. მრავალი ქართველი სწავლულისა და მოღვაწის სახელი უკავშირდება მოსკოვის უნივერსიტეტს. ისინი ამ უნივერსიტეტში მისი დამთავრებისთანავე იწყებდნენ და აგრძელებდნენ მუშაობას [58].

დადგა დრო, აღვადგინოთ და უკვდავვყოთ იმ ქართველ სწავ-

